გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ
პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

პროფესიული უნარები

თბილისი 2010

გამოცდების ეროვნული ცენტრი
კვლევის დეპარტამენტი

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

პროფესიული უნარები

საკონსულტაციო საბჭო:
ნათელა იმედაძე, დალი ფარჯანაძე, ნინო გორდელაძე.

ენობრივი რედაქცია: *თეა დულარიძე*

შესავალი

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სკოლაში პედაგოგიური საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია სერტიფიცირების პროცესის გავლა. **პროფესიული უნარების** გამოცდა ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სასერტიფიკაციო გამოცდაზე მასწავლებლის პროფესიული უნარების შეფასება იმის წინაპირობაა, რომ სკოლებში იმუშავებენ მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები, რომელთაც არა მარტო შესაბამისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა ექნებათ, არამედ ეცოდინებათ, როგორ წარმართონ სწავლების პროცესი ეფექტურად, როგორ შეუწყონ ხელი მოსწავლეთა სწავლით დაინტერესებასა და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვას, მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობებისა და კლასში ეთიკური ღირებულებების დამკვიდრებას.

მასწავლებლის პროფესიული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, ძირითადი კომპეტენციები და ღირებულებები, რომელთაც უნდა ფლობდეს მასწავლებელი, დეტალურადაა აღწერილი **მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში.** სწორედ ეს დოკუმენტი დაედო საფუძვლად პედაგოგთა პროფესიული უნარების ტესტს.

2010 წელს ქართული ენის, მათემატიკისა და უცხოური ენების პედაგოგებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩაებარებინათ სასერტიფიკაციო გამოცდები, რომელთა აუცილებელი შემადგენელი ნაწილიც პროფესიული უნარების გამოცდა იყო. 2010 წელს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 10 000-მა პედაგოგმა. მათგან 31%-მა წარმატებით ჩააბარა პროფესიული უნარების გამოცდა. 2014 წლამდე გამოცდებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. 2011 წელს ყველა საგნისა თუ საგნობრივი ჯგუფის პედაგოგს საშუალება ექნება მონაწილეობა მიიღოს სასერტიფიკაციო გამოცდებში.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად თქვენთვის შედგენილი ეს კრებული მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას ***პროფესიული უნარების ტესტის*** შესახებ. კრებულში შესულია დეტალური ინფორმაცია პროფესიული უნარების ტესტის სტრუქტურის შესახებ, განხილულია ტესტური დავალებები და მათი შეფასების კრიტერიუმები. ამ კრებულით პედაგოგებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ ტესტის ფორმატს, შეფასების პრინციპებს, 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე პედაგოგების მიერ დაშვებულ ტიპურ შეცდომებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც დაეხმარება პედაგოგებს, უკეთ მოემზადონ პროფესიული უნარების სასერტიფიკაციო გამოცდისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

შ ი ნ ა ა რ ს ი

I თავი
პროფესიული უნარების ტესტი

1.1. ტესტის სტრუქტურა 7

1.2. ტესტის ნიმუში 9

II თავი
ტესტურ დავალებათა ტიპები
შეფასების პრინციპები, განმარტებები, რეკომენდაციები

2.1. დავალებები ღია დაბოლოებით 41

რეკომენდაციები ღია დავალებების შესასრულებლად 76

2. 2. დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ 78

რეკომენდაციები „ჭეშმარიტია/მცდარია“ ტიპის დავალებების შესასრულებლად 82

2.3. დავალებები არჩევითი პასუხით 84

რეკომენდაციები არჩევითპასუხიანი დავალებების შესასრულებლად 89

2.4. შესაბამისობის დავალებები 90

რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებების შესასრულებლად 92

2.5 როგორ მოვემზადოთ პროფესიული უნარების გამოცდისათვის 93

დანართი №1

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 99

დანართი № 2

საგამოცდო პროგრამა 109

დანართი № 3

პროფესიული უნარების ტესტი (II ვარიანტი) 119

დანართი № 4

შეფასების სქემა 153

I თავი

პროფესიული უნარების ტესტი

ტესტის სტრუქტურა, ტესტის ნიმუში

1.1. პროფესიული უნარების ტესტის სტრუქტურა

პროფესიული უნარების ტესტი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, სამი ნაწილისაგან (სუბტესტისაგან) შედგება: (1) სასწავლო გარემო, (2) განვითარებისა და სწავლის თეორიები და (3) პროფესიული გარემო.

(1) სასწავლო გარემო. ტესტის ეს ნაწილი პედაგოგის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროფესიულ უნარებს აფასებს და ამის გამო სასერტიფიკაციო ტესტში ყველაზე ვრცლადაა წარმოდგენილი. ამ სუბტესტში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 65%-ს შეადგენს და აფასებს, რამდენად შეუძლია მასწავლებელს სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვა და წარმართვა, კლასში ჯანსაღი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

(2) განვითარებისა და სწავლის თეორიები. ტესტის ამ ნაწილში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 20%-ს შეადგენს. ეს სუბტესტი ადგენს, რამდენად იცნობს მასწავლებელი ბავშვის ასაკობრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, ამასთანავე, აფასებს, როგორ იყენებს პედაგოგი ამ ცოდნას სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

(3) პროფესიული გარემო. ტესტის ამ ნაწილში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 15%-ს შეადგენს. ეს სუბტესტი ამოწმებს, რამდენად იცნობს მასწავლებელი საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებს და შეუძლია თუ არა მათი პრაქტიკაში გამოყენება.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70. პედაგოგმა სერტიფიკატის მოპოვებისათვის თითოეულ სასერტიფიკაციო გამოცდაში უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი – მან პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის 70-დან 43 ქულა მაინც უნდა მიიღოს. გამსვლელი ქულა განისაზღვრა ქართველი ექსპერტების მიერ სასერტიფიკაციო გამოცდებში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდოლოგიის – სტანდარტის დადგენის პროცედურის – გამოყენებით (**Angoff Standard-Setting Procedure**).

პროფესიული უნარების ტესტში ხუთი განსხვავებული ტიპის დავალებაა: არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის, დავალება ღია დაბოლოებით, ე.წ. სიმულაციური დავალება „საქაღალდე“, და დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“.

არჩევითპასუხიანი, შესაბამისობისა და „ჭეშმარიტია–მცდარია“ ტიპის ტესტური დავალებები ფასდება თითო ქულით. ღია დავალებებს განსხვავებული

მაქსიმალური ქულა აქვს. მაქსიმალური ქულა მითითებულია ყოველი დავალების გასწვრივ.

2010 წლის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული პროფესიული უნარების ტესტი 27 დავალებისაგან შედგება. 2011 წლისათვის ტესტში დავალებათა რაოდენობა და ტესტის ფორმატი არსებითად არ შეიცვლება.

ეს კრებული მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას ***პროფესიული უნარების ტესტის*** შესახებ, მასში წარმოდგენილია:

- 2010 წლის მასწავლებელთა პროფესიული უნარების საგამოცდო ტესტი;
- ტესტის შეფასების სქემები;
- რამდენიმე ტიპური დავალების დეტალური განხილვა;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- საგამოცდო პროგრამა.

ყურადღებით გაეცანით მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და საგამოცდო პროგრამას, რომელსაც ეყრდნობა პროფესიული უნარების ტესტი. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და საგამოცდო პროგრამა ამ კრებულში დანართის სახითაა მოცემული (დანართი 1, 2). ტესტზე სრულ წარმოდგენას 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტები შეგიქმნით. ამ თავში მოცემულია საგამოცდო ტესტის I ვარიანტი, მასში შემავალ ტესტურ დავალებათა შეფასების ნიმუშები და განმარტებები. მას შემდეგ, რაც გაეცნობით კრებულში მოცემულ რეკომენდაციებს, იმუშავეთ ტესტის II ვარიანტზე. ტესტის II ვარიანტი და შეფასების სქემები მოცემულია დანართის სახით (დანართი 3, 4).

1.2. პროფესიული უნარების ტესტი

2010 წელი, I ვარიანტი

I – სწავლება და შეფასება

დავალება №1

მოსწავლეებთან მასწავლებლის კომუნიკაცია შედეგიანია, თუ მოსწავლეები იგებენ და ითვისებენ ახალ მასალას. ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის ~~ყველაზე ეფექტიანი~~ კომუნიკაციის მაგალითი ახალი მასალის ახსნისას?

ა) მასწავლებელი იყენებს მხოლოდ იმ სიტყვებსა და ტერმინებს, რომლებიც ნაცნობია მოსწავლეებისათვის.
ბ) მასწავლებლის საუბარში ჭარბობს ახალი ტერმინები და უცხო სიტყვები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.
გ) მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება მათთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ პერიოდულად ხსნის და შემდეგ იყენებს თემასთან დაკავშირებულ ახალ ტერმინებს.
დ) მასწავლებლის სამეტყველო ენა შეიცავს მხოლოდ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ბავშვების ყოველდღიური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

დავალება №2

კითხვის დასმა ინტერაქციული სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია და მასწავლებლისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. მასწავლებლის მიერ არასწორი ფორმით დასმულმა კითხვამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობაზე.

ჩამოთვლილთაგან კითხვის დასმის რომელი ფორმაა ~~ყველაზე ეფექტიანი~~ მოსწავლეთა ჩართულობისა და მათი ცოდნის გამოვლენის ხელშესაწყობად?

ა) მასწავლებელი ყურადღებით ისმენს მოსწავლეების პასუხს და საჭიროების შემთხვევაში სვამს დამატებით კითხვებს.
ბ) მასწავლებელი სწრაფად სვამს კითხვებს და მოსწავლეებისაგანაც სწრაფ და ზუსტ პასუხს მოითხოვს.
გ) მასწავლებელი ერთდროულად სვამს რამდენიმე კითხვას და მათგან ზოგიერთს თავადვე პასუხობს.
დ) მასწავლებელი კითხვებს მხოლოდ ძლიერ მოსწავლეებს უსვამს, რათა დანარჩენებმა მათგან გამართული და ჩამოყალიბებული პასუხი მოისმინონ.

დავალება №3

სწავლისა და სწავლების პროცესში მოსწავლის წარმატებას, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი თვითშეფასება.

მოსწავლეებს, რომლებიც ნაკლებად არიან დარწმუნებულები საკუთარ შესაძლებლობებში, ჰგონიათ, რომ ვერ შეძლებენ ამა თუ იმ მასალის დაძლევას და, შესაბამისად, წარუმატებლობის შიში უჩნდებათ.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები შეუწყობს ხელს ამგვარ მოსწავლეებში **ადეკვატური თვითშეფასების** ფორმირებას?

I. მისცეს მოსწავლეებს *ერთმანეთის ნამუშევრების* გაცნობისა და გასწორების საშუალება წინასწარ განსაზღვრული შეფასების სქემის გამოყენებით.
II. შეიმუშავოს ამ მოსწავლეებისათვის *ლოიალური შეფასების სქემა* და დაუწეროს მათ უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე ობიექტურად იმსახურებენ.
III. მისცეს ამგვარ მოსწავლეებს *საკუთარი ნამუშევრების* შეფასების საშუალება წინასწარ განსაზღვრული შეფასების სქემის გამოყენებით.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

დავალება №4

სკოლებში მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა მეთოდი/ტიპი გამოიყენება. მათ, პირობითად, ორ კატეგორიად ყოფენ – *განმსაზღვრელი* და *განმავითარებელი* შეფასება, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ქვეტიპად არის დაყოფილი - *მიმდინარე* და *შემაჯამებელი* შეფასება.

მნიშვნელოვანი თემის დასრულების შემდეგ, მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმების მიზნით, მასწავლებელმა ტესტირება ჩაატარა. მან წინასწარ გააფრთხილა მოსწავლეები, რომ ამ ტესტირების შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებოდა ტრიმესტრული შეფასების დროს.

ჩამოთვლილთაგან შეფასების რომელი მეთოდი გამოიყენა პედაგოგმა აღწერილ სიტუაციაში?

ა) მიმდინარე, განმსაზღვრელი
ბ) შემაჯამებელი, განმავითარებელი
გ) მიმდინარე, განმავითარებელი
დ) შემაჯამებელი, განმსაზღვრელი

დავალება № 5

ნუცა ბეჯითი გოგონაა, იგი სისტემატურად მეცადინეობს, მაგრამ მორცხვია, აკლია თავდაჯერებულობა, ამის გამო ღელავს და ხშირად ვერ ავლენს ცოდნას.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის **ეფექტიანი** ქცევა/ქცევები, რომელიც დაეხმარება ნუცას, სიმორცხვის დაძლევასა და საკუთარი ცოდნის გამოვლენაში?

I. მასწავლებელი ინდივიდუალურ დავალებას აძლევს ნუცას, რათა თავიდან აარიდოს დაძაბულობა.
II. მასწავლებელი გამოხატავს კეთილგანწყობას ნუცას მიმართ და ამხნევებს მას.
III. მასწავლებელი ხშირად მიმართავს შეკითხვით ნუცას და ცდილობს მის ჩართვას ჯგუფურ მუშაობაში.

ა) მხოლოდ III
ბ) მხოლოდ II და III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ I

დავალება №6

კლასში, სადაც განსხვავებული ინტერესების, მიზნებისა და ხასიათის მქონე მოსწავლეები არიან, ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები. კონფლიქტის არსებობა ბუნებრივი მოვლენაა და კონსტრუქციული გადაჭრის შემთხვევაში მას ბევრი დადებითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს.

მედიაცია კონფლიქტის კონსტრუქციულად მოგვარების ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა და გულისხმობს საკითხის გადაჭრას მესამე, ნეიტრალური პირის, მედიატორის მონაწილეობით.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის დაცვა **არ შეუწყობს** ხელს მედიაციის პროცესის წარმატებით განხორციელებას?

ა) მედიატორი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის.
ბ) მედიატორს უნდა შეეძლოს აქტიური მოსმენა და ჰქონდეს კომუნიკაციის კარგი უნარი.
გ) მედიატორი არ უნდა გამოხატავდეს თავის მხარდაჭერას კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ.
დ) მედიატორი უნდა იყოს კატეგორიული, ის თავად უნდა იღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით.

დავალება №7

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები უწყობს ხელს მოსწავლის **შინაგანი მოტივაციის** ზრდას?

I. კლასის მცირე ჯგუფებად დაყოფა და შეჯიბრის მოწყობა – ვინ უფრო სწრაფად შეასრულებს დავალებას.
II. დავალებების შერჩევა მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით და სახალისო აქტივობების ჩართვა სასწავლო პროცესში.
III. გაკვეთილზე მოსწავლეთა მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის სტიმულირება.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ I და III

დავალება №8

გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს უნდა დაეყრდნოს. ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპი/ პრინციპები უნდა დაიცვას მან გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს?

I. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესი შესასწავლი თემის მიმართ.
II. გაკვეთილის გეგმაში მასწავლებელი არ უნდა გასცდეს შესასწავლ თემაზე სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის ფარგლებს.
III. მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს წინა გაკვეთილი და გაითვალისწინოს მოსწავლეთა საჭიროებანი.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

დავალება №9

სწავლისა და აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლის *სოციალური ცნობიერების* განვითარების ხელშეწყობა. *სოციალური ცნობიერება* გულისხმობს, დაინახო და ანგარიში გაუწიო სხვა ადამიანთა აზრებსა და გრძნობებს. მოზარდები, რომლებსაც კარგად განვითარებული სოციალური უნარები აქვთ, საკუთარ თავსაც უკეთ შეიცნობენ და მეგობრებსაც ადვილად იძენენ.

ქვემოთ მოცემულია საგაკვეთილო პროცესის გარკვეული მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს, ასევე წარმოდგენილია ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. გაეცანით ორივე მათგანს და შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

მიზანი: ბავშვებში *სოციალური ცნობიერების* განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობა: მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ შესწავლის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, გაეანალიზებინათ თეიმურაზ ხევისთავის ქცევის მოტივები და ემსჯელათ მისი ქცევის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

განხორციელებული აქტივობა დასახული მიზნის

ა) **ადეკვატურია**, რადგან მოზარდები სწავლობენ სხვა ადამიანის ქცევის, განსხვავებული მოსაზრებების გაგებასა და დაფასებას. ამასთან, უვითარდებათ თანაგანცდის უნარი, რაც სოციალური ცნობიერების განვითარებას უწყობს ხელს.

ბ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ერთი და იმავე მოვლენის განსხვავებული ხედვა და შეფასება აბნევს მოზარდებს. ეს გარემოება კი აფერხებს მათი სოციალური ცნობიერების განვითარებას.

გ) **ადეკვატურია,** რადგან მოსწავლეებს საზოგადოებისათვის მისაღები და მიუღებელი ქცევის შესახებ მყარი შეხედულება ექმნებათ, რაც სოციალური უნარების განვითარების წინაპირობაა.

დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან სოციალური ცნობიერება მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს მხოლოდ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე.

დავალება №10

მასწავლებელმა მეოთხე კლასში ტესტირება ჩაატარა. კლასში ტესტირების შედეგების გამოცხადებისას მასწავლებელი კომენტარებსაც აკეთებდა.

ჩამოთვლილთაგან კომენტარის რომელი ფორმაა ყველაზე უფრო ეფექტიანი მოსწავლეთა წასახალისებლად?

ა) „ათი კითხვიდან შენ ოთხს შეცდომით უპასუხე“.
ბ) „შენ მხოლოდ ექვს კითხვას გაეცი სწორი პასუხი“.
გ) „ათი კითხვიდან შენ ექვსს სწორად გაეცი პასუხი“.
დ) „შენ შეცდომით უპასუხე კითხვების თითქმის ნახევარს“.

დავალება №11

მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებელ ტესტს აქვს გარკვეული მახასიათებელები, რომლებიც ჩამოთვლილია B სვეტში. A სვეტში მოცემულია მათი განმარტება.

შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

განმარტებები (**A**)	ტესტის მახასიათებლები (B)
I. ტესტური დავალებები სწორედ იმ საკითხების ცოდნასა და გამოყენებას აფასებს, რომელთა შემოწმებაც დაისახა მიზნად პედაგოგმა.	ა) სანდოობა ბ) ვალიდობა გ) ობიექტურობა დ) გამჭვირვალობა
II. ტესტირების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებებზე, მის სურვილებსა თუ დამოკიდებულებებზე.	
III. ტესტირების შედეგები იმის მიუხედავად ვინ და როდის აფასებს მოსწავლეთა ნაშრომებს არ იცვლება, თუ: ტესტირება მიმდინარეობს ერთნაირ პირობებში, შეკითხვები და ინსტრუქციები მკაფიოა და ზუსტადაა შერჩეული შეფასების კრიტერიუმები.	
IV. ტესტის შეფასების კრიტერიუმები ცნობილია, როგორც მოსწავლეებისათვის, ისე ყველა დაინტერესებული პირისათვის.	

პასუხები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში (პირველი პასუხი უკვე მითითებულია)

ჩაწერეთ:

განმარტებები (A)	I	II	III	IV
ტესტის მახასიათებლები (B)	ბ			

დავალება №12

მაქსიმალური ქულა - 6

ისტორიის მასწავლებელმა მოსწავლეებს კლასგარეშე მასალა მისცა წასაკითხად და თითოეულს სთხოვა, ჩამოეწერა:

(1) სამი მოვლენა/ფაქტი, რაც მოსწავლემ ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია ამ მასალაში;
(2) ორი საკითხი, რომლის შესახებაც მოსწავლეს სურს მეტი გაიგოს;
(3) ერთი კითხვა, რომლის პასუხი მოსწავლემ მასალაში ვერ იპოვა და ის ბუნდოვანი დარჩა მისთვის.

აღწერეთ სწავლის მოცემული სტრატეგიის დადებითი ეფექტი. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- *დაასახელეთ მოსწავლის ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც აღწერილი მეთოდი უწყობს ხელს. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*
- *ახსენით, როგორ ეხმარება მასწავლებელს ეს მეთოდი სასწავლო მიზნების მიღწევაში.*

ჩაწერეთ:

დავალება №13

სწავლისა და სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ჯგუფური მუშაობის მეთოდს. ამ მეთოდის ეფექტიანობას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, ფიზიკური გარემო. სურათზე გამოსახულია მერხების განლაგების სქემა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება ჯგუფური მუშაობის დროს.

- ახსენით, რატომ მოითხოვს ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენება კლასში მერხების ამგვარ განლაგებას.
- დაასახელეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა (ფიზიკური გარემოს მოწყობის გარდა), რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის დროს. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
- დაასახელეთ ჯგუფური მუშაობის ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი ეფექტი.

ჩაწერეთ:

დავალება №14

დამწყებ პედაგოგს მეცხრე კლასში დისციპლინის პრობლემები შეექმნა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად მან გადაწყვიტა კლასში მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება და რჩევისთვის თქვენ მოგმართათ.

- მიეცით პედაგოგს ორი რჩევა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავებისას.
- ახსენით, როგორ დაეხმარება თქვენი რჩევა დამწყებ პედაგოგს დისციპლინის პრობლემების მოგვარებაში. დაასახელეთ თითოეული რჩევის დადებითი შედეგი.

ჩაწერეთ:

დავალება №15

მაქსიმალური ქულა - 20

ეს დავალება განსხვავებული ფორმატისაა და თქვენგან სიტუაციის კომპლექსურ შეფასებასა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას მოითხოვს.

დავალება პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება: ერთ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია პედაგოგის შესახებ, მეორეში – დოკუმენტაცია *(წერილები, საბუთები, ჩანაწერები)*, რომელიც წარმოდგენას შეგიქმნით პედაგოგის წინაშე წამოჭრილ პრობლემებზე.

ყურადღებით გაეცანით ინფორმაციას პედაგოგის შესახებ და წარმოიდგინეთ თავი მის ადგილას.

ინფორმაცია თქვენ შესახებ:

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ერთი წელია, მენტორის ხელმძღვანელობით მუშაობთ ერთ-ერთ საჯარო სკოლაში.

სკოლის დირექტორის დავალებით, შუა სასწავლო წლიდან თქვენ ხანგრძლივი დროით უნდა შეცვალოთ ისტორიის მასწავლებელი, დემეტრე მინდიაშვილი, რომელიც კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე წავიდა საზღვარგარეთ ექვსი თვით. თქვენ უნდა წარმართოთ სასწავლო პროცესი ორ მერვე კლასთან.

სიტუაცია:

წარმოიდგინეთ, დღეს 9 ნოემბერია, ორშაბათი. სკოლაში გადმოგცეს დემეტრე მინდიაშვილის საქაღალდე დოკუმენტებითა და თქვენთვის განკუთვნილი წერილით.

ამოცანა:

ყურადღებით გაეცანით წერილს და თანდართულ დოკუმენტაციას. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თქვენ გევალებათ: (1) მასწავლებლის წინაშე წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი; (2) პრობლემების გადასაჭრელად კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა.

გახსოვდეთ, <u>მნიშვნელოვანია საქაღალდეში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის გამოყენება.</u>

მასალები საქაღალდიდან

დოკუმენტი 1. დემეტრე მინდიაშვილის წერილი თქვენთვის

მიხარია, რომ სწორედ თქვენ უნდა გაუძღვეთ სასწავლო პროცესს ორ მერვე კლასთან. წასვლამდე ვერ მოვახერხე თქვენთან შეხვედრა, რადგან საკმაოდ გვიან გაირკვა ჩემი გამგზავრების საკითხი და ბოლო წუთამდე არ ვიცოდი, ვინ იქნებოდა ჩემი შემცვლელი. ამიტომ გადავწყვიტე წერილის მოწერა, რომელშიც მხოლოდ პრობლემურ მოსწავლეებზე გავამახვილებ ყურადღებას, რათა მათთან მუშაობა გაგიადვილოთ.

მე-8ᵃ კლასი რთულ კლასად ითვლება, მოსწავლეთა მიღწევები არც ისე მაღალია, თუმცა მათთან მუშაობა მაინც საინტერესოა. ამ კლასში განსაკუთრებულ ყურადღებას *ვაჟა წიკლაური* საჭიროებს, რომელსაც ბავშვთა ცერებრული დამბლის დიაგნოზი აქვს – უჭირს გადაადგილება, აქვს ხარვეზები მეტყველებაში, მაგრამ გონებრივად კარგად განვითარებულია. მას უყვარს ისტორია და ერთ-ერთი ყველაზე ნაკითხი ბიჭია კლასში.

ყურადღება მიაქციეთ *ნინო გიორგაძეს* – ის მონდომებული გოგონაა, თუმცა უჭირს პროგრამის დაძლევა. მშობელმაც მითხრა, რომ ნინო ვერ ახერხებს აჰყვეს სწავლების ტემპს და ამის გამო ნერვიულობს. ჩემი პროგრამა საკმაოდ ინტენსიურია, დატვირთული კლასგარეშე მასალით. მიუხედავად იმისა, რომ ნინოს უჭირს, მიმაჩნია, რომ უფრო მეტად უნდა მოინდომოს და არ ჩამორჩეს კლასს.

მე-8ᵇ კლასი აკადემიური მოსწრების მხრივ უფრო ძლიერია, თუმცა პრობლემები აქაც გვაქვს. ამ კლასში ერთი ძნელად „სამართავი“ ბიჭია – *რატი რატიანი. იგი* კონფლიქტურია, ხშირად ეხვევა გაუგებრობებში. გაკვეთილზეც რთულია მისი ქცევის მართვა. გაკვეთილების გაცდენა, უმეტესწილად, მისი ინიციატივით ხდება – ის ადვილად იყოლიებს კლასს. ყურადღება სჭირდება *მამუკა მენაბდესაც*. ბოლო დროს სწავლას ძალიან უკლო, ბევრს აცდენს და გულჩათხრობილი გახდა.

საქაღალდეში ასევე ნახავთ ბოლო სამ თემაზე ჩატარებული ტესტირებების შედეგებს. ვფიქრობ, ესეც დაგეხმარებათ სასწავლო პროცესის წარმართვაში.

ძირითადად ეს იყო, რაც მინდოდა მეთქვა. წარმატებებს გისურვებთ, პატივისცემით,

დემეტრე მინდიაშვილი

დოკუმენტი 2. რატი რატიანის ხელწერილი.



დედაცხე ქალბ,
სიხარულ ვდებ თქვენს გაკვეთილზე
ალაბ ვიხილავ
ისე, რომ ალბერტ - ე უმიზეზოდ
ახასოდეს ვხვდებ - ექსკურსიაზე ან
იყო ჩემი ბიძაი. ბიბლიაბ უბიზოდ
ასე გაამოდის.
ხატი ხატიანი

დოკუმენტი 3. მამუკა მენაბდის დედის წერილი.

From: Eka Machavariani <ekamachavariani@ymail.com>
To: Demetre Mindiashvili <mindiashvilid@gmail.com>
Date: 02.11.2009 18:25:36

ბატონო დემეტრე,

მერიდება, წერილით რომ მოგმართავთ, მაგრამ ძალიან გამიჭირდა და, ვფიქრობ, თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ.

ალბათ თქვენც შენიშნეთ, რომ მამუკამ ბოლო ხანებში სწავლას უკლო. სახლში ფაქტიურად აღარ მეცადინეობს. ყოველთვის კარგი მოსწავლე იყო და ამიტომ კიდევ უფრო ვნერვიულობ. მამის გარდაცვალების შემდეგ ძალიან შეიცვალა, გულჩათხრობილი და აგრესიული გახდა. მამუკას გარდა კიდევ ორი შვილი მყავს, რომლებიც სკოლაში ჯერ არ დადიან. იმისათვის, რომ ოჯახი ვარჩინო, ვმუშაობ და მთელი დღე სახლში არ ვარ. სამწუხაროდ, ბავშვებისათვის მხოლოდ საღამოს ვიცლი.

არ მინდა, ჩვენი ოჯახური პრობლემები მამუკას სწავლაზე აისახოს, ნიჭიერია და მინდა, კარგი განათლება მიიღოს.

ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი პრობლემები მოგახვიეთ თავს, მაგრამ თქვენ ახალგაზრდა და ენერგიული მასწავლებელი ხართ და მგონია, რომ შეგიძლიათ, დამეხმაროთ მამუკას პრობლემის მოგვარებაში.

წინაწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის,

პატივისცემით,
ეკა მაჭავარიანი
მამუკა მენაბდის დედა.

დოკუმენტი 4. ფსიქოლოგის დასკვნა

მოსწავლის სახელი და გვარი: *ნინო გიორგაძე*
სკოლა: *თბილისის N საჯარო სკოლა*
კლასი: *მე-8ᵃ კლასის მოსწავლე*

ზოგადი დახასიათება:

- *ინტელექტუალური თავისებურება:* ნინოს ინტელექტი მისი ასაკობრივი ნორმის საშუალოზე დაბალ დიაპაზონშია, თანატოლებთან შედარებით დიდი დრო სჭირდება მასალის დასასწავლად, უჭირს ინფორმაციით დატვირთული რთული ტექსტის გააზრება.
- *ემოციურ-ნებელობითი თავისებურება:* ორგანიზებულია, აქვს პასუხისმგებლობის მაღალი დონე. თუმცა ასაკთან შედარებით უფრო ინფანტილური და ემოციურად გაუწონასწორებელია. საკუთარ შესაძლებლობებში არ არის დარწმუნებული. შეცდომის დაშვების შიშით, შეიძლება, უარი თქვას დავალების შესრულებაზე.

დასკვნა:

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო დიდი მოცულობის ინფორმაციის სწრაფი ტემპით ათვისების მოთხოვნა ბავშვს ძალიან თრგუნავს და აშინებს. იწვევს ძლიერ შფოთვას, ხელს უწყობს დაბალი თვითშეფასების ფორმირებას, რაც კიდევ უფრო უშლის ხელს ბავშვს დასწავლაში. შესაბამისად, დიდია იმის რისკი, რომ ნინოს სწავლის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს და სწავლაზე გული აიცრუოს.

დოკუმენტი 5. დემეტრე მინდიაშვილის მიერ მე-8ᵃ და მე-8ᵇ კლასებში ბოლო სამი თემის დასრულების შემდეგ ჩატარებული ტესტირებების შედეგები.
(მაქსიმალური ქულა – 10)

	I კვლევითი	II კვლევითი	III კვლევითი
მე-8ᵃ კლასის საშუალო ქულა	6,17	7,02	2,19
მე-8ᵇ კლასის საშუალო ქულა	8,00	8,67	2,67

დოკუმენტი 6. ვაჟა წიკლაურის დედის წერილი.

ბატონო დემეტრე,

მოგმართავთ ვაჟა ნიკლაურის მშობელი. პირველ რიგში მადლობელი ვარ ვაჟას მიმართ თქვენი გულისხმიერებისათვის. თქვენ მისი საყვარელი მასწავლებელი ხართ – ძალიან გენდობათ და დიდ პატივს გცემთ. ისტორიისადმი განსაკუთრებული ინტერესი თქვენ გაუღვივეთ. სერიოზულად ემზადება ოლიმპიადისთვის, პირველ რიგში, თქვენი იმედების გამართლება უნდა.

ახლა ვაჟას სწავლაზე მეტად სხვა საკითხი მანუხებს – ვატყობ, მონუენილია, კლასელებთან ურთიერთობა ვერ დაამყარა, არავისთან მეგობრობს. რამდენჯერმე შევთავაზეთ კლასელები მოეყვანა სახლში, მაგრამ თავს იკავებს. როგორც ჩანს, ბავშვებიც თავს არიდებენ მასთან ურთიერთობას. როცა ამ სკოლაში გადმოვიყვანე, ჩემი ძირითადი მიზანი იყო, ვაჟას თანატოლებთან ურთიერთობა ჰქონოდა და მეგობრები შეეძინა. თვითონაც დიდი მოლოდინი ჰქონდა. ვნერვიულობ, ასე რომ არ გამოვიდა. იქნებ მიაქციოთ ყურადღება.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

პატივისცემით,

ელენე ნიკლაური

მოცემულ მასალაზე დაყრდნობით თქვენ გევალებათ (1) პრობლემების განსაზღვრა და ანალიზი და (2) მათი დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

(1) პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი

საქაღალდეში მოცემული დოკუმენტების საფუძველზე განსაზღვრეთ და გააანალიზეთ პრობლემები, ახსენით: (ა)თითოეული პრობლემის გამომწვევი მიზები და (ბ)რა შეიძლება მოჰყვეს მას შედეგად.

** პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, კონკრეტულად რა საკითხს ან ვის უკავშირდება პრობლემა. თქვენ გევალებათ პრობლემის არსის განსაზღვრა (რა პრობლემაა, რამ გამოიწვია ის, და რა შეიძლება მოჰყვეს შედეგად).*

(2) პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება

აღწერეთ თქვენ მიერ გამოვლენილი თითოეული პრობლემის დაძლევის გზა. დაასაბუთეთ, რა დადებითი ეფექტი ექნება პრობლემის დაძლევის თქვენ მიერ შემოთავაზებულ გზას.

გაითვალისწინეთ, რომ უნდა აღწეროთ პედაგოგის **კონკრეტული აქტივობა, რომელიც მოაგვარებდა პრობლემას.*

ჩაწერეთ:

1. ვაჟა წიკლაურის პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

2. ნინო გიორგაძის პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

3.რაგი რაგიანის პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

4.მამუკა მენაბდის პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

5.ტესტირების შედეგები. პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

დავალება №16

საქართველოს ისტორიის ტესტში პედაგოგმა სხვადასხვა სირთულის დავალებები შეიტანა, რომელთა შესრულებაც სააზროვნო პროცესის განსხვავებულ დონეს მოითხოვს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე დავალება ამ ტესტიდან. დაალაგეთ ისინი სააზროვნო პროცესის სირთულის მიხედვით *დაბლიდან მაღლისაკენ.*

ტესტური დავალებები
I. გარნისის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ჯალალ ად-დინმა საქართველოს სამეფო კარს მიმართა, რომ სურს საქართველოს მეფის, რუსუდანის ცოლად მოყვანა. სამეფო კარზე თათბირი გაიმართა. რატი აბულეთისძე მიიჩნევდა, რომ ჯალალ ად-დინის წინადადების მიღება შეიძლებოდა. ვარდან ამანელისძე კი ამის წინააღმდეგი იყო. **გააანალიზეთ, საქართველოში ამ პერიოდში არსებული ვითარება. მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რომლითაც, თქვენი აზრით, რატი აბულეთისძეს საკუთარი მოსაზრების განმტკიცება შეეძლო.**
II. **რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ლეონტი მროველი?** ა. IX საუკუნეში; ბ. XI საუკუნეში; გ. XIII საუკუნეში; დ. XV საუკუნეში.
III. სოლომონ I-ის ელჩის, მაქსიმე ქუთათელის (აბაშიძის) მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილი წერილში ვკითხულობთ: *„იმერეთში, ზოგიერთ ადგილას, ოქროსა და ვერცხლის გარდა სხვა წიაღისეულიც არის, მაგრამ ისინი იმერეთს არასდროს მოუხმარია, იმიტომ, რომ მგერი არ მომრავლდეს. ყოველთვის იმის ცდაში არიან, რომ დაფარონ და ოსმალებმა არ შეიტყონ...“* **წერილის ტექსტის მიხედვით, რატომ არ ამუშავებდნენ იმერეთში „ოქროსა და ვერცხლის ქანებს“?**

✍ *ჩაწერეთ:*

	სააზროვნო პროცესის სირთულის დონე		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
დავალებები			

დავალება №17

დიმიტრი უზნაძე მიიჩნევდა, რომ აღზრდის პროცესის სირთულეს განაპირობებს სწავლისა და სწავლებისადმი ბავშვისა და აღმზრდელის განსხვავებული შეხედულებები, დამოკიდებულებები და მოტივები. უზნაძემ ეს სხვაობა აღმზრდელობითი პროცესის უმთავრეს წინააღმდეგობად მიიჩნია და მას „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა.

უზნაძის აზრით, აღმზრდელობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის შესუსტებაში:

I. გადამწყვეტი როლი მასწავლებელს ენიჭება, რომელიც უნდა შეეცადოს მოსწავლის ბუნებისა და მისი ინდივიდუალური თავისებურებების გაგებას.
II. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის მიერ ბავშვის სწავლის მოთხოვნილებისა და განწყობის შექმნას.
III. გადამწყვეტი როლი მოსწავლეს ენიჭება, რომელმაც უნდა გააცნობიეროს, რომ აღმზრდელის რჩევები და მითითებები მხოლოდ მისი მომავალი კეთილდღეობის სურვილით არის განპირობებული.
    ა) მხოლოდ I და II
    ბ) მხოლოდ II
    გ) მხოლოდ I და III
    დ) მხოლოდ III

დავალება №18

მათემატიკის პედაგოგმა მეოთხეკლასელ მოსწავლეს შემდეგი დავალება მისცა:

დავალება



ზემოთ მოცემული ფიგურა შემოაბრუნეს 90^0 - ით საათის ისრის მიმართულებით. ქვემოთ მოცემული ოთხი გამოსახულებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს ამ ფიგურას შემობრუნების შემდეგ. რომელია ეს გამოსახულება?



მოსწავლემ **დამოუკიდებლად ვერ გაართვა თავი** ამოცანას, თუმცა ეს საკითხი სახელმძღვანელოში ყურადღებით ჰქონდა წაკითხული. პედაგოგი შეეცადა, გარკვეული მინიშნებებით დახმარებოდა მას, მაგრამ **მოსწავლე მასწავლებლის დახმარებითაც ვერ გაერკვა დავალების არსში.**

ჩამოთვლილთაგან პედაგოგის რომელი აქტივობა იქნება **ყველაზე ადეკვატური** მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად?

ა) პედაგოგმა გადაწყვიტა, გამოეჭრა ისეთივე ფიგურები, როგორიც დავალებაშია მოცემული და ამ ფიგურების საშუალებით თვალსაჩინო გაეხადა ამოცანის ამოხსნის პრინციპი.

ბ) პედაგოგმა მიიჩნია, რომ მოსწავლე ამ საკითხში უკეთ გაერკვევა, თუ მრავალჯერ ამოხსნის ტიპურ დავალებებს და სახლში ამოსახსნელად მსგავსი სავარჯიშოები მისცა.

გ) პედაგოგმა მოსწავლეს მომდევნო გაკვეთილისთვის სახელმძღვანელოდან შესაბამისი თემის გამეორება დაავალა.

დ) პედაგოგმა მიიჩნია, რომ მოსწავლის უნარი, გადაჭრას მსგავსი პრობლემები, განვითარების პროცესშია. გარკვეული პერიოდის შემდეგ ის ისედაც შეძლებს, დამოუკიდებლად ამოხსნას ამგვარი ამოცანა.

დავალება №19

პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით, **ფორმალური ოპერაციების** სტადიაზე მყოფი მოსწავლისათვის დამახასიათებელია აბსტრაქტული აზროვნება და კარგად განვითარებული წარმოსახვა.

მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობებია **მიზანშეწონილი ამ სტადიაზე** მყოფ მოსწავლეთა განვითარების ხელშესაწყობად?

I. მასწავლებელმა გამოკვეთოს პრობლემა და მოსწავლეს სთხოვოს მისი გადაჭრის სავარაუდო გზების ჩამოყალიბება.
II. მასწავლებელმა გამოკვეთოს პრობლემა და მისი გადაჭრის გზების დემონსტრირება მოახდინოს.
III. მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეს პრობლემის გამოკვეთა, მისი გადაწყვეტის გზის ჩამოყალიბება და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება.
   ა) მხოლოდ II და III
   ბ) მხოლოდ I და III
   გ) მხოლოდ II
   დ) მხოლოდ I

დავალება №20

კოლბერგის თეორიის მიხედვით, ბავშვის მორალური განვითარება თანდათან, ასაკის მატებასთან ერთად ხდება და მის ქცევას განვითარების დონის შესაბამისი „მორალური ახსნა“ უდევს საფუძვლად. მოსწავლის ქცევაში გამოვლენილი მორალური განვითარების ხარისხი პირობითად შეიძლება დავყოთ დონეებად.

ჩამოთვლილთგან რომელია მორალური განვითარების **ყველაზე მაღალი დონის** შესაბამისი ქცევა?

ა) მოსწავლე ქცევის შეფასებისას ითვალისწინებს მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მოსაზრებებს.
ბ) მოსწავლე კარგად იქცევა ძირითადად იმის გამო, რომ მასწავლებლებისა და მშობლების შექება დაიმსახუროს.
გ) მოსწავლე აცნობიერებს სოციალური გარემოს ეთიკურ სტანდარტებს და შესაბამისად იქცევა.
დ) მოსწავლე ფიქრობს, რომ ცუდი საქციელია მხოლოდ ის, რის გამოც ისჯება.

დავალება №21

ქვემოთ მოცემულია გაკვეთილის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს, ასევე წარმოდგენილია მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. გაეცანით ორივე მათგანს და შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

მიზანი: განუვითაროს პირველკლასელ მოსწავლეებს საგანთა და მოვლენათა კლასიფიცირების უნარი.

აქტივობა: მასწავლებელმა ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით მოსწავლეებისათვის შეარჩია ქვემოთ მოცემული ორი სავარჯიშო. *მან ჯერ №1 სავარჯიშო მისცა მოსწავლეებს შესასრულებლად, შემდეგ – №2.* მისი ვარაუდით, მოსწავლეთათვის დავალებების ამ თანმიმდევრობით მიცემა კლასიფიცირების უნარის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

სავარჯიშო №1

დავალება: ცალ-ცალკე დაალაგეთ სულიერთა და უსულოთა ფოტოები.

სავარჯიშო №2

დავალება: ცალ-ცალკე დაალაგეთ ქუდიანი და უქუდო ბავშვების ფოტოები.

აღწერილი აქტივობა დასახული მიზნის

ა) **ადეკვატურია**, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს, ჩვეულებრივ, უკვე შეუძლია მოვლენათა კლასიფიცირება ზოგადი ნიშნით (მაგ. სულიერი და უსულო).

ბ) **ადეკვატური არ არის**, რადგან, ჩვეულებრივ, საგანთა და მოვლენათა კლასიფიცირების უნარი მოგვიანებით ყალიბდება და ამ ასაკის ბავშვები ვერ დაძლევენ მოცემულ დავალებებს.

გ) **ადეკვატურია**, რადგან ბავშვმა მოვლენათა კლასიფიცირება ჯერ არსებითი ნიშნის მიხედვით უნდა შეძლოს, რომ შემდგომ გაუადვილდეს კონკრეტული ნიშნით მოვლენების კლასიფიცირება.

დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ამ ასაკში ბავშვს, ჩვეულებრივ, უფრო უადვილდება კონკრეტული, თვალსაჩინო ნიშნით (მაგ. ქუდი) მოვლენათა კლასიფიცირება.

დავალება №22

ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით, მოზარდები იძენენ ახალ გამოცდილებას და სწავლობენ სხვა ადამიანებზე დაკვირვებით. თუმცა, იმისათვის, რომ მოსწავლემ სხვა ადამიანის, *ე.წ. მოდელის* ქცევას მიბაძოს, იგი (მოდელი) გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ჩამოთვლილთაგან რომელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს *მოდელი* იმისათვის, რომ სოციალური დასწავლის პროცესი ეფექტიანად წარიმართოს?

I. მნიშვნელოვანია სქესის ფაქტორის გათვალისწინება – ბიჭი მოსწავლეები ავტორიტეტულ მამაკაცებს ბაძავენ, ხოლო გოგონები – ქალებს.
II. მოდელირება/მიბაძვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად მოსწავლეები მიიჩნევენ მოდელს კომპეტენტურად.
III. მნიშვნელოვანია ასაკის გათვალსიწინება – მოსწავლეები მხოლოდ ასაკით მათზე უფროსს ბაძავენ.

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ III

დავალება №23

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური გარემო. ბავშვი გარემოს ხელშეწყობით გადადის განვითარების ე.წ. *აქტუალური ზონიდან უახლოეს ზონაში.*

ამ თეორიის მიხედვით, მასწავლებლის რომელი აქტივობა დაეხმარება მოსწავლეს, გადავიდეს განვითარების *აქტუალური ზონიდან უახლოეს ზონაში*?

ა) მასწავლებელმა ამოცანის ამოსახსნელად საჭირო თითოეული ნაბიჯი თავად უნდა შეასრულოს და განუმარტოს მოსწავლეს.
ბ) მასწავლებელმა უნდა სთხოვოს წარჩინებულ მოსწავლეს მთელ კლასს აჩვენოს რა გზით ამოხსნა ამოცანა.
გ) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა მისცეს მარტივი დავალებები სახლში შესასრულებლად.
დ) მასწავლებელმა ამოცანის ამოხსნის პროცესში კითხვების დახმარებით უნდა მიიყვანოს მოსწავლე სწორ პასუხამდე.

დავალება №24

სწავლისა და სწავლების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მოსწავლის **სააზროვნო უნარების** განვითარების ხელშეწყობაა. *ბლუმის* თეორიის მიხედვით, ინფორმაციის შენახვა და გახსენება სააზროვნო აქტივობის ყველაზე დაბალი საფეხურია, რაც სწავლისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია განზოგადდეს და შემდგომში მოსწავლემ მისი გამოყენება შეძლოს, აუცილებელია მისი გაგება და ანალიზი. ახალი პროდუქტის შესაქმნელად, ახალი ცოდნის მისაღებად კი საჭიროა სინთეზისა და შეფასების ოპერაციები.

ბლუმის ტაქსონომია ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული თემის სწავლებისას ან გაკვეთილის დაგეგმვის დროს.

წარმოიდგინეთ, რომ ამზადებთ რაიმე თემის სწავლების გეგმას. თემა მნიშვნელოვანია და თქვენი მიზანია, მიაღწიოთ მოსწავლეების მიერ საკითხის ღრმა გააზრებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აზროვნების თითოეული დონის გასწვრივ აღწერეთ მასწავლებლის აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის დონეზე მოსწავლეების მიერ თემის ათვისებას.

**ცხრილში აზროვნების რამდენიმე დონის (ცოდნა, სინთეზი, შეფასება) გასწვრივ უკვე ჩაწერილია მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა.*

ჩაწერეთ:

აზროვნების დონე	*მასწავლებლის აქტივობა*
ცოდნა	მასწავლებელი განმარტავს წესს, ცნებას. მოსწავლეებს აწვდის თემასთან დაკავშირებულ ახალ ფაქტებს.
გაგება	
გამოყენება	
ანალიზი	
სინთეზი	მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს შესწავლილი თემის (ფაქტების, წესების, თეორიის და ა.შ.) საფუძველზე შეიმუშავონ ჰიპოთეზები, ჩამოაყალიბონ პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები.
შეფასება	ახალი მასალის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას, მოსწავლეებთან ერთად კრიტიკულად განიხილავს თემას (თეორიას). სთხოვს მათ, მოიყვანონ არგუმენტები და კონტრარგუმენტები ამ თეორიის/მიდგომის შედეგიანობის, პრაქტიკული გამოყენების შესაფასებლად.

დავალება №25

დაწყებითი კლასის მასწავლებელმა მოსწავლეებს უჩვენა წყლით თანაბრად სავსე ორი ერთნაირი ჭურჭელი და ჰკითხა:

„მითხარით, რომელ ჭურჭელში უფრო მეტი წყალი ასხია?“.



მოსწავლეებმა უპასუხეს: **„ორივე ჭიქაში წყლის თანაბარი რაოდენობაა.“** ამის შემდეგ, მასწავლებელმა ერთ-ერთ ჭიქაში მოსწავლეების თვალწინ რკინის ბურთულა ჩააგდო



და შეკითხვა გაიმეორა: – **„რომელ ჭურჭელში უფრო მეტი წყალი ასხია?“**

ერთ-ერთმა მოსწავლემ უპასუხა: **„რომელშიც ბურთულა გდია“.**

ახსენით, პიაჟეს თეორიის მიხედვით, რამ განაპირობა მოსწავლის ასეთი პასუხი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ, ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარების ის თავისებურება, რომელმაც განაპირობა მოსწავლის ამგვარი პასუხი. მიუთითეთ ფაქტორი/ ფაქტორები, რომლებიც, ჩვეულებრივ, იწვევენ ამგვარ შეცდომებს.

**იმ შემთხვევაში, თუ პიაჟეს თეორიას არ იცნობთ, ან გიჭირთ მისი ამ კონტექსტში გამოყენება, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.*

ჩაწერეთ:

დავალება №26

ყურადღებით გაეცანით სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, ქვემოთ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორი ფორმით და დაასაბუთეთ თქვენი პაასუხი**.

ზამთრის არდადეგების დასრულებიდან რამდენიმე დღეში ერთ-ერთი საჯარო სკოლის მერვე კლასის დამრიგებელმა მშობელთა კრება მოიწვია, რათა მშობლებისათვის სკოლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება გაეცნო. სკოლას ბუნებრივი აირის მომწოდებელი კომპანიის მიმართ დიდი დავალიანება დაუგროვდა, რომელსაც არსებული ბიუჯეტით ვერ ფარავდა. საბჭო თხოვნით მიმართავდა მოსწავლეთა მშობლებს, სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით დახმარებოდნენ სკოლას შემოწირულობის სახით. სამეურვეო საბჭოს თხოვნას მშობელთა დიდი ნაწილი გაგებით მოეკიდა.

შეხვედრის ძირითადი თემის განხილვის შემდეგ დამრიგებელმა მშობლებს გააცნო მოსწავლეთა მიღწევები თავის საგანში. ყურადღება გაამახვილა ორ მოსწავლეზე, რომლებიც ცუდი დისციპლინით გამოირჩევიან და აკადემიური მოსწრებაც დაბალი აქვთ. დამრიგებელმა ამ მოსწავლეთა მშობლებს შესთავაზა ბავშვებისათვის დამატებითი მეცადინეობის ჩატარება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამგვარი დახმარება მასწავლებელს მათთვის სხვა დროსაც გაუწევია. ამასთანავე, დამრიგებელმა კრებაზე განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ფასიანი საგნობრივი წრეები, რომელთა მიზანია, დაეხმაროს შედარებით სუსტ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების ათვისებაში.

კრების ბოლოს დამრიგებელმა მკაცრად გააფრთხილა უდისციპლინო მოსწავლეების მშობლები, რომ თუ მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლისადმი არ შეიცვლება, იგი დისციპლინური კომიტეტის წინაშე დააყენებს ამ მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვის საკითხს.

26.1 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით სამეურვეო საბჭოს არ ჰქონდა უფლება, არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით, თანხების მოსაზიდად მშობლებისათვის მიემართა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

26.2 საჯარო სკოლას უფლება აქვს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

26.3 ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია, დაიცვას საჯაროობის პრინციპი და მშობელთა კრებაზე დეტალურად განიხილოს თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევა და დისციპლინური საკითხები.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

26.4 საჯარო სკოლის დისციპლინურ კომიტეტს უფლება არა აქვს სკოლიდან გარიცხოს მოსწავლე დაბალი აკადემიური მოსწრების გამო.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

26.5 საჯარო სკოლას არა აქვს უფლება, შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამის ფარგლებში დამატებითი საგანმანათლებლო ფასიანი მომსახურება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

დავალება №27

ყურადღებით გაეცანით აღწერილ სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, ქვემოთ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორი ფორმით და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.**

ერთ-ერთი საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა, დირექციასთან შეთანხმებით, სკოლის ეზოში არასაგაკვეთილო დროს როკ-კონცერტი მოაწყვეს.

კონცერტს სხვა სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. კონცერტის მსვლელობისას სხვადასხვა სკოლის რამდენიმე მოსწავლეს შორის შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა და ერთ-ერთი მათგანი მსუბუქად დაიჭრა. კონცერტი შეწყდა. საპატრულო პოლიციის მოსვლამდე სიტუაციაში გარკვევას სკოლის დირექტორი და მეთორმეტე კლასის დამრიგებელი საკუთარი ძალებით შეეცადნენ. მათ სხვა სკოლის მოსწავლეებს დაატოვებინეს სკოლის ტერიტორია. მეთორმეტე კლასის დამრიგებელმა თავისი მოსწავლეები საკლასო ოთახში შეიყვანა და გაჩხრიკა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დანის მფლობელი მოსწავლე განყოფილებაში წაიყვანეს.

ამ ფაქტის განსახილველად დირექტორმა მეორე დღესვე მოიწვია დისციპლინური კომიტეტის რიგგარეშე სხდომა. სხდომაზე დასწრება კონცერტის ორგანიზატორმა მოსწავლეებმაც მოითხოვეს, რაზეც დირექციისაგან უარი მიიღეს.

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებით, კონცერტის ორგანიზატორები ერთი კვირით დაითხოვეს სკოლიდან.

27.1 მოსწავლეებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, აქვთ სკოლის ტერიტორიაზე შეკრების თავისუფლება კანონით დადგენილი წესით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

27.2 სკოლის მასწავლებელი უფლებამოსილი იყო, სიტუაციაში გარკვევის მიზნით, ჩაეტარებინა თავისი კლასის მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

27.3 სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მომხდარის შესახებ იმ მოსწავლის მშობელს, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა წაიყვანეს განყოფილებაში.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

27.4 მოსწავლეებს ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ და მიეღოთ იმ დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე დასწრების უფლება, რომელზეც მათი საკითხი განიხილებოდა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

27.5 დისციპლინურ კომიტეტს არ აქვს უფლება, მოსწავლე/მოსწავლეები დაითხოვოს სკოლიდან ერთი კვირის ვადით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

შეფასების სქემა იხილეთ დანართში N 4

II თავი

ტესტურ დავალებათა ტიპები

შეფასების პრინციპები

განმარტებები

რეკომენდაციები

2.1. დავალება ღია დაბოლოებით

თქვენ უკვე გაეცანით 2010 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებულ პროფესიული უნარების ტესტს, რომელშიც განსხვავებული ტიპის დავალებებია გამოყენებული: არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის, ”ჭეშმარიტია/მცდარია“ ტიპის დავალებები და დავალებები ღია დაბოლოებით. ტესტირების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ დავალებათა შორის აპლიკანტებს ყველაზე მეტი სირთულე „ღია“ დავალებებზე მუშაობისას შეექმნათ. ღია დავალებებზე მუშაობის სპეციფიკაში უკეთ გარკვევის მიზნით, მათზე განსაკუთრებულად გავამახვილებთ ყურადღებას.

„ღია“ დავალება შედგება ორი ნაწილისაგან: **დავალების პირობა და შეკითხვა**, რომელსაც არა აქვს თანდართული სავარაუდო პასუხები და აპლიკანტს ევალება, თავად იმსჯელოს დავალებაში დასმულ პრობლემაზე. შეკითხვა შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე მითითებას. მითითება ეხმარება აპლიკანტს, კარგად გაიაზროს პირობა და განსაზღვროს, რა მიმართულებით უნდა წარმართოს მსჯელობა.

ღია დავალების ნიმუში:

დავალება№14 *მაქსიმალური ქულა - 4*

პირობა { დამწყებ პედაგოგს მეცხრე კლასში დისციპლინის პრობლემები შეექმნა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად მან გადაწყვიტა კლასში მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება და რჩევისთვის თქვენ მოგმართათ.

მითითება {
- მიეცით პედაგოგს ორი რჩევა, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავებისას.
- ახსენით, როგორ დაეხმარება თქვენი რჩევა დამწყებ პედაგოგს დისციპლინის პრობლემების მოგვარებაში. დაასახელეთ თითოეული რჩევის დადებითი შედეგი.

ღიაბოლოიანი დავალება, ჩვეულებრივ, მოითხოვს სიტუაციის ანალიზს, არგუმენტაციას, პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი გადაჭრის გზების ძიებას, პრობლემის პრევენციაზე ან დაძლევაზე ორიენტირებული აქტივობების აღწერასა და მათი შესაძლო შედეგების შეფასებას... ამ ტიპის დავალებას არა აქვს ერთი სწორი პასუხი. სწორედ ამიტომ, თითეული „ღია“ დავალებისათვის წინასწარ არის შემუშავებული შეფასების სქემა, რომელშიც განხილული და დასაბუთებულია ყველა შესაძლო „სწორი პასუხი“. შეფასების სქემაში დეტალურადაა აღწერილი, რა შემთხვევაში ფასდება აპლიკანტი „ნაწილობრივი“ ან მაქსიმალური ქულით. სქემაში აღწერილი შეფასების საერთო პრინციპისა და შინაარსის ადეკვატურობის გათვალისწინებით ფასდება თითოეული აპლიკანტის ნაშრომი. იმისათვის, რომ დავალება სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, ამასთან, პასუხი არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.

ღია დავალების შეფასებისას ხშირად გამოიყენება შეფასების რუბრიკები. რუბრიკა შეფასების სქემის გზამკვლევს წარმოადგენს. შეფასების რუბრიკა შეიძლება იყოს **ჰოლისტური (მთლიანი) და ანალიტიკური. ჰოლისტური რუბრიკა** ნამუშევარს აფასებს მთლიანობაში, თუ როგორ არის შესრულებული ნამუშევრები ზოგადად, ხოლო **ანალიტიკური რუბრიკა** – ცალკეულ კომპონენტებს. პროფესიული უნარების ტესტში ღია დავალებების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური რუბრიკა.

შეფასების სქემა ჰოლისტური რუბრიკის სახით ასახავს ნებისმიერი ღია დავალების შეფასების ძირითად პრინციპს, ჰოლისტური რუბრიკის ნიმუში წარმოდგენილია №4 დანართში (გვ. 161)

პედაგოგთა ნამუშევრების თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინილი ხარვეზების საილუსტრაციოდ გთავაზობთ 2010 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ზოგიერთ ღიაბოლოიან დავალების პასუხების ნიმუშებს, თანდართული განმარტებებით. ნიმუშები აღებულია პროფესიული უნარების ტესტის I ვარიანტიდან.

დავალება №12 *მაქსიმალური ქულა - 6*

ისტორიის მასწავლებელმა მოსწავლეებს კლასგარეშე მასალა მისცა წასაკითხად და თითოეულს სთხოვა, ჩამოეწერა:

(1) სამი მოვლენა/ფაქტი, რაც მოსწავლემ ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია ამ მასალაში;
(2) ორი საკითხი, რომლის შესახებაც მოსწავლეს სურს მეტი გაიგოს;
(3) ერთი კითხვა, რომლის პასუხი მოსწავლემ მასალაში ვერ იპოვა და ის ბუნდოვანი დარჩა მისთვის.

აღწერეთ სწავლის მოცემული სტრატეგიის დადებითი ეფექტი. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- *დაასახელეთ მოსწავლის ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც აღწერილი მეთოდი უწყობს ხელს. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*
- *ახსენით, როგორ ეხმარება მასწავლებელს ეს მეთოდი სასწავლო მიზნების მიღწევაში.*

რას ვაფასებთ. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა კოგნიტური უნარების განვითარებას. პედაგოგმა სასწავლო პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ საგნობრივი ცოდნის გადაცემასთან, ერთად ხელი შეუწყოს სააზროვნო უნარის განვითარებას. ამისთვის აუცილებელია, პედაგოგი თავად კარგად იცნობდეს სააზროვნო პროცესების, სააზროვნო უნარების ბუნებას, ამ უნარების განვითარების ხელშეწყობისაკენ მიმართულ პრაქტიკულ სტრატეგიებს.

შეფასების კრიტერიუმები. ეს დავალება 6 ქულიანია. პლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად, ორ მითითებას უნდა უპასუხოს: (1) **უნდა დაასახელოს ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს სწავლების აღწერილი მეთოდი. ამასთან, დაასაბუთოს, საკუთარი პასუხი;** (2) **უნდა ახსნას, როგორ ეხმარება მასწავლებელს ეს მეთოდი სასწავლო მიზნების მიღწევაში.**

<u>I მითითება – მაქსიმალური ქულა 4.</u>

მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, დასახელებულია ორი ადეკვატური უნარი და ამასთან, დასაბუთებულია სწავლების აღნიშნული მეთოდის მნიშვნელობა თითოეული უნარის განვითარებისთვის

შენიშვნა: *ჩვეულებრივ, ღია დავალებას შეიძლება რამდენიმე სწორი პასუხი ჰქონდეს. დავალებაში აღწერილმა სწავლების მეთოდმა შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა უნარის განვითარებას, შესაბამისად, დავალება მსჯელობის სხვადასხვა მიმართულებით წარმართვის საშუალებას იძლევა. ამ დავალების შეფასების სქემაში დეტალურადაა აღწერილი სხვადასხვა სააზროვნო უნარი (მაგ., ანალიტიკური, მეტა-კოგნიტური, კრიტიკული, წაკითხულის გააზრებისა და სხვ.), რომლის განვითარებასაც* ***<u>შეიძლება</u>*** *ხელი შეუწყოს სწავლების ამ მეთოდმა.*

შეფასების პრინციპი:

- 2 ქულა – ერთი ადეკვატურად დასახელებული უნარი შესაბამისი დასაბუთებით; 4 ქულა – ორი ადეკვატურად დასახელებული უნარი შესაბამისი დასაბუთებით;
- 2 ქულა – ადეკვატურად დასახელებული ორი უნარი დასაბუთების გარეშე; 1 ქულა – დასახელებულია ერთი უნარი, დასაბუთების გარეშე.

<u>II მითითება – მაქსიმალური ქულა 2</u>.

ეს მეთოდი პედაგოგს აწვდის დიაგნოსტიკური ტიპის ინფორმაციას, ეხმარება მასწავლებელს, მეტი გაიგოს მოსწავლეთა შესახებ, შეაფასოს რა ისწავლა მოსწავლემ ამ მასალის დამუშავებით და რა საკითხები დარჩა მისთვის ბუნდოვანი. შესაბამისად, მეთოდი შესაძლებლობას აძლევს პედაგოგს, **დაგეგმოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით**. მეთოდის გამოყენებამ, ასევე, შეიძლება ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ზრდას.

შეფასების პრინციპი:

- 2 ქულა – აპლიკანტის პასუხი სრულყოფილია, აღწერილია სწავლების ამ მეთოდის მნიშვნელობა სასწავლო მიზნების მიღწევაში და მსჯელობა დასაბუთებულია.
- 1 ქულა – მოცემულია ადეკვატური მოსაზრება, მაგრამ არ არის დასაბუთებული ან შესაბამისი არგუმენტებით გამყარებული, პასუხი სქემატურია.

სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ დავალების შესრულება პედაგოგთა დიდ ნაწილს გაუჭირდა. პასუხებში ჩანს, უნარების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიისა და, შესაბამისად, უნარების შესახებ ცოდნის უკმარისობა. უმეტეს შემთხვევაში აპლიკანტები ვერ ახერხებენ უნარის სახელდებასა და აღწერას, შესაბამისად, უჭირთ კონკრეტულ სიტუაციაში მისი ფუნქციის ჩვენებაც. როგორც ჩანს, პედაგოგებს ამ მიმართულებით სჭირდებათ დამატებითი ტრეინინგი და დამხმარე მეთოდოლოგიური მასალა.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, დეტალურად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომის ორი ნიმუში.

ნიმუში № 1



პასუხი შეფასებულია 6 ქულით.

განმარტება:

I მითითება. აპლიკანტის პასუხი პირველი მითითების შესაბამისად არის ჩამოყალიბებული, ის ასახელებს ორ უნარს (ანალიტიკური აზროვნებისა და კვლევა-ძიების) და ადეკვატურად ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას. კერძოდ, აპლიკანტი მიუთითებს, რომ ამ მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლის მიერ განხორციელებული კოგნიტური აქტივობები მიმართულია ანალიტიკური აზროვნების განვითარებისკენ. ის, რომ მოსწავლე დამოუკიდებლად მოიპოვებს ინფორმაციას, უყალიბებს მას კვლევა-ძიების უნარს. აპლიკანტი სრულად პასუხობს კითხვას და, შესაბამისად, შეფასებულია მაქსიმალური 4 ქულით.

II მითითება. მეორე მითითებაზე აპლიკანტის პასუხი ასევე მაქსიმალური, ორი ქულით შეფასდა. პასუხი ამომწურავია, აპლიკანტი ხედავს მეთოდის არსებით მნიშვნელობას – იგი მიუთითებს ამ მეთოდის დიაგნოსტიკურ ხასიათზე და აღწერს, როგორ შეიძლება მისი ეფექტიანად გამოყენება კლასთან მუშაობის დროს.

ტიპური შეცდომები

- *სააზროვნო უნარებთან დაკავშირებული ტერმინების არასწორად გამოყენება.*
  - არასწორად, არაადეკვატურად გამოიყენება აზროვნებასთან დაკავშირებული ტერმინები; სააზროვნო უნარისაგან სრულიად განსხვავებული, სხვა კატეგორიის ფენომენი, მაგალითად, მოტივაცია, ჩართულობა, აქტიურობა, თვითშეფასება მასწავლებელთა პასუხებში ხშირად მოხსენიებულია, როგორც უნარი.
  - აპლიკანტების პასუხში ხშირად სწავლების სტრატეგია („აღმოჩენებით სწავლა“) ან ადამიანის პიროვნული თვისებები მოსწავლეთა უნარადაა მიჩნეული.

<u>შენიშვნა:</u> *მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტები ვერ ახერხებენ უნარების სწორად სახელდებას, ხშირად ფუნქციურად სწორად აღწერდნენ მათ, მაგალითად: „სწავლების ეს სტრატეგია ეხმარება მოსწავლეს ტექსტის გაგებაში“, ამ პასუხში არაფერია ნათქვამი წაკითხულის გააზრების უნარის შესახებ, თუმცა ტექსტის გაგება, სწორედ წაკითხულის გააზრების უნარის კომპონენტია. შეფასების სქემის მიხედვით, მნიშვნელოვანია არა ზუსტი ტერმინოლოგიის გამოყენება, არამედ, ამ თუ იმ უნარის არსის, მისი ფუნქციის ცოდნა, შესაბამისად, ამგვარი პასუხი ფასდება, როგორც სწორი პასუხი.*

- *პერიფრაზი.* დასახელებული უნარის განმარტების ან დასაბუთების ნაცვლად აპლიკანტები ხშირად იყენებდნენ დავალების პირობის პერიფრაზს. მაგალითად: *„მეთოდი ხელს უწყობს წაკითხულის გაგების უნარის განვითარებას, რადგან მოსწავლემ უნდა ჩამოწეროს სამი მოვლენა/ფაქტი, რომლებიც მან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია ამ მასალაში“.* მსგავსი პასუხის შემთხვევაში აპლიკანტი იღებს 1 ქულას უნარის სწორად დასახელების გამო, პერიფრაზი არ ითვლება

დასაბუთებად, შესაბამისად, დასაბუთების კომპონენტში ნაშრომი 0 ქულით ფასდება.

- *დავალების პირობის არასწორი გაგება.* ხშირად დავალების პირობის სამ პუნქტს *(1. სამი მოვლენა/ფაქტი, რაც მოსწავლემ ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია ამ მასალაში; 2. ორი საკითხი, რომლის შესახებაც მოსწავლეს სურს, მეტი გაიგოს; 3. ერთი კითხვა, რომლის პასუხი მოსწავლემ მასალაში ვერ იპოვა და ის ბუნდოვანი დარჩა მისთვის.)* პედაგოგები პასუხებში სათითაოდ შეუსაბამებდნენ რომელიმე უნარს. მაგალითად: „*პრობლემური საკითხის გამოყოფით მოსწავლეს უვითარდება ანალიზის უნარი“,* მეორე პუნქტით –„*მოტივაციის უნარი“*, მესამე პუნქტით –„*ძიების უნარი“*. ამგვარი პასუხი მიუთითებს, რომ აპლიკანტს გაუჭირდა პირობის გააზრება და დავალებაში მოცემული ინფორმაციის გამთლიანება, მისი კომპლექსურად გაანალიზება.
- *არგუმენტები და მაგალითები.* ხშირად აპლიკანტები სწორად ასახელებდნენ უნარებს, თუმცა ვერ ამყარებენ მსჯელობას შესაბამისი არგუმენტებითა და მაგალითებით. ზოგჯერ აპლიკანტის მიერ მოყვანილი არგუმენტები არ შეესაბამებოდა მათ მიერვე დასახელებულ უნარს. მაგალითად, აპლიკანტი მიუთითებს, რომ მეთოდი ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარს, მაგრამ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოყვანილი არგუმენტები შეესაბამება დამოუკიდებელი მუშაობს უნარს. ასეთ შემთხვევაში დასაბუთების ნაწილში იწერება 0 ქულა.
- *გამეორება.* დავალების კითხვა ორ მითითებას მოიცავს. მეორე მითითებაზე პასუხი ხშირად წარმოადგენდა პირველ მითითებაში გამოთქმული მოსაზრების გამეორებას. მაგალითად, „სწავლების აღწერილი მეთოდი ეხმარება პედაგოგს, ხელი შეუწყოს მოსწავლის წაკითხულის გააზრებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას (I მითითებაზე პასუხი). მასწავლებელს ეს მეთოდი ეხმარება სასწავლო მიზნების მიღწევაში, რადგან ავითარებს წაკითხულის გააზრებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარს (მეორე მითითებაზე პასუხი)“. ასეთ შემთხვევაში მეორე მითითებაზე პასუხი ფასდება 0 ქულით.

II მითითებაზე პასუხებში შედარებით იშვიათად იყო აღწერილი სასწავლო მიზნების მიღწევაში მეთოდის არსებითი ღირებულება – პედაგოგმა მოსწავლის შესახებ ამ მეთოდით მოპოვებული დიაგნოსტიკური ტიპის ინფორმაცია (რა იცის, რა უჭირს და რა აინტერესებს) ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. ამ მითითებაზე ყველაზე ტიპური პასუხი იყო მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა.

დავალება №13

მაქსიმალური ქულა - 5

სწავლისა და სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ჯგუფური მუშაობის მეთოდს. ამ მეთოდის ეფექტიანობას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, ფიზიკური გარემო. სურათზე გამოსახულია მერხების განლაგების სქემა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება ჯგუფური მუშაობის დროს.

- ახსენით, რატომ მოითხოვს ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენება კლასში მერხების ამგვარ განლაგებას.
- დაასახელეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა (ფიზიკური გარემოს მოწყობის გარდა), რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის დროს. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
- დაასახელეთ ჯგუფური მუშაობის ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი ეფექტი.

რას ვაფასებთ. უკანასკნელ წლებში სკოლებში ინტენსიურად ინერგება ინტერაქტიული სწავლების მეთოდები. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მასწავლებლისაგან მოითხოვს იმ კომპეტენციებისა და უნარების ფლობას, რომლებიც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში ინტერაქტიული მეთოდების ეფექტურ გამოყენებას.

ეს დავალება აფასებს, რამდენად ეფექტიანად შეუძლია პედაგოგს ინტერაქციული სწავლების ერთ-ერთი მეთოდის, ჯგუფური მუშაობის გამოყენება. ამა თუ იმ მეთოდის ეფექტიანად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია პედაგოგი ფლობდეს ინფორმაციას იმ ფაქტორების შესახებ, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია კონკრეტული მეთოდით მუშაობის

დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია, იცნობდეს იმ რისკებსა და პოზიტიურ ეფექტებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული მეთოდის გამოყენებას.

დავალების მაქსიმალური ჯამური ქულა არის 5.

<u>I მითითება – მაქსიმალური ქულა 1 .</u> აპლიკანტს მოჰყავს ერთი არგუმენტი მაინც, რომლითაც შეიძლება აიხსნას ჯგუფური მუშაობისას კლასში მერხების ამგვარი განლაგების აუცილებლობა.

შეფასების სქემაში მოცემულია პასუხების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება სწორად მივიჩნიოთ. მაგალითად*: კლასში მერხების ამგვარი განლაგება საშუალებას აძლევს პედაგოგს, დაყოს კლასი მცირე ჯგუფებად ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ ჯგუფის წევრებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა; თავად პედაგოგს საშუალებას აძლევს, გადაადგილდეს მერხებს შორის, პერიოდულად დააკვირდეს ცალკეული ჯგუფის მუშაობას და, საჭიროების შემთხვევაში, მისცეს მითითებები* და ა.შ.

შენიშვნა: *შეფასების სქემის მიხედვით, სწორ პასუხად არ მიიჩნევა ის მსჯელობა, რომელიც ეხება ფოტოზე წარმოდგენილი მერხების განლაგების მხოლოდ აღწერას (მაგალითად: ამგვარი განლაგება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მოსწავლეები სხედან ერთმანეთის პირისპირ; მოსწავლეები უყურებენ ერთმანეთს და ა.შ.). აღნიშნული უნდა იყოს აუცილებლად თვისებრივი მახასიათებელი, და არა ის, რაც ფოტოზე აშკარად ჩანს.*

<u>II მითითება – მაქსიმალური ქულა 2.</u>

2 ქულა – აპლიკანტი ასახელებს კიდევ ერთ პირობას, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობის დაგეგმვისას და ამასთან, ასაბუთებს, როგორ უწყობს ხელს დასახელებული პირობის გათვალისწინება ჯგუფური მუშაობის ეფექტიანობას.

1 ქულა – აპლიკანტი ასახელებს ჯგუფური მუშაობის ეფექტური წარმართვისათვის მნიშვნელოვან ერთ პირობას, მაგრამ პასუხი არ არის დასაბუთებული.

ცხადია, არსებობს არაერთი პირობა, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ჯგუფური მუშაობის დაგეგმვისას. შეფასების სქემაში მოცემულია რამდენიმე პირობის აღწერა შესაბამისი დასაბუთებით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სწორი პასუხის ორ მაგალითს:

(1). პედაგოგმა ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი თემის შერჩევის დროს უნდა გაითვალისწინოს <u>მოსწავლეთა ცოდნის დონე ამ საკითხში.</u>

<u>დასაბუთება</u>: ჯგუფური მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია მოსწავლეებს ჰქონდეთ პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო ძირითადი ცოდნა, რათა შეძლონ ამ ცოდნის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად, ამ პრობლემასა და მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე მსჯელობა.

(2). ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ჯგუფის თითოეული წევრის როლი.

<u>დასაბუთება:</u> პასიურობის თავიდან ასაცილებლად, მოსწავლეები წინასწარ უნდა გაეცნონ თავიანთ ფუნქციებს და მოვალეობებს; ამისათვის მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლეს უნდა მისცეს კონკრეტული დავალება და განსაზღვროს მათი როლი ჯგუფურ მუშაობაში.

<u>III მითითება – მაქსიმალური ქულა 2</u>.

2 ქულა – დასახელებულია ჯგუფური მუშაობის ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი ეფექტი.

1 ქულა – დასახელებულია ამ მეთოდის მხოლოდ დადებითი ან მხოლოდ უარყოფითი მხარე.

შენიშვნა: სწორ პასუხად არ მიიჩნევა ჯგუფური მუშაობის თანამდევი მოვლენები, რომლებიც არ ახდენს გავლენას მეთოდის ეფექტიანობაზე. შესაბამისად, ასეთი ფაქტორები არ შეიძლება მივიჩნიოთ მეთოდის უარყოფით მხარედ (მაგალითად: ჯგუფური მუშაობა იწვევს ხმაურს; ჯგუფური მუშაობისას მერხების გადაადგილება ქმნის ქაოსს და ა.შ.)

დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, გთავაზობთ აპლიკანტთა ნაშრომების რამდენიმე ნიმუშს.

ნიმუში №1



ნიმუში №2



კომენტარი

ზემოთ წარმოდგენილ ნიმუშებში მოცემული მსჯელობები ჯგუფური მუშაობის განსხვავებულ ასპექტებს ეხება, შესაბამისად, არგუმენტებიც განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, ორივე მათგანი პასუხობს დავალებაში მოცემულ *ყველა* მითითებას და შესაბამისად შეფასებულია მაქსიმალური 5 ქულით.

I მითითება. ორივე აპლიკანტი სწორად განმარტავს მერხების სპეციფიკური განლაგების მნიშვნელობას ჯგუფურ მუშაობაში.

აპლიკანტს (ნიმუში №1) მოჰყავს ორი არგუმენტი: კომუნიკაციის პროცესის ხელშეწყობა და კომუნიკაციის ბარიერის შემცირება (ჯგუფები ფიზიკური დაშორების გამო „*ერთმანეთს არ უშლიან ხელს*“). მეორე აპლიკანტის აზრით (ნიმუში №2), კი ამგვარი განლაგება ჯგუფის შიგნით მოსწავლეთა თანამშრომლობას უწყობს ხელს. წარმოდგენილი არგუმენტები ადეკვატურია, შეესაბამება შეფასების სქემას, შესაბამისად, ორივე აპლიკანტი ამ კომპონენტში მაქსიმალურ 1 ქულას იმსახურებს.

**მიუხედავად იმისა, რომ პირველი აპლიკანტის პასუხში, დავალების მოთხოვნის მიუხედავად, დასახელებულია ორი ადეკვატური არგუმენტი, აპლიკანტი დამატებით ქულას არ იღებს.*

II მითითება. ამ მითითების მიხედვით, აპლიკანტმა უნდა დაასახელოს კიდევ ერთი პირობა (ფიზიკური გარემოს მოწყობის გარდა), რომელიც უნდა დაიცვას მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობის დაგეგმვისას. ორივე აპლიკანტი სრულყოფილად პასუხობს მეორე მითითებას – ასახელებს მნიშვნელოვან პირობას, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფური მუშაობის ეფექტურობას და ადეკვატურად ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას. №1 ნიმუშში აპლიკანტი გამოყოფს ქცევის წესების ერთობლივად შემუშავების აუცილებლობას, რათა გაადვილდეს მოსწავლეთა ქცევის მართვა. №2 ნიმუშში ხაზგასმულია ჯგუფური მუშაობის დაგეგმვისას მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინების მნიშვნელობა, ამასთან, პასუხი არგუმენტირებულია. ორივე პასუხი შეფასებულია 2 ქულით.

III **მითითება**

წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ორივე აპლიკანტს ესმის ჯგუფური მუშაობის სპეციფიკა, იცნობს მეთოდის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს, რაც იმის წინაპირობაა, რომ პედაგოგები შეძლებენ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენებასა და ინტერაქციული გაკვეთილის ეფექტურად წარმართვას.

ორივე აპლიკანტის პასუხი ამომწურავია და იმსახურებს მაქსიმალურ შეფასებას – 2 ქულას.

ნიმუში №3


13. ასეთი მერხების განლაგება, ბავშვებს ხელს უწყობს ეფექტიანი ურთიერთშრომლობა. ჯგუფი უნდა შედგებოდეს 4-5 მოსწ. ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი რომ დამკვირვებელი. დაეხმარი მასაც რომ ის ბოლო ბოლოს იმუშაონ ერთად-ჩვენს, და ხანგრძლივი ეფექტიანობის აზრის ვერ ვიტყვი.

კომენტარი

აპლიკანტის ნაშრომი შეფასებულია 3 ქულით, რადგან იგი არ პასუხობს დავალებაში მოცემულ *ყველა* მითითებას (მეორე და მესამე მითითებების პასუხი არ არის სრულყოფილი):

I **მითითება.** მერხების ფოტოზე მოცემული განლაგების უპირატესობას აპლიკანტი მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობით ხსნის. აპლიკანტის აზრით, კლასში მერხების ამგვარი დაჯგუფება ამარტივებს მოსწავლეთა შორის კომუნიკაციას, პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

II **მითითება.** აპლიკანტის პასუხში აღნიშნულია, რომ ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ჯგუფებში შემავალ მოსწავლეთა რაოდენობა, მაგრამ გამოთქმული მოსაზრება არ არის დასაბუთებული ან რაიმე არგუმენტით გამყარებული. აპლიკანტს შეეძლო თავისი პასუხის ახსნა, არგუმენტირება ამგვარად: *ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენება არ არის ეფექტიანი დიდ ჯგუფებში, რადგან ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლეს არ ეძლევა საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და პროცესში აქტიურად ჩართვის საშუალება. მცირე ჯგუფში ყველა წევრი მაქსიმალურად აქტიურია და მასწავლებელსაც აქვს პროცესის კონტროლის საშუალება.* ვინაიდან ამ ნაშრომში არ არის არგუმენტირებული აპლიკანტის მიერ გამოთქმული მოსაზრება, შეფასების სქემის მიხედვით, ეს არასრულ პასუხად ითვლება და, შესაბამისად, მაქსიმალური ორი ქულის ნაცვლად ფასდება ერთი ქულით.

III **მითითება.** აპლიკანტი ასახელებს ჯგუფური მუშაობის მხოლოდ დადებით მხარეს. შეფასების სქემის მიხედვით, აპლიკანტი, მხოლოდ პოზიტიური ან მხოლოდ ნეგატიური ფაქტორების დასახელების შემთხვევაში, იღებს 1 ქულას.

აპლიკანტის პასუხი არასრულია, თუმცა ჩანს, რომ მას გარკვეული წარმოდგენა აქვს ჯგუფური მუშაობის პრინციპებსა და მის სპეციფიკაზე. შესაბამისად, აპლიკანტის ჯამური ქულა შეადგენს 3-ს.

ტიპური შეცდომები

- *სურათის აღწერა.* აპლიკანტები ჯგუფური მუშაობის მეთოდის წარმატებით გამოყენებისათვის მერხების წარმოდგენილი განლაგების დადებითი ეფექტის ახსნის ნაცვლად შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ტესტში მოცემული სურათის აღწერით. კერძოდ, მიუთითებდნენ, რომ მერხების ამგვარი განლაგებისას *„მოსწავლეები სხედან ერთმანეთის პირისპირ; უყურებენ ერთმანეთს“. ამგვარი პასუხი მიუთითებს, რომ აპლიკანტს დავალების პირობა სრულყოფილად არა აქვს გააზრებული. პირობა მერხების განლაგების „ლოგიკის“ ახსნას, არგუმენტირებას მოითხოვს. ამასთან, პასუხი ერთგვარი „პერიფრაზია“, ფოტოზე მოცემული ინფორმაციის აღწერაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეფასების სქემის მიხედვით, პერიფრაზსა და პირობის განმეორებაში ქულა არ იწერება.*

- *ხმაური.* ჯგუფური მუშაობის უარყოფით მხარედ ძალიან ხშირად დასახელებული იყო ხმაური. ხმაური ჯგუფური მუშაობის თანამდევი პროცესია და იგი არ წარმოადგენს ამ მეთოდის არსებით უარყოფით მახასიათებელს. პირიქით, ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებულ ხმაურს ხშირად ლიტერატურაში *საქმიანი ხმაურის სახელით მოიხსენიებენ (ჯგუფური მუშაობის კონტექსტში ხმაური უფრო დადებითი, პოზიტიური ნიშნის ხაზგასმაა, ვიდრე უარყოფითის).* მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური მუშაობა და დისკუსიური მეთოდები უკვე აქტიურად გამოიყენება ჩვენს სკოლებში, როგორც ჩანს,

ინერციით კვლავ განაგრძობს არსებობას სტერეოტიპი, რომ კარგია ის გაკვეთილი, რომელზეც მოსწავლეები ჩუმად სხედან. ალბათ ამის გამოა, რომ აპლიკანტები ხშირად ხმაურს მოიხსენიებდნენ, როგორც ჯგუფური მუშაობის ძირითად უარყოფით მახასიათებელს.

- *მეთოდის „არაუნივერსალურობა“.* მეთოდის უარყოფით მხარედ ხშირად დასახელებული იყო აგრეთვე ის ფაქტი, რომ *<u>მისი გამოყენება ყველა შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი</u>*. გამომდინარე იქედან, რომ არ არსებობს სწავლების ერთი, უნივერსალური მეთოდი და სწავლების ყველა ხერხი და სტრატეგია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში არის ეფექტის მომტანი, ამგვარი მსჯელობაც არ შეიძლება ჩაითვალოს ჯგუფური მუშაობის უარყოფითი მხარის დამადასტურებელ არგუმენტად.

დავალება №25 *მაქსიმალური ქულა - 3*

დაწყებითი კლასის მასწავლებელმა მოსწავლეებს უჩვენა წყლით თანაბრად სავსე ორი ერთნაირი ჭურჭელი და ჰკითხა:



„მითხარით, რომელ ჭურჭელში უფრო მეტი წყალი ასხია?“.

მოსწავლეებმა უპასუხეს: **„ორივე ჭიქაში წყლის თანაბარი რაოდენობაა.“** ამის შემდეგ, მასწავლებელმა ერთ-ერთ ჭიქაში მოსწავლეების თვალწინ რკინის ბურთულა ჩააგდო



და შეკითხვა გაიმეორა: – **„რომელ ჭურჭელში უფრო მეტი წყალი ასხია?“**

ერთ-ერთმა მოსწავლემ უპასუხა: **„რომელშიც ბურთულა გდია“.**

ახსენით, პიაჟეს თეორიის მიხედვით, რამ განაპირობა მოსწავლის ასეთი პასუხი. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ, ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარების ის თავისებურება, რომელმაც განაპირობა მოსწავლის ამგვარი პასუხი. მიუთითეთ ფაქტორი/ ფაქტორები, რომლებიც, ჩვეულებრივ, იწვევენ ამგვარ შეცდომებს.

**იმ შემთხვევაში, თუ პიაჟეს თეორიას არ იცნობთ, ან გიჭირთ მისი ამ კონტექსტში გამოყენება, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.*

რას ვაფასებთ. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით პედაგოგს მოეთხოვება სწავლებისა და განვითარების თეორიების ცოდნა, პედაგოგმა უნდა შეძლოს მოსწავლის ასაკობრივი და კოგნიტური განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით სწავლების პროცესის ეფექტურად დაგეგმვა. ეს დავალება აპლიკანტისაგან მოითხოვს პიაჟეს თეორიაზე დაყრდნობით პირობაში აღწერილი სიტუაციის გაანალიზებას, ის თეორიის უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვს, ვიდრე განვითარების თეორიების სუბტესტში შესული სხვა დავალებები. ჩვეულებრივ, თეორია ყალიბდება პრაქტიკული გამოცდილების შედეგად დაგროვილი ცოდნის ანალიზისა და სისტემატიზაციის საფუძველზე. ამიტომ განვითარების თეორიის სუბტესტის რამდენიმე დავალებაში, მათ შორის ამ დავალებაში, ჩვენ პედაგოგებს

მივეცით საშულება, საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ეპასუხათ კითხვისათვის.

დავალების შეკითხვა ორ მითითებას მოიცავს: (1) აპლიკანტმა უნდა აღწეროს ბავშვის შემეცნებითი განვითარების ის თავისებურება/თავისებურებები, რომელმაც განაპირობა მოსწავლის მიერ ცდის შედეგების არასწორი ინტერპრეტაცია და (2) მიუთითოს ის ფაქტორები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ასეთ შეცდომებს განაპირობებს.

მოცემულ სიტუაციაზე მსჯელობისას აპლიკანტმა შეიძლება პიაჟეს თეორიაში წარმოდგენილი ბავშვის კოგნიტური განვითარების სხვადასხვა კანონონზომიერება გამოიყენოს. მაგალითად: (1) *ბავშვს ამ სტადიაზე ჯერ არ გააჩნია შექცევადი* ***ოპერაციების*** *წარმოების უნარი და ამიტომ არ შეუძლია ობიექტების თვისებების* ***„შენახვა“, კონსერვაცია****. ამ კონკრეტულ მაგალითში კონსერვაცია ნიშნავს იმის გაგებას, რომ წყლის რაოდენობა არ იცვლება გარეგნული ცვლილებების მიუხედავად. (2) ამ ეტაპზე მყოფ ბავშვს გარემოს მხოლოდ ერთი ცალკეული ასპექტის შემეცნება შეუძლია (მას არ შეუძლია ერთდროულად ორ ნიშანს შორის მიმართების დამყარება). ის საგნის, პრობლემის მხოლოდ ერთ მხარეზე, ერთ თვისებაზეა „ცენტრირებული“. ამიტომაა, რომ მას შეუძლია მხოლოდ იმის გაგება, რომ ერთ ჭურჭელში წყლის დონემ აიწია, მეორე ასპექტს კი (ერთ ჭურჭელში ბურთულაა ჩაგდებული), ბავშვი ყურადღებას არ აქცევს და გარეგნულ ცვლილებას ვერ უკავშირებს. (3). ამ ეტაპზე ბავშვს არ შეუძლია უკუქმედების წარმოება, ანუ იმის გაგება, რომ ბურთულის ამოღებით წყლის დონე ისევ გათანაბრდება. პიაჟეს მიხედვით, რადგანაც ბავშვს ჯერ არ გააჩნია გონებრივი, შექცევადი ოპერაციების წარმოების უნარი, ის ვერ ახერხებს მოვლენის მუდმივობისა და შექცევადობის გაგებას.* იგივე პრობლემა შეიძლება განვითარების სტადიითა და მისი მახასიათებლებით, ან **ასიმილაცია-აკომოდაციის** პრინციპის გამოყენებით აიხსნას.

როგორც ვხედავთ, აპლიკანტების პასუხები შესაძლოა ეხებოდეს ბავშვის განვითარების განსხვავებულ ასპექტებს, მაგრამ იყოს ადეკვატური და სწორად გაანალიზებული პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის კონტექსტში.

დავალების მაქსიმალური ქულაა 3.

შეფასების პრინციპი:

3 ქულა – აპლიკანტი პიაჟეს თეორიაზე დაყრდნობით აანალიზებს დავალებაში დასმულ პრობლემას, ადეკვატურად იყენებს თეორიის ძირითად ცნებებს, აღწერს ბავშვის კოგნიტური განვითარების იმ თავისებურებას, რომელიც განაპირობებს მოსწავლის მცდარ პასუხს.

2 ქულა – დავალებაში დასმული პრობლემის ასახსნელად ადეკვატურად არის გამოყენებული ჟ. პიაჟეს თეორია, მაგრამ პასუხი ზოგადია. მაგალითად, აპლიკანტი ასახელებს განვითარების სტადიას და მისთვის დამახასიათებელ აზროვნების თავისებურებებს, მაგრამ განმარტება სქემატური ან არასრულია; ასევე ორი ქულით ფასდება ისეთი პასუხი, რომელიც ადეკვატურად და ამომწურავად პასუხობს ერთ მითითებას, მაგრამ არ პასუხობს ან ძალიან ზოგადად პასუხობს მეორე მითითებას.

1 ქულა – (1). პასუხი მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული, არ პასუხობს ყველა მითითებას. აპლიკანტი იყენებს ტერმინოლოგიას პიაჟეს თეორიიდან, მაგრამ არ ჩანს, რომ გააზრებული აქვს მისი მნიშვნელობა. (2). პასუხი ეყრდნობა პიაჟეს თეორიას, პასუხი ადეკვატურია, თუმცა დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომაც. (3) აპლიკანტი საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ადეკვატურად აანალიზებს დავალებაში დასმულ პრობლემას, ასახელებს ფაქტორებს, რომლებიც ჩვეულებრივ იწვევს ამ ტიპის შეცდომებს.

0 ქულა – პასუხი ბუნდოვანია და/ან არ პასუხობს დავალების პირობას. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე – პასუხი ფაქტობრივად დავალების პირობის პერიფრაზია.

გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშის განხილვას.

ნიმუში №1



კომენტარი

აპლიკანტის ნაშრომი მაქსიმალური – 3 ქულით შეფასდა, პასუხი სრულია და არგუმენტირებული, პასუხობს ყველა მითითებას: აპლიკანტი ასახელებს განვითარების სტადიას *„პიაჟეს თეორიის მიხედვით, ბავშვი იმყოფება პრეოპერაციულ სტადიაზე“*. ასევე იმ ფაქტორს, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ბავშვის პასუხზე *„7 წლამდე ბავშვებს კონკრეტული ოპერაციების შესაბამისად ანალიზი და დასკვნის გამოტანა ჯერ-ჯერობით არ შეუძლიათ“*. გარდა ამისა, აღწერილია განვითარების ამ სტადიაზე მყოფი ბავშვის აზროვნების თავისებურებები, რომლებიც ბავშვის მიერ დაშვებულ შეცდომას უდევს საფუძვლად. მოსწავლეს არ გააჩნია *„ტრანსფორმაციის, შექცევადობისა და იგივეობის ოპერაციულ თავისებურებათა (ოპერაციების) გააზრების უნარი“*.

ამავე დროს, პასუხში განმარტებულია კონსერვაციის პრინციპი და ის ფაქტი, რომ პრეოპერაციულ სტადიაზე ბავშვი ჯერ კიდევ ვერ წვდება ამ პრინციპს და პრობლემას თვალსაჩინო ხატის საფუძველზე წყვეტს: *„ბურთულის ჩაგდების შემდეგ წყლის დონემ ერთ ჭიქაში შესამჩნევად აიწია – ამიტომ, ბავშვმა საკითხი თვალსაჩინოების ეფექტით გადაწყვიტა. მან ჯერ არ იცის, რომ საგნის ჩაგდებამ სითხის რაოდენობა არ შეცვალა, ანუ იგივეა“*.

აპლიკანტის პასუხში ჩანს პიაჟეს თეორიის გააზრებული ცოდნა. შესაბამისად, ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური ქულით.

ნიმუში №2



აპლიკანტის პასუხი შეფასდა 0 ქულით, რადგანაც ძალიან ზოგადია და არ პასუხობს დავალების არც ერთ მითითებას. პირველი ფრაზა ადეკვატური მსჯელობით იწყება: „დაწყებით კლასებში მოსწავლეებს უჭირთ რაოდენობრივი შეფასება“, მაგრამ რატომ ვერ ახერხებს რაოდენობრივ შეფასებას დაწყებითი კლასის მოსწავლე, პასუხში მოცემული არ არის. პასუხი დადებითად რომ შეფასდეს, უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს, პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, ამ შემთხვევაში აპლიკანტს მოჰყავს პიაჟეს ცნობილი მაგალითი რაოდენობის შენახვაზე, ახსნა-განმარტებისა და კომენტარის გარეშე: „*მაგალითად ორ ჭურჭელში (ერთი მაღალი და ვიწრო, მეორე დაბალი, განიერი) ერთი და ომავე მოცულობის წყალი ასხია. მოსწავლეებს მივცეთ კითხვა: რომელში მეტი წყალია? ისინი პასუხობენ – მაღალში“.* აპლიკანტი მოყვანილ მაგალითს ლოგიკურად არ უკავშირებს დავალებაში დასმულ პრობლემას, უპასუხოდ ტოვებს შეკითხვას. აპლიკანტი აღწერს მხოლოდ იმას, თუ რა უჭირს დაწყებითი კლასის მოსწავლეს, მაგრამ ვერ განმარტავს, *რატომ* უჭირს, რა განაპირობებს ამ ვითარებას.

დავალება №15 („საქაღალდე“)

სიმულაციური დავალება „საქაღალდე“ განსხვავებული ფორმატისაა და რეალური სიტუაციის მოდელირებას ეფუძნება. დავალების პირობა სხვადასხვა სახის ინფორმაციას მოიცავს და აპლიკანტისაგან მოითხოვს: (1) სიტუაციის კომპლექსურ შეფასებასა და პრობლემის იდენტიფიკაციას; (2) პრობლემის/პრობლემების მოსაგვარებლად ეფექტური აქტივობების დაგეგმვას. ეს დავალება ღია დავალებების ტიპს მიეკუთვნება, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს რამდენიმე ღია დავალების ერთობლიობაა, რადგან თითოეული საკითხი, რომელიც დავალებაშია დასმული, შეიძლება დამოუკიდებელ პრობლემადაც იქნეს განხილული. თუმცა, სიმულაციური დავალების მთავარი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აპლიკანტის წინაშე წამოჭრილი პრობლემები ერთიან კონტექსტშია წარმოდგენილი. ეს დავალება შესაძლებლობას ქმნის შეფასდეს, როგორ წყვეტს პედაგოგი მის წინაშე კომპლექსურად წამოჭრილ პედაგოგიური საქმიანობისათვის ტიპურ პრობლემებს, რა გზებს ირჩევს მათ დასაძლევად.

2010 წლის სასერტიფიკაციო ტესტში წარმოდგენილი სიმულაციური დავალება „საქაღალდე“ (დავალება №15) ექვსი დოკუმენტისაგან შედგება. დოკუმენტების გაცნობისა და გაანალიზების შემდეგ მასწავლებლის წინაშე იკვეთება ხუთი განსხვავებული ტიპის პრობლემა. მან უნდა გააანალიზოს პრობლემები და დასახოს მათი დაძლევის კონკრეტული გზები. ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 20.

პასუხების ფურცელზე სპეციალურად არის გამოყოფილი არე თითოეული განსახილველი საკითხისათვის. აპლიკანტმა უნდა გააანალიზოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მისი შესაძლო უარყოფითი შედეგები, აღწეროს პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზა და მისი შესაძლო დადებითი ეფექტი. **თითოეულ პრობლემასთან დაკავშირებული მსჯელობა ფასდება მაქსიმუმ 4 ქულით.**

მაქსიმალური ქულით ფასდება პასუხი, რომელიც ადეკვატური, სრულყოფილი და არგუმენტირებულია *(იდენტიფიცირებულია პრობლემა, ადეკვატურადაა გაანალიზებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მისი შესაძლო უარყოფითი შედეგები, შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის*

კონკრეტული გზა და მისი დადებითი ეფექტი). სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ ამ დავალების შესრულებისას აპლიკანტები არ პასუხობდნენ ყველა მითითებას.

დავალება 15-ის შეფასების პრინციპი:

დავალების შეკითხვაში მოცემულია ორი მითითება. პასუხი თითოეულზე ფასდება 2 ქულით: (1) პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი; (2) პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება. აპლიკანტის პასუხში მოცემული თითოეული პრობლემის ანალიზი და დაძლევის გზა ფასდება მაქსიმუმ 4 ქულით.

I მითითება. პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი – მაქსიმალური ქულა 2:

- პრობლემის ამოცნობა, იდენტიფიცირება და მისი შესაძლო გამომწვევი მიზეზების დასახელება – 1 ქულა;
- იმ შესაძლო ნეგატიური შედეგების დასახელება, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს პრობლემას – 1 ქულა.

II მითითება. პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება – მაქსიმალური ქულა 2:

- პრობლემის დაძლევის კონკრეტული გზის აღწერა – აპლიკანტმა უნდა აღწეროს პედაგოგის კონკრეტული აქტივობა, რომელიც მოაგვარებდა განსაზღვრულ პრობლემას, ან შეამცირებდა მის უარყოფით ეფექტს – 1 ქულა;
- იმ დადებითი ეფექტის დასახელება, რაც სავარაუდოდ მოჰყვება აპლიკანტის მიერ შემოთავაზებული პრობლემის დაძლევის გზას – 1 ქულა.

დავალებაში შემავალი თითოეული პრობლემა ერთი და იმავე პრინციპით ფასდება, ამიტომ განვიხილავთ მხოლოდ ორ მათგანს: ვაჟა წიკლაურისა (დავალება 15.1) და რატი რატიანის პრობლემა (დავალება 15.3.).

** ზოგიერთ შემთხვევაში ერთი პრობლემის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ორ ან მეტ დოკუმენტში (მაგალითად, ვაჟა წიკლაურის პრობლემა – დოკუმენტი 1 და დოკუმენტი 3; რატი რატიანის პრობლემა – დოკუმენტი 1 და დოკუმენტი 2).*

დავალება 15.1 - ვაჟა წიკლაურის პრობლემა

დოკუმენტი 6. ვაჟა წიკლაურის დედის წერილი.

ბატონო დემეტრე,

მოგმართავთ ვაჟა ნიკლაურის მშობელი. პირველ რიგში მადლობელი ვარ ვაჟას მიმართ თქვენი გულისხმიერებისათვის. თქვენ მისი საყვარელი მასწავლებელი ხართ – ძალიან გენდობათ და დიდ პატივს გცემთ. ისტორიისადმი განსაკუთრებული ინტერესი თქვენ გაუღვიძეთ. სერიოზულად ემზადება ოლიმპიადისთვის, პირველ რიგში, თქვენი იმედების გამართლება უნდა.

ახლა ვაჟას სწავლაზე მეტად სხვა საკითხი მაწუხებს – ვატყობ, მონყენილია, კლასელებთან ურთიერთობა ვერ დაამყარა, არავისთან მეგობრობს. რამდენჯერმე შევთავაზეთ კლასელები მოეყვანა სახლში, მაგრამ თავს იკავებს. როგორც ჩანს, ბავშვებიც თავს არიდებენ მასთან ურთიერთობას. როცა ამ სკოლაში გადმოვიყვანე, ჩემი ძირითადი მიზანი იყო, ვაჟას თანატოლებთან ურთიერთობა ჰქონოდა და მეგობრები შეეძინა. თვითონაც დიდი მოლოდინი ჰქონდა. ვნერვიულობ, ასე რომ არ გამოვიდა. იქნებ მიაქციოთ ყურადღება.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

პატივისცემით,

ელენე ნიკლაური

დოკუმენტი 1. დემეტრე მინდიაშვილის წერილი თქვენთვის

მე-8ა კლასი რთულ კლასად ითვლება, მოსწავლეთა მიღწევები არც ისე მაღალია, თუმცა მათთან მუშაობა მაინც საინტერესოა. ამ კლასში განსაკუთრებულ ყურადღებას *ვაჟა წიკლაური* საჭიროებს, რომელსაც ბავშვთა ცერებრული დამბლის დიაგნოზი აქვს – უჭირს გადაადგილება, აქვს ხარვეზები მეტყველებაში, მაგრამ გონებრივად კარგად განვითარებულია. მას უყვარს ისტორია და ერთ-ერთი ყველაზე ნაკითხი ბიჭია კლასში.

რას ვაფასებთ. დავალება აფასებს, რამდენად კარგად ესმის პედაგოგს ინკლუზიური განათლების არსი. დავალების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის მშობელი მიმართავს მასწავლებელს თხოვნით, დაეხმაროს მის შვილს კლასთან ინტეგრაციაში, რადგან ბავშვს თანაკლასელებთან ურთიერთობის პრობლემა აქვს, არ ჰყავს მეგობრები და კლასიც, როგორც ჩანს, თავს არიდებს მასთან კონტაქტს.

განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა, არიან ბავშვები რომლებიც ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური თუ სხვა სახის პრობლემების გამო განიცდიან სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ინკლუზიური განათლება მიზნად ისახავს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც არა მხოლოდ მათი უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, არამედ მათ საზოგადოებასთან ინტეგრაციასა და ადაპტაციასაც უწყობს ხელს. სწავლებისადმი ეს მიდგომა პოზიტიურ გავლენას ახდენს დანარჩენ მოსწავლეებზეც. შედეგად ისინი უფრო ჰუმანური და ტოლერანტული ხდებიან თანატოლთა მიმართ; უვითარდებათ სხვებზე ზრუნვისა და მათ მიმართ თანაგრძნობის უნარი.

ინკლუზიური პროგრამის წარმატებით განხორციელებაში მასწავლებელს განსაკუთრებული როლი ენიჭება – მან უნდა მოამზადოს კლასი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მისაღებად, უნდა განავითაროს მოსწავლეებში ტოლერანტობის გრძნობა და ხელი შეუწყოს ახალი მოსწავლის კლასთან ინტეგრაციის პროცესს. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე მასწავლებელს ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და უნარები, აცნობიერებდეს ინკლუზიური განათლების არსს და მზად იყოს იმისათვის, რომ ყველა მოსწავლეს შეუქმნას კლასში კომფორტული და ამასთან მაქსიმალურად ადაპტირებული სასწავლო გარემო, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს ეროვნული სასწავლო გეგმით მისთვის განსაზღვრული მიზნების მიღწევა.

ეს დავალება აფასებს, შეუძლია თუ არა პედაგოგს, გააანალიზოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კლასთან ინტეგრაციის პრობლემები და მათ გადასაჭრელად ქმედითი გზები დასახოს.

ნიმუში №1



ნიმუში №2



კომენტარი

ორივე ნიმუშში წარმოდგენილი პასუხი შეფასებულია მაქსიმალური ქულით – 4, ორივე აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას. აპლიკანტები გვთავაზობენ სიტუაციის ადეკვატურ, თუმცა განსხვავებულ ხედვას, აღწერენ პრობლემის შესაძლო მიზეზებსა და პოტენციურ ნეგატიურ შედეგებს.

<u>I მითითება პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი.</u> აპლიკანტი (ნიმუში 1) პრობლემის მიზეზად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს არ აღმოაჩნდა სათანადოდ განვითარებული სოციალური უნარები ახალ გარემოში ადაპტაციისათვის. აპლიკანტი პრობლემის ანალიზისას აქცენტს მოსწავლის **პიროვნულ თავისებურებაზე,** სოციალური უნარების განუვითარებლობაზე აკეთებს. მეორე აპლიკანტი (ნიმუში 2) პრობლემის მიზეზად ასახელებს **სოციალურ გარემოს** – პედაგოგთა და თანაკლასელთა მოუმზადებლობას განსხვავებული შესაძლებლობის მქონე მოსწავლესთან ურთიერთობისათვის. თუმცა, ორივე შემთხვევაში შესაძლო ნეგატიურ შედეგად მიჩნეულია მოსწავლის დემოტივაცია და საზოგადოებისაგან გარიყვა. პასუხებიდან ჩანს, რომ სწორადაა გააზრებული ინკლუზიური განათლების არსი, ადეკვატურადაა შეფასებული მასში როგორც პიროვნული, ისე სოციალური ფაქტორების მნიშვნელობა. შესაბამისად, მათი ნაშრომები შეფასებულია მაქსიმალური 2 ქულით.

<u>II მითითება: დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება</u>. თითოეულმა აპლიკანტმა მათ მიერ დასახელებული პრობლემებისა და გამომწვევი მიზეზის შესაბამისად დასახა გადაჭრის ადეკვატური გზა. ნიმუში №1. – აპლიკანტი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლის სოციალური უნარების განვითარება და შესაბამისად ირჩევს პრობლემის გადაჭრის სათანადო სტატეგიებს. ნიმუში №2 – აპლიკანტი გვთავაზობს აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების გათვითცნობიერებას ინკლუზიური განათლების არსში. აპლიკანტს ესმის ინკლუზიური განათლების არსი და მისი მნიშვნლეობა, ასევე, ხედავს მასწავლებლის როლს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. შესაბამისად, II კომპონენტში ორივე აპლიკანტის პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 2 ქულით.

ნიმუში №3



კომენტარი

წარმოდგენილი ნიმუში ჯამში 2 ქულით შეფასდა.

<u>**I მითითება. პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი.**</u> როგორც ნიმუშიდან ვხედავთ, პრობლების იდენტიფიცირებისა და ანალიზის ნაცვლად, აპლიკანტმა მხოლოდ გაიმეორა დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია; არ არის მითითებული პრობლემის გამომწვევი შესაძლო მიზეზები და ის ნეგატიური შედეგები, რომლებიც აღნიშნულ პრობლემას შეიძლება მოჰყვეს. აპლიკანტის პასუხი არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომის ტიპური ნიმუში, როცა იგნორირებულია დავალების მითითება. მითითება მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი შესაძლო გამომწვევი მიზეზების დასახელებასა და ამასთან, იმ შესაძლო ნეგატიური შედეგების დასახელებას, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს პრობლემას. შესაბამისად, ამ კომპონენტში აპლიკანტის პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

<u>**II მითითება. დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება**</u>:

პასუხში წარმოდგენილია პრობლემის დაძლევის კონკრეტული სტრატეგია – მოსწავლის სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობა – კლასთან საუბარი ინკლუზიური განათლების არსზე და სხვა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ. აპლიკანტი, ასევე, ასახელებს ამ სტრატეგიის მოსალოდნელ პოზიტიურ შედეგს – ვაჟას და მისი კლასელების

დაახლოება/დამეგობრება. შესაბამისად, II კომპონენტში პასუხი იმსახურებს მაქსიმალურ – ორ ქულას.

* *ვინაიდან II მითითების თანახმად, საკმარისი იყო მხოლოდ ერთი ადეკვატური სტრატეგიის დასახელება და დასაბუთება, აპლიკანტის მიერ დასახელებული დამატებითი აქტივობები აღარ ფასდება დამატებითი ქულით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად პირველი მითითების იგნორირებისა, აპლიკანტს მეორე მითითებაზე ადეკვატურ პასუხში მაინც შეუძლია მოიპოვოს მაქსიმალური ქულა, რადგან შეფასების სქემის მიხედვით, დამოუკიდებლად ფასდება კითხვის თითოეული კომპონენტი.*

დავალება 15.3. რატი რატიანის პრობლემა.

დოკუმენტი 1. დემეტრე მინდიაშვილის წერილი თქვენთვის

მე-8ბ კლასი აკადემიური მოსწრების მხრივ უფრო ძლიერია, თუმცა პრობლემები აქაც გვაქვს. ამ კლასში ერთი ძნელად „სამართავი“ ბიჭია – *რატი რატიანი. იგი* კონფლიქტურია, ხშირად ეხვევა გაუგებრობებში. გაკვეთილზეც რთულია მისი ქცევის მართვა. გაკვეთილების გაცდენა, უმეტესწილად, მისი ინიციატივით ხდება – ის ადვილად იყოლიებს კლასს.

დოკუმენტი 2. რატი რატიანის ხელწერილი.



რას ვაფასებთ. სკოლებში ხშირად იჩენს თავს დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული. მოსწავლეთა ქცევის ეფექტურად მართვისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც მათი ინდივიდუალური, ასევე ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. დისციპლინური პრობლემები განსაკუთრებით მძაფრად გარდატეხის ასაკში ვლინდება, რაც კიდევ უფრო ართულებს მოსწავლეების ქცევის მართვას, კლასში დისციპლინისა და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. გარდატეხის

ასაკში მოსწავლეებს უმძაფრდებათ პროტესტის გრძნობა, საკუთარი უნიკალობის განცდა, თვითდამკვიდრების მოთხოვნილება, უჩნდებათ უფროსების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება და ა.შ. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა უნდა იცოდეს ამ ასაკის მოსწავლეებთან მუშაობის სპეციფიკა, მათი მოტივირების ხერხები, და უნდა შეეძლოს მათი სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვა.

ეს დავალება აფასებს, თუ რამდენად შესწევს მასწავლებელს უნარი, გაუმკლავდეს კლასში წამოჭრილ მსგავს პრობლემებს. ამ დავალების შემთხვევაში მასწავლებლის წინაშე დგას მეცხრე კლასელი უდისციპლინო მოსწავლის პრობლემა, რომელიც კლასში ბავშვებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს და მათაც იყოლიებს გაკვეთილების გაცდენაში, დემოტივირებულია და სრულიად ამოვარდნილია სასწავლო პროცესიდან.

ნიმუში№1



კომენტარი

აპლიკანტის ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური (4) ქულით, რადგან იგი პასუხობს დავალების კითხვაში მოცემულ *ყველა* მითითებას:

<u>I მითითება – პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი</u>. აპლიკანტის პასუხში იდენტიფიცირებულია პრობლემა, დასახელებულია მისი შესაძლო გამომწვევი მიზეზები (*„პრობლემა შეიძლება გამოწვეული იყოს მასწავლებლის არაეფექტური მოქმედებით, ოჯახური მდგომარეობით, ასაკობრივი თავისებურებებით“*). მოცემულია ის უარყოფითი შედეგი, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ პრობლემას მომავალში. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი ნათლად ხედავს და ადეკვატურად აანალიზებს დასახული პრობლემის არსს. შესაბამისად, შეფასების I მითითებაზე აპლიკანტის პასუხი ფასდება 2 ქულით.

<u>II მითითება – პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება</u>
აპლიკანტის პასუხში აღწერილია პრობლემის დასაძლევად მასწავლებლის კონკრეტული აქტივობები (*„მასწავლებელმა უნდა გამოავლინოს რატის ინტერესის სფერო – რა უყვარს მას, შეეცადოს, აღძრას მასში შინაგანი მოტივაცია, მისცეს მისთვის დასაძლევი დავალებები, ჩართოს ჯგუფურ მუშაობაში; აგრძნობინოს, რომ მის აზრს პატივს სცემენ და უყვართ“*). აგრეთვე, განმარტებულია, რა დადებითი შედეგი მოჰყვება დასახელებული აქტივობების განხორციელებას. ნაშრომიდან ჩანს, რომ აპლიკანტს შეუძლია მსგავს სიტუაციაში ადეკვატური რეაგირება და პრობლემებთან გამკლავება. შესაბამისად, აპლიკანტი ფასდება მაქსიმალური 2 ქულით.

ნიმუში №2



კომენტარი

აპლიკანტის ნაშრომი შეფასებულია 3 ქულით.

<u>I მითითება – პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი</u>. აპლიკანტის პასუხში იდენტიფიცირებულია პრობლემა, აღწერილია პრობლემის შესაძლო უარყოფითი შედეგი, მაგრამ არ არის დასახელებული პრობლემის გამომწვევი შესაძლო მიზეზები. შესაბამისად, პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

<u>II მითითება – პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება.</u> აპლიკანტის პასუხში აღწერილია პრობლემის დაძლევის რამდენიმე გზა – მასწავლებლის კონკრეტული აქტივობები; ამასთან, აპლიკანტი განმარტავს, რომ ეს აქტივობები ხელს შეუწყობს სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. შესაბამისად, შეფასების II კომპონენტში აპლიკანტი იღებს 2 ქულას.

ნიმუში №3



კომენტარი

აპლიკანტის ნაშრომი შეფასებულია 1 ქულით.

<u>I. მითითება. პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი.</u> აპლიკანტი პრობლემის ანალიზის ნაცვლად იმეორებს ტესტში მოცემულ ინფორმაციას რატი რატიანის შესახებ ყოველგვარი კომენტარისა და დამატებითი ინფორმაციის გარეშე („*ძნელად სამართავი ბიჭია, კონფლიქტურია და ხშირად ეხვევა*

გაუგებრობებში. გაკვეთილზეც რთულია მისი ქცევის მართვა. ის ადვილად იყოლიებს კლასს და გაკვეთილების გაცდენა ხშირად მისი ინიციატივით ხდება“). ნაშრომში არ არის აღნიშნული პრობლემის შესაძლო გამომწვევი მიზეზი და ის ნეგატიური შედეგი, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს პრობლემას იგნორირების შემთხვევაში. გარდა ამისა, დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა – დავალების პირობაში არ არის მოცემული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ რატი ჰიპერაქტიური მოსწავლეა. შესაბამისად, პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

<u>II მითითება. პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება.</u> აპლიკანტის პასუხში დასახელებულია პრობლემის დაძლევის რამდენიმე გზა (*ჩართოს გაკვეთილზე სახალისო აქტივობები სწავლის პროცესში, მიეცეს დავალება, რათა ვერ მოიცალოს ცელქობისათვის. დაიყოს ჯგუფებად ბავშვები და ერთ-ერთ ჯგუფში იყოს რატი, სადაც მიეცემა დავალება*), არ არის დასაბუთებული შემოთავაზებული გზების ეფექტურობა. პასუხი სქემატურია, შესაბამისად, პასუხი ფასდება 1 ქულით.

ტიპური შეცდომები

- *ფაქტობრივი შეცდომები.* პრობლემის იდენტიფიკაციისას აპლიკანტები უშვებდნენ ფაქტობრივ შეცდომას. მაგალითად: **ვაჟა წიკლაურს (დავალება 15.1)** მიიჩნევდნენ გონებრივად შეზღუდულ, აუტიზმით დაავადებულ ან დემოტივირებულ მოსწავლედ. **რატი რატიანის (დავალება 15.3),** შესახებ კი აღნიშნავდნენ, რომ ჰიპერაქტიურია. ამგვარი დასკვნები პირობაში მოცემული ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. პირობაში მოცემული ინფორმაცია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამგვარი დასკვნები გაკეთდეს. დავალების პირობა კი, ითხოვს სიტუაციის ანალიზს, შეფასებას მხოლოდ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე.
- *პერიფრაზი.* აპლიკანტის ნაშრომებში, ხშირად პრობლემის ანალიზის ნაცვლად, მოცემული იყო დავალების პირობაში წარმოდგენილი ინფორმაციის ციტირება ან პერიფრაზი კომენტარისა და ანალიზის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ნამუშევარი შეფასების სქემის მიხედვით ნული ქულით ფასდება.

- *კონკრეტული პასუხისაგან თავის არიდება.* პრობლემის დაძლევის გზების აღწერისას აპლიკანტები ხშირად შემოიფარგლებოდნენ ისეთი ზოგადი ფრაზებით, როგორებიცაა „ავუმაღლებდი მოტივაციას“; „შევეცდებოდი პრობლემის მოგვარებას“ და ა.შ. ამგვარ ზოგად ფრაზებში არ ჩანს პედაგოგის კომპეტენცია და უნარები. აპლიკანტს უნდა აღეწერა თუნდაც ერთი კონკრეტული აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოტივაციის ამაღლებას ან იდენტიფიცირებული პრობლემის მოგვარებას. მითითება მოითხოვს პედაგოგის კონკრეტული აქტივობის აღწერას, საიდანაც გამოჩნდება აპლიკანტის კომპეტენცია და შესაბამისი უნარები. ზოგადი პასუხი არ გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად შეუძლია აპლიკანტს წამოჭრილი პრობლემების მოგვარება.
- *პასუხის „გადამისამართება“:* პრობლემის დაძლევის გზების აღწერისას ხშირად გვხვდებოდა ამგვარი პასუხები: „მივმართავ ფსიქოლოგს“, „მივმართავ დირექციას“, „გავესაუბრები“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგის დახმარება მნიშვნელოვანია დავალებაში აღწერილი ზოგიერთი პრობლემის მოსაგვარებლად, ტესტი აპლიკანტის პედაგოგიურ უნარებს აფასებს, ამ კონკრეტულ დავალებაში კი აღწერილია პედაგოგიური საქმიანობისათვის ტიპური პრობლემა, შესაბამისად, აპლიკანტმა უნდა შეძლოს თუნდაც ერთი კონკრეტული აქტივობის აღწერა, რომელსაც თავად განახორციელებდა პრობლემის მოსაგვარებლად. თუ ამგვარ პასუხთან ერთად არ არის აღწერილი მასწავლებლის მიერ პრობლემის მოსაგვარებლად დაგეგმილი დამატებითი აქტივობები, პასუხი ფასდება 0 ქულით.
- *მითითებების უგულებელყოფა.* პასუხის გაცემის დროს აპლიკანტები არ ითვალისწინებდნენ მითითების ყველა მოთხოვნას. პირველი მითითების თანახმად, პრობლემის იდენტიფიცირების დროს მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც პრობლემის გამომწვევი მიზეზების, ასევე მისი შესაძლო უარყოფითი შედეგების დასახელებას. ხშირ შემთხვევაში კი აპლიკანტების პასუხებს აკლდა ან ერთი ან მეორე კომპონენტი. რაც შეეხება მეორე მითითებას, აპლიკანტები აღწერდნენ პრობლემის გადაჭრის გზას, თუმცა, იშვიათად გვხვდებოდა დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხები – რა ეფექტის მომტანია აპლიკანტის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია.

ამგვარ პრობლემებს რომ თავი დავაღწიოთ, გთავაზობთ ზოგად რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ყველა ტიპის ღია დავალებებზე მუშაობის დროს და რეკომენდაციებს, რომლებიც შემუშავებულია ღია ბოლოიან დავალებებზე მასწავლებელთა ნამუშევრებში არსებული ხარვეზებისა და ტიპური შეცდომების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, კითხვაზე პასუხის გაცემისას გაითვალისწინეთ დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია და თქვენი მსჯელობა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმართეთ.
- დავალების პირობის შემდეგ ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა. დავალებათა უმეტესობას თან ერთვის მითითებები, რომლებიც გეხმარებათ იმის განსაზღვრაში, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მსჯელობა და რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს პასუხი.
- ყურადღება მიაქციეთ, რამდენ მითითებაზე ითხოვს პასუხს თქვენგან დავალება. უპასუხეთ ყველა მითითებას – პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი პასუხობს ყველა კითხვას/მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალება. გახსოვდეთ, თუ გთხოვენ, აღწეროთ პრობლემის გადაჭრის ორი გზა, შეფასდება თქვენ მიერ ადეკვატურად დაწერილი ორი პასუხი. მესამე ან მეტი ვარიანტის შემოთავაზების შემთხვევაში დამატებითი ქულები არ იწერება.
- ნუ გასცდებით დავალების პირობას, ან კითხვაში მოცემულ საკითხს. თქვენი პასუხი უნდა იყოს ლაკონიური. ქულა იწერება კონკრეტულ პასუხებში. შეეცადეთ, თავი აარიდოთ მოცემული საკითხის გარშემო ზოგად მსჯელობებსა და შეფასებებს.
- პასუხის გაცემისას თავი აარიდეთ ტესტში მოცემული ინფორმაციის გამეორებას/პერიფრაზს. შეფასების სქემაში მკაფიოდ წერია, რომ

ღია დავალება სწორდება იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: (1) შეესაბამება მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორადაა გააზრებული. (2) არ წარმოადგენს დავალების პირობის პერიფრაზს. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ დავალების შეკითხვა მოითხოვს პრობლემის ანალიზს, თქვენ გევალებათ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სიტუაციის გააანალიზება. **შესაბამისად, დავალების პირობაში მოცემული ინფორმაციის/ფაქტების მხოლოდ ციტირება, ან სხვა სიტყვებით გადმოცემა არ მიიჩნევა სწორ პასუხად.**

- სასურველია, თქვენი ნაწერი არ გასცდეს პასუხისათვის განკუთვნილ არეს. ტესტის ბუკლეტში თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ პასუხის გეგმა ან სრულყოფილი პასუხი. **მაგრამ გახსოვდეთ, რომ სწორდება არა ტესტის ბუკლეტი, არამედ პასუხების ფურცელი.** ყურადღება მიაქციეთ, რა მოცულობის არეა გამოყოფილი პასუხების ფურცელზე კონკრეტული დავალებისთვის, შესაბამისად განსაზღვრავთ, თუ რა მოცულობის ტექსტით უნდა უპასუხოთ დავალებაში მოცემულ მითითებებს. **გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ტექსტის ის ნაწილი, რომელიც პასუხისთვის სპეციალურად გამოყოფილ არეს გასცდება.**

2.2. დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია"

2010 წლის პროფესიული უნარების ტესტში ტესტური დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია" გამოყენებულია იმის შესამოწმებლად, რამდენად იცნობს აპლიკანტი პედაგოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს. ამ ტიპის დავალებაში აღწერილია გარკვეული სიტუაცია (დავალების პირობა), შემდეგ მოცემულია რამდენიმე დებულება. აპლიკანტი ყურადღებით უნდა გაეცნოს სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელოს თანდართული დებულებების ჭეშმარიტება/მცდარობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი მოცემულ დებულებას მცდარად მიიჩნევს, მას მოეთხოვება, ჩაწეროს იგი სწორი ფორმით, განმარტოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორ უნდა იყოს ფორმულირებული ეს დებულება (გაასწოროს შეცდომა).

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი დებულებას ჭეშმარიტად მიიჩნევს, მას მოეთხოვება მხოლოდ შესაბამისი პასუხის მონიშვნა დასაბუთების ან კომენტარების გარეშე.

რას ვაფასებთ. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ავალდებულებს პედაგოგს იმ კანონმდებლობის ცოდნას, რომელიც არეგულირებს მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობას. პროფესიული უნარების ტესტში ორი დავალებაა, რომლებითაც ფასდება, რამდენად იცის აპლიკანტმა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები. ამ სამართლებრივი აქტების ცოდნა საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის წინაპირობაა. ტესტში წარმოდგენილია ისეთი დავალებები, რომლებიც აღწერს სასკოლო ცხოვრებაში წამოჭრილ პრობლემებს და კანონმდებლობით რეგულირდება.

საგამოცდო ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ აპლიკანტებს სირთულეები შეექმნათ დავალების იმ ნაწილის შესრულებისას, რომელიც მცდარად მოცემული დებულების კორექტულად ჩაწერას მოითხოვდა. ამიტომაც თქვენს ყურადღებას მხოლოდ მათზე გავამახვილებთ. საილუსტრაციოდ ავიღეთ 26-ე დავალების 26.1 და 26.3 პუნქტი.

დავალება №26

ყურადღებით გაეცანით სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, ქვემოთ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორი ფორმით და დაასაბუთეთ თქვენი პაასუხი**.

ზამთრის არდადეგების დასრულებიდან რამდენიმე დღეში ერთ-ერთი საჯარო სკოლის მერვე კლასის დამრიგებელმა მშობელთა კრება მოიწვია, რათა მშობლებისათვის სკოლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება გაეცნო. სკოლას ბუნებრივი აირის მომწოდებელი კომპანიის მიმართ დიდი დავალიანება დაუგროვდა, რომელსაც არსებული ბიუჯეტით ვერ ფარავდა. საბჭო თხოვნით მიმართავდა მოსწავლეთა მშობლებს, სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით დახმარებოდნენ სკოლას შემოწირულობის სახით. სამეურვეო საბჭოს თხოვნას მშობელთა დიდი ნაწილი გაგებით მოეკიდა.

შეხვედრის ძირითადი თემის განხილვის შემდეგ დამრიგებელმა მშობლებს გააცნო მოსწავლეთა მიღწევები თავის საგანში. ყურადღება გაამახვილა ორ მოსწავლეზე, რომლებიც ცუდი დისციპლინით გამოირჩევიან და აკადემიური მოსწრებაც დაბალი აქვთ. დამრიგებელმა ამ მოსწავლეთა მშობლებს შესთავაზა ბავშვებისათვის დამატებითი მეცადინეობის ჩატარება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამგვარი დახმარება მასწავლებელს მათთვის სხვა დროსაც გაუწევია. ამასთანავე, დამრიგებელმა კრებაზე განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ფასიანი საგნობრივი წრეები, რომელთა მიზანია, დაეხმაროს შედარებით სუსტ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების ათვისებაში.

კრების ბოლოს დამრიგებელმა მკაცრად გააფრთხილა უდისციპლინო მოსწავლეების მშობლები, რომ თუ მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლისადმი არ შეიცვლება, იგი დისციპლინური კომიტეტის წინაშე დააყენებს ამ მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვის საკითხს.

26. 1.ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით სამეურვეო საბჭოს არ ჰქონდა უფლება, არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით, თანხების მოსაზიდად მშობლებისათვის მიემართა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

26.3. საჯარო სკოლას არა აქვს უფლება, შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამის ფარგლებში დამატებითი საგანმანათლებლო ფასიანი მომსახურება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

დავალება სრულად იხილეთ 34-35-ე გვერდზე

ნიმუში №1



26.

III - პროფესიული გარემო

26.1. ჭ ☐ ა ☑

26.2. ჭ ☑ ა ☐

26.3. ჭ ☐ ა ☑

26.4. ჭ ☑ ა ☐

26.5. ჭ ☑ ა ☐

კომენტარი

აპლიკანტი იმსახურებს მაქსიმალურ 5 ქულას: მასში სწორად არის შეფასებული დავალების ყველა დებულება, ამავდროულად, აპლიკანტის მიერ მცდარად ფორმულირებულ (26.1 და 26.3) დებულებებზე წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მართებული კომენტარი.

ნიმუში № 2

დავალება 26.1.



26.1. ჭ ☐ ა ☒

კომენტარი:

მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტმა სწორად მონიშნა პასუხი – „მცდარია“, მისი კომენტარის მიხედვით, ჩვენ ვხვდებით, რომ რეალურად ის ეთანხმება დებულებას (დებულება 26.1.: *ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით სამეურვეო საბჭოს არ ჰქონდა უფლება, არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით, თანხების მოსაზიდად მშობლებისათვის მიემართა*) – აპლიკანტის კომენტარი დებულებაში გამოთქმულ აზრს იმეორებს, *(„სამეურვეო საბჭოს კანონით აკრძალული*

აქვს თანხის მოსწავლეებისაგან აკრება“), ე.ი. ის მიიჩნევს, რომ დებულება ჭეშმარიტია.

მონიშნული პასუხი და კომენტარი ურთიერთგამომრიცხავია, ამიტომ აპლიკანტი შეფასებულია 0 ქულით.

ნიმუში № 3

დავალება 26.3.



კომენტარი

ამ შემთხვევაშიც აპლიკანტმა სწორად მონიშნა დებულებაზე პასუხი „მცდარია“. მაგრამ მისი კომენტარი არ არის ჩაწერილი სწორი ფორმით, ისე, როგორც ამას დავალების პირობა მოითხოვს. აპლიკანტის პასუხი (კომენტარი) უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ აპლიკანტმა უნდა მიუთითოს კანონიდან მოცემული საკითხის შესაბამისი მუხლი ან სიტყვა-სიტყვით გადმოგვცეს მისი შინაარსი, მაგრამ აუცილებელია, სრულად იყოს გადმოცემული ის აზრი, რაც აღნიშნულ მუხლში ან პუნქტშია მოცემული.

აპლიკანტის მიერ კომენტარში გამოყენებული სიტყვები „არ არის ვალდებული“ და „მას შეუძლია“, გამორიცხავს იმ კატეგორიულობას, რასაც ვკითხულობთ ზოგადი განათლების კანონის ამ კონკრეტულ მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ „დაუშვებელია მოსწავლის შესახებ პირადი ინფორმაციის საჯაროდ გაცხადება“. მაშინ, როდესაც „არ არის ვალდებული“ ამ შესაძლებლობას არ გამორიცხავს და ერთგვარად უტოვებს მასწავლებელს საკითხთან დაკავშირებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლებას. აპლიკანტის პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

ტიპური შეცდომები

- *„ჭეშმარიტი“ პასუხის დასაბუთება.* დავალების ინსტრუქციაში ხაზგასმულია, რომ დასაბუთება (კორექტული ფორმით პასუხის ჩაწერა) საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტი მიიჩნევს, რომ დებულება მცდარია. „ჭეშმარიტია“-ს მონიშვნის დროს კომენტარი არ არის საჭირო.
- *საკუთარი პოზიციის წარმოდგენა.* აპლიკანტების პასუხში წარმოდგენილია ინდივიდუალური პოზიცია ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში პასუხი მოიცავდა ისეთ ფრაზებს, როგორებიცაა „მე ვფიქრობ“, „ჩემი აზრით“, „მიმაჩნია“, „არ ვეთანხმები, ან ვეთანხმები მოცემულ ფორმულირებას“ და ა.შ. დავალება მიზნად ისახავს აპლიკანტის მიერ მოქმედი კანონმდებლობის ცოდნის შეფასებას და არა მისი დამოკიდებულებების/ღირებულებებისა და სუბიექტური მოსაზრებების გარკვევას.
- *„მცდარია“ პასუხის დასაბუთება დავალების პირობის შებრუნებით.* ხშირად აპლიკანტები ცდილობდნენ „მცდარია“ პასუხის დასაბუთებას დავალების პირობაში მოცემული ტექსტის შებრუნებით.
  (იხ. 26.1-ის კომენტარი). მაგ., თუ დებულებაში ეწერა: „*მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება...* “, აპლიკანტები წერდნენ „*მასწავლებელს ჰქონდა უფლება...* “, რაც არ პასუხობს დავალების მოთხოვნას. კომენტარში მოცემული უნდა იყოს კანონის შესაბამისი ნორმის შინაარსი.

რეკომენდაციები დავალება „ჭეშმარიტია-მცდარიას“ შესრულებისათვის.

- ყოველ კონკრეტულ დებულებაზე პასუხის გაცემის დროს მოცემული პასუხის ორი ვარიანტიდან მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი („ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“);
- მცდარად ფორმულირებული პასუხის კორექტული ფორმით ჩაწერის დროს აპლიკანტს არ მოეთხოვება კანონის შესაბამისი მუხლების ან კონკრეტული პუნქტების მითითება. სრულიად საკმარისია, აპლიკანტმა

გამოავლინოს, რომ მისთვის გასაგებია კანონის შესაბამისი ნორმის არსი.

- გაითვალისწინეთ, თუ დებულების რომელიმე ნაწილი მცდარია, მაშინ მთლიანი დებულებაც მცდარია. თუ წინადადების რომელიმე ნაწილი მცდარია, მაშინ ის მთლიანად მცდარია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილი ჭეშმარიტია.
- პოზიტიური ფორმით ფორმულირებული დებულების (მაგალითად, მასწავლებელს უფლება აქვს...) მხოლოდ უარყოფით ფორმაში გადაყვანა (მასწავლებელს უფლება არა აქვს...) არ მიიჩნევა სწორ პასუხად, და – პირიქით. უნდა განიმარტოს, რისი უფლება აქვს ან არა აქვს პედაგოგს მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.
- ყურადღება მიაქციეთ, როგორ არის შეკითხვა ფორმულირებული. თუ კითხვა ნეგატიურადაა ფორმულირებული, პასუხში თავი აარიდეთ ორმაგ უარყოფას (მაგალითად, „მასწავლებელს არა აქვს უფლება, არ გაითვალისწინოს“ ... უმჯობესია, იგივე აზრი ასე გამოითქვას: „მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს“...).

2.3 არჩევითპასუხიანი დავალებები

დავალებები არჩევითი პასუხით შედგება მოცემულობის/პირობისაგან, შეკითხვისაგან და სავარაუდო პასუხებისაგან. ამ ტიპის დავალებას ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგანაც ***სწორი ყოველთვის მხოლოდ ერთია.*** არჩევითპასუხიანი დავალებები ფასდება 1 ქულით.

პროფესიული უნარების ტესტში ოთხი სახის დახურულბოლოიანი დავალებაა გამოყენებული: *კითხვის ფორმით მოცემული დავალება, არასრული მოცემულობა, ილუსტრირებული მოცემულობა, რთული პირობა-სტიმული, რამდენიმე პასუხის მოთხოვნა, ნეგატიურად ფორმულირებული დავალება, მიზანი და მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები.*

(1) რთული პირობა/სტიმული. პირობაში აღწერილია სიტუაცია, მოყვანილია ფაქტები, მაგალითები, რომელთა გაცნობის შემდეგაც უნდა უპასუხოთ შეკითხვას.

ნიმუში

> კითხვის დასმა ინტერაქციული სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია და მასწავლებლისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. მასწავლებლის მიერ არასწორი ფორმით დასმულმა კითხვამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობაზე.
>
> ჩამოთვლილთაგან კითხვის დასმის რომელი ფორმაა **ყველაზე ეფექტიანი** მოსწავლეთა ჩართულობისა და მათი ცოდნის გამოვლენის ხელშესაწყობად?
>
> ა) მასწავლებელი ყურადღებით ისმენს მოსწავლეების პასუხს და საჭიროების შემთხვევაში სვამს დამატებით კითხვებს.
> ბ) მასწავლებელი სწრაფად სვამს კითხვებს და მოსწავლეებისაგანაც სწრაფ და ზუსტ პასუხს მოითხოვს.
> გ) მასწავლებელი ერთდროულად სვამს რამდენიმე კითხვას და მათგან ზოგიერთს თავადვე პასუხობს.
> დ) მასწავლებელი კითხვებს მხოლოდ ძლიერ მოსწავლეებს უსვამს, რათა დანარჩენებმა მათგან გამართული და ჩამოყალიბებული პასუხი მოისმინონ.

პროფესიული უნარების ტესტი . I ვარინტი. დავალება №2

სწორი პასუხი: ა.

(2) კითხვის ფორმით მოცემული დავალება. დავალების ეს ფორმა მარტივია, შეკითხვა პირდაპირაა დასმული და ნაკლებ სავარაუდოა, შეიქმნას რაიმე პრობლემა დავალების გაგებასთან დაკავშირებით.

ნიმუში

კოლბერგის თეორიის მიხედვით, ბავშვის მორალური განვითარება თანდათან, ასაკის მატებასთან ერთად ხდება და მის ქცევას განვითარების დონის შესაბამისი „მორალური ახსნა“ უდევს საფუძვლად. მოსწავლის ქცევაში გამოვლენილი მორალური განვითარების ხარისხი პირობითად შეიძლება დავყოთ დონეებად.

ჩამოთვლილთგან რომელია მორალური განვითარების **ყველაზე მაღალი დონის** შესაბამისი ქცევა?

ა) მოსწავლე ქცევის შეფასებისას ითვალისწინებს მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მოსაზრებებს.

ბ) მოსწავლე კარგად იქცევა ძირითადად იმის გამო, რომ მასწავლებლებისა და მშობლების შექება დაიმსახუროს.

გ) მოსწავლე აცნობიერებს სოციალური გარემოს ეთიკურ სტანდარტებს და შესაბამისად იქცევა.

დ) მოსწავლე ფიქრობს, რომ ცუდი საქციელია მხოლოდ ის, რის გამოც ისჯება.

პროფესიული უნარების ტესტი . I ვარინტი. დავალება №20

სწორი პასუხი: გ.

(3) რამდენიმე პასუხის მოთხოვნა – ასეთი ფორმატის დავალებები იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ჩამონათვალში ერთი ან ერთზე მეტი სწორი პასუხია. აპლიკანტი ყურადღებით უნდა გაეცნოს დავლების პირობასა და რომაული ციფრებით აღნიშნულ დებულებებს, შემდეგ კი სავარუდო პასუხებს. რომაული ციფრებით აღნიშნული დებულებები პირობის ნაწილია. ასეთი ტიპის დავალებებში დისტრაქტორები (სავარაუდო პასუხები), ჩვეულებრივ, როგორც სხვა არჩევითპასუხიან დავალებებში, ანბანით არის აღნიშნული, თუმცა, განსხვავებულადაა ფორმულირებული: მაგ., სწორია მხოლოდ I, სწორია I და III და სხვ. ან მხოლოდ I, მხოლოდ I და III და სხვ.

ნიმუში

ნუცა ბეჯითი გოგონაა, იგი სისტემატურად მეცადინეობს, მაგრამ მორცხვია, აკლია თავდაჯერებულობა, ამის გამო ღელავს და ხშირად ვერ ავლენს ცოდნას.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის ~~ეფექტიანი~~ ქცევა/ქცევები, რომელიც დაეხმარება ნუცას, სიმორცხვის დაძლევასა და საკუთარი ცოდნის გამოვლენაში?

I. მასწავლებელი ინდივიდუალურ დავალებას აძლევს ნუცას, რათა თავიდან აარიდოს დაძაბულობა.
II. მასწავლებელი გამოხატავს კეთილგანწყობას ნუცას მიმართ და ამხნევებს მას.
III. მასწავლებელი ხშირად მიმართავს შეკითხვით ნუცას და ცდილობს მის ჩართვას ჯგუფურ მუშაობაში.
   ა) მხოლოდ III
   ბ) მხოლოდ II და III
   გ) მხოლოდ I და II
   დ) მხოლოდ I

პროფესიული უნარების ტესტი . I ვარინტი. დავალება №5

სწორი პასუხი: ბ.

(4) ნეგატიურად ფორმულირებული არჩევითკითხვიანი დავალება. (დავალებები, რომელთა კითხვაში ფიგურირებს სიტყვები: ***არ არის შესაძლებელი, არ გამომდინარეობს, არ შეესაბამება*** და ა.შ.). ამ ტიპის დავალება ტესტში შედარებით იშვიათად შეგხვდებათ. მასზე მუშაობისას ყურადღებიდან არ გამოგრჩეთ კითხვის ნეგატიური ფორმულირება, ის გამუქებული და ხაზგასმულია.

ნიმუში

კლასში, სადაც განსხვავებული ინტერესების, მიზნებისა და ხასიათის მქონე მოსწავლეები არიან, ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები. კონფლიქტის არსებობა ბუნებრივი მოვლენაა და კონსტრუქციული გადაჭრის შემთხვევაში მას ბევრი დადებითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს.

მედიაცია კონფლიქტის კონსტრუქციულად მოგვარების ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა და გულისხმობს საკითხის გადაჭრას მესამე, ნეიტრალური პირის, მედიატორის მონაწილეობით.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის დაცვა <u>**არ შეუწყობს**</u> ხელს მედიაციის პროცესის წარმატებით განხორციელებას?

ა) მედიატორი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის.
ბ) მედიატორს უნდა შეეძლოს აქტიური მოსმენა და ჰქონდეს კომუნიკაციის კარგი უნარი.
გ) მედიატორი არ უნდა გამოხატავდეს თავის მხარდაჭერას კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ.
დ) მედიატორი უნდა იყოს კატეგორიული, ის თავად უნდა იღებდეს საბოლოო
გადაწყვეტილებას კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით.

პროფესიული უნარების ტესტი . I ვარინტი. დავალება № 6

სწორი პასუხი: ბ.

(5). არჩევითპასუხიანი დავალება, რომელშიც აღწერილია **მიზანი და მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობა.** აპლიკანტმა უნდა გააანალიზოს, თუ რამდენად უწყობს ხელს აქტივობა დასახული მიზნის მიღწევას. დავალებაში ორი სავარაუდო პასუხი იწყება ფრაზით **„ადეკვატური არ არის, რადგან..“, ორი სავარუდო პასუხი კი ფრაზით – „ადეკვატურია, რადგან“.** პირველ რიგში, უნდა წაიკითხოთ ოთხივე სავარაუდო პასუხი, გადაწყვიტოთ, აღწერილი აქტივობა მიზნის ადეკვატურია თუ არა, შემდეგ დარჩენილი ორი სავარაუდო პასუხიდან შეარჩიოთ ერთ-ერთი. შერჩევისას ყურადღება უნდა გაამახვილოთ არგუმენტაციის ნაწილზე.

ნიმუში

ქვემოთ მოცემულია გაკვეთილის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს, ასევე წარმოდგენილია მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. გაეცანით ორივე მათგანს და შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

მიზანი: განუვითაროს პირველკლასელ მოსწავლეებს საგანთა და მოვლენათა კლასიფიცირების უნარი.

აქტივობა: მასწავლებელმა ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით მოსწავლეებისათვის შეარჩია ქვემოთ მოცემული ორი სავარჯიშო. *მან ჯერ №1 სავარჯიშო მისცა მოსწავლეებს შესასრულებლად, შემდეგ – №2.* მისი ვარაუდით, მოსწავლეთათვის დავალებების ამ თანმიმდევრობით მიცემა კლასიფიცირების უნარის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

სავარჯიშო №1

დავალება: ცალ-ცალკე დაალაგეთ სულიერთა და უსულოთა ფოტოები.

სავარჯიშო №2

დავალება: ცალ-ცალკე დაალაგეთ ქუდიანი და უქუდო ბავშვების ფოტოები.

აღწერილი აქტივობა დასახული მიზნის

ა) **ადეკვატურია**, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს, ჩვეულებრივ, უკვე შეუძლია მოვლენათა კლასიფიცირება ზოგადი ნიშნით (მაგ. სულიერი და უსულო).

ბ) **ადეკვატური არ არის**, რადგან, ჩვეულებრივ, საგანთა და მოვლენათა კლასიფიცირების უნარი მოგვიანებით ყალიბდება და ამ ასაკის ბავშვები ვერ დაძლევენ მოცემულ დავალებებს.

გ) **ადეკვატურია**, რადგან ბავშვმა მოვლენათა კლასიფიცირება ჯერ არსებითი ნიშნის მიხედვით უნდა შეძლოს, რომ შემდგომ გაუადვილდეს კონკრეტული ნიშნით მოვლენების კლასიფიცირება.

დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ამ ასაკში ბავშვს, ჩვეულებრივ, უფრო უადვილდება კონკრეტული, თვალსაჩინო ნიშნით (მაგ. ქუდი) მოვლენათა კლასიფიცირება.

პროფესიული უნარების ტესტი. I ვარიანტი. დავალება №21

სწორი პასუხი: დ.

რეკომენდაციები არჩევითპასუხიანი დავალებების შესასრულებლად:

- გაიაზრეთ დავალების პირობა.
- პასუხის გაცემამდე ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა.
- დავალებებს უპასუხეთ პირობაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- აუცილებლად წაიკითხეთ **პასუხის ყველა ვარიანტი,** ვიდრე საბოლოო პასუხზე შეჩერდებით. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი, ერთი შეხედვით, სწორი/მსგავსი ვარიანტი. გახსოვდეთ, რომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი პასუხია სწორი, ამდენად, ყურადღება მიაქციეთ პასუხების ვარიანტებში წარმოდგენილ ყველა დეტალს.
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან ხაზგასმულია. აგ.: „ჩამოთვლილთაგან რომელი „***არ არის***“, ***„ყველაზე ადეკვატური“*** და ა. შ.
- შეკითხვები, რომლებშიც არის სიტყვები: **„ყველაზე ნაკლებად“, „გარდა“ ან „არ“,** მიგვითითებს იმაზე, რომ არასწორი (პირობის საწინააღმდეგო) პასუხი უნდა ამოვიცნოთ. ასეთი შეკითხვები მაშინ დაისმება, როცა ჩამონათვალში ყველა პასუხი სწორია, გარდა ერთისა.

2.4. შესაბამისობის დავალებები

შესაბამისობის დავალება, როგორც წესი, ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია დავალების პირობა (მოვლენები, ფრაზები...), მეორე სვეტში კი სავარაუდო პასუხები (ტერმინები, ცნებები, ავტორები...). აპლიკანტს ევალება, სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს შეუსაბამოს.

ასეთი ტიპის დავალებებში დასაშვებია:

- მეორე (პასუხების) სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთ-ერთი **პასუხი იყოს სწორი** პირველ სვეტში მოცემული ორი პირობისათვის (ორი პირობა, ერთი სწორი პასუხი).
- ალტერნატივებიდან რომელიმე სავარაუდო პასუხი **არ შეესაბამებოდეს არც ერთ მსჯელობას** I სვეტიდან.
- ერთ-ერთ სვეტში **ჩამონათვალი იყოს ერთით ნაკლები**.

შესაბამისობის დავალება ფასდება მთლიანობაში, აპლიკანტის მიერ ორივე სვეტის ყველა კომპონენტის სწორად დაკავშირებისათვის.

ნიმუში

ცნობილია, რომ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლება. განასხვავებენ მოტივაციის ორ ფორმას – გარეგან და შინაგან მოტივაციას.

A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის აქტივობები, B სვეტში კი – მოტივაციის ფორმები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

**დასაშვებია, რომ B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთი პასუხი სწორი იყოს A სვეტში მოცემული ერთზე მეტი პირობისათვის.*

მასწავლებლის აქტივობები (A)	**მოტივაციის ფორმები (B)**
I. მასწავლებელი ხშირად აქებს მოსწავლეს და მის წარმატებას კლასის წინაშე აღნიშნავს.	ა) შინაგანი მოტივაცია ბ) გარეგანი მოტივაცია
II. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, თავად აირჩიონ სადისკუსიო თემა შემდეგი გაკვეთილისათვის.	
III. თუ კლასში ყველა მოსწავლე ტესტურ დავალებათა ნახევარს მაინც შეასრულებს, მასწავლებელი მოსწავლეებს ექსკურსიაზე წაყვანას ჰპირდება.	
IV. მასწავლებელი მოსწავლეებს მათთვის საინტერესო თემაზე პრეზენტაციის მომზადებას ავალებს.	

პასუხები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში (პირველი პასუხი უკვე მითითებულია)

ჩაწერეთ:

მასწავლებლის აქტივობები (A)	I	II	III	IV
მოტივაციის ფორმები (B)	ბ			

სწორი პასუხი:

მასწავლებლის აქტივობები (A)	I	II	III	IV
მოტივაციის ფორმები (B)	ბ	ა	ბ	ა

პროფესიული უნარების ტესტი. II ვარიანტი. დავალება №11

რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებების შესასრულებლად:

- გაიაზრეთ I სვეტში მოცემული მსჯელობები.
- ყურადღებით წაიკითხეთ II სვეტში მოცემული სავარაუდო პასუხის ალტერნატივები.
- აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. არ დაგავიწყდეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.
- პირველ რიგში მონიშნეთ ის შესაბამისობა, რომლის სისწორეშიც დარწმუნებული ხართ (დავალებაზე მუშაობისას შეიძლება გამოიყენოთ ისრები შესაბამისობის აღსანიშნავად). საბოლოოდ, სწორი პასუხი უნდა ჩაიწეროს პასუხებისათვის განკუთვნილ ცხრილში.

2.5. როგორ მოვემზადოთ პროფესიული უნარების გამოცდისათვის

თქვენ გაეცანით პროფესიული უნარების ტესტის ფორმატსა და ტესტური დავალებების ტიპურ ნიმუშებს, ტესტის შეფასების პრინციპებს. კრებულში ტესტური დავალებების გარდა, დანართის სახით წარმოდგენილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და საგამოცდო პროგრამა. **ყურადღებით გაეცანით მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს** (დანართი N 1). შეაფასეთ, რამდენად კარგად იცით სტანდარტში მოცემული საკითხები. შეაგროვეთ თქვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა, ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემაში თქვენი პრაქტიკული გამოცდილება დაგეხმარებათ. **ყურადღებით გაეცანით საგამოცდო პროგრამას** (დანართი N 2). საგამოცდო პროგრამა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს ეყრდნობა, მასში უფრო დეტალურადაა აღწერილი საკითხები, რომელთა ცოდნაც მოეთხოვება პედაგოგს სასერტიფიკაციო გამოცდაზე. ყურადღება მიაქციეთ, რომ *პროფესიული გარემოს* ნაწილში მნიშვნელოვნადაა შემცირებული და აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანილი იმ სამართლებრივი აქტების რიცხვი, რომელთა ცოდნაც სტანდარტით მოეთხოვება აპლიკანტს. საგამოცდო პროგრამა კარგი გზამკვლევი იქნება სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესში.

პედაგოგს უდიდესი პასუხისმგებლობა აქვს მომავალი თაობისა და ქვეყნის წინაშე. ამიტომაც ეს პროფესია მოითხოვს მუდმივ ზრუნვას პროფესიულ თვითგანვითარებაზე. 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდებს წინ უძღოდა მასწავლებელთა პროფესიული სრულყოფის პროგრამების შემუშავება და დანერგვა, დამხმარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების გამოცემა. 2011 წელს პედაგოგთათვის ახალი დამხმარე ლიტერატურა მომზადდა, დაიგეგმა ტრეინინგ-პროგრამები.

სერტიფიცირების ძირითადი მიზანი სწორედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაა.

მნიშვნელოვანია არა ერთი კონკრეტული სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადება, არამედ უწყვეტი ზრუნვა კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ დაოსტატებაზე. ეს არა მარტო სასერტიფიკაციო გამოცდის, არამედ იმ გამოცდის წარმატებით ჩაბარების წინაპირობაა, რომელსაც ყოველდღიურად თქვენი საქმიანობით „აბარებთ“ თქვენსავე მოსწავლეებს.

ყურადღებით გაეცანით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თქვენთვის მომზადებულ გამოცემებს, სწავლების ახალ მიდგომებსა და მოდელებს, გადახედეთ თქვენთვის ხელმისაწვდომ სხვა პროფესიულ ლიტერატურას.

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა თქვენთვის ამ ბუკლეტთან ერთად მოამზადა **დამხმარე სახელმძღვანელო „ეფექტიანი სწავლება. თეორია და პრაქტიკა“** წიგნში განხილულია ეფექტიანი სწავლების სტრატეგიები და მეთოდები, მოცემულია კვლევაზე დამყარებული პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

გისურვებთ წარმატებას!

რეკომენდებული ლიტერატურა:

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008). *განვითარებისა და სწავლის თეორიები*
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008). *სწავლება და შეფასება*
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008). *სასწავლო და პროფესიული გარემო*
- მარზანო, რ. (2009). *ეფექტური სწავლება სკოლაში.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
- გამოცდების ეროვნული ცენტრი (2010). ეფექტიანი სწავლება. თეორია და პრაქტიკა
- *თერნბული, ჯ. (2009). პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
- ტაბატაძე, შ., & ნაცვლიშვილი, ნ. (2008). *ინტერკულტურული განათლება.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009) *მასწავლებელთა კომპეტენციის ჩარჩო*
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009). *მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო*
- *მარზანო, რ. ჯ., ნორფორდი, ჯ.ს., & დ'არქანჯელო, მ. (2009). რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
- მარზანო, რ.ჯ. (2009). *კლასის მართვა.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010). *ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები მასწავლებლებისათვის*
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010). *სტატიები განათლების საკითხებზე*
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010). *კითხვის ეფექტური მეთოდები. გზამკვლევი*
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010). *მენტორის სახელმძღვანელო*
- ს. ჯანაშია, et. al., „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი (2007).
- ს. ჯანაშია, et. al., „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი (2008).
- თ. პაჭკორია (რედ.), „ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი (2008).
- ს. ჯანაშია, et. al., „განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი (2007).
- „სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისთვის", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი (2007).

დანართი 1

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

ძირითადი ნაწილი

რეგულირების სფერო და მიზანი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი), „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ3“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, მასწავლებლის პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს.

სტანდარტი აერთიანებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული საგნის მასწავლებლისათვის ზოგადი განათლების საფეხურების შესაბამისად.

სტანდარტი მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სტანდარტი ვრცელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ყველა სახის მასწავლებელზე. სტანდარტი გამოიყენება აგრეთვე მასწავლებლობის მაძიებლის ცოდნის შეფასებისათვის.

სტანდარტის სტრუქტურა

სტანდარტი შედგება 3 ნაწილისაგან:

ა) განვითარებისა და სწავლის თეორიები;

ბ) სწავლება და შეფასება;

გ) პროფესიული გარემო.

განვითარებისა და სწავლის თეორიების ნაწილი ასახავს მოსწავლის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებსა და სწავლის თეორიებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის.

სწავლებისა და შეფასების ნაწილი აღწერს პედაგოგიური საქმიანობისათვის საჭირო მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც აუცილებელია ეფექტური სწავლებისა და სწავლისათვის.

პროფესიული გარემოს ნაწილი ასახავს პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს, რომლებიც მასწავლებელს ეხმარება კოლეგებთან ურთიერთობაში, საკუთარი პრაქტიკის დახვეწასა და კანონმდებლობის შესაბამისი პროფესიული საქმიანობის წარმართვაში.

განვითარებისა და სწავლის თეორიები

განვითარების თეორიები

მასწავლებელმა იცის მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე და იცის, თუ როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელი ავლენს მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების ძირითადი თეორიებისა და ფიზიკური განვითარების კანონზომიერების ცოდნას სასწავლოაღმზრდელობით საქმიანობაში;

მასწავლებელი აცნობიერებს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებასა და სწავლაზე;

მასწავლებელმა იცის და ითვალისწინებს ოჯახური, საზოგადოებრივი და სხვა ფაქტორების გავლენას მოსწავლის განვითარებასა და სწავლაზე.

სწავლის თეორიები

მასწავლებელმა იცის სწავლის ძირითადი თეორიები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად:

მასწავლებელი ავლენს სწავლის ძირითადი თეორიების ცოდნას;

მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის აგებაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

სწავლება და შეფასება

სასწავლო გარემო

მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მბრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო:

მასწავლებელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;

მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

მასწავლებელი აცნობიერებს კლასის სტრუქტურაში მოსწავლეთა არაფორმალური როლების მნიშვნელობას და ხელს უწყობს საკლასო ერთობის შექმნას;

მასწავლებელმა იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;

მასწავლებელმა იცის, როგორ მოაწყოს სასწავლო ფიზიკური გარემო ეფექტური სწავლებისათვის;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ იმოქმედოს უბედური შემთხვევის დროს ან აღმოუჩინოს მოსწავლეს ან კოლეგას პირველადი სამედიცინო დახმარება;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში;

მასწავლებელმა იცის გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები;

მასწავლებელი აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლის განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე;

მასწავლებელმა იცის, როგორ მართოს მოსწავლეების ქცევა წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, როგორ ასწავლოს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ხელი შეუწყოს აზრის გაბედულად გამოხატვას;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი ქცევის დამოუკიდებლად შეფასებისა და მართვის უნარის ჩამოყალიბებაში;

მასწავლებელს შეუძლია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგნის ეფექტურად სწავლების მიზნით;

მასწავლებელი პროფესიულად ფლობს სწავლების ენას.

მოტივაცია და კომუნიკაცია

მასწავლებელმა იცის მოტივაციისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგია და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში:

მასწავლებელმა იცის სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგს კონკრეტულ სიტუაციაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ გაუღვივოს მოსწავლეებს შემეცნებითი ინტერესი და სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებული დამოკიდებულება;

მასწავლებელმა იცის და ითვალისწინებს, რა გავლენას ახდენს კომუნიკაციაზე მოსწავლეთა თავისებურებები;

მასწავლებელმა იცის და იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიას მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი კოლეგებთან,

მშობლებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობებისთვის;

მასწავლებელმა იცის, როგორ განუვითაროს მოსწავლეს ეფექტური კომუნიკაციის უნარჩვევა.

სასწავლო პროცესი

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად:

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შედგენა;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაამყაროს საგანთა შორის კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგებისა და პროგრამების დონეზე;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაგეგმოს სწავლება კოლეგებთან ერთად;

მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და ამ გეგმის მიხედვით სწავლება და შეფასება.

შეფასების მეთოდები

მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის, იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის:

მასწავლებელმა იცის და იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას;

მასწავლებელი აცნობიერებს შეფასების ძირითად პრინციპებს და იცავს მათ საკუთარ პრაქტიკაში;

მასწავლებელმა იცის და იყენებს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად;

მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/აღიარებასა და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში.

სწავლების სტრატეგია და მეთოდები

მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის:

მასწავლებელი ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;

მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდი მოსწავლეებში შემეცნებითი და სოციალური უნარების გასავითარებლად.

პროფესიული გარემო

კოლეგებთან ურთიერთობა

მასწავლებელმა იცის კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობითი ურთიერთობის ფორმები:

მასწავლებელმა იცის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პროდუქტიული თანამშრომლობის მეთოდები საკუთარი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;

მასწავლებელი თანამშრომლობს კოლეგებთან მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად;

მასწავლებელმა იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები სასწავლო რესურსების მოძიების მიზნით;

მასწავლებელი ხელს უწყობს კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ შეუწყოს ხელი ახალბედა მასწავლებელს პრაქტიკული საქმიანობის დაწყებაში.

თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე გრუნვა

მასწავლებელმა იცის, როგორ შეაფასოს საკუთარი გამოცდილება, განაახლოს პროფესიული ცოდნა და გააუმჯობესოს პროფესიული საქმიანობა:

მასწავლებელს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი სამუშაო გამოცდილება და იზრუნოს მის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე;

მასწავლებელს შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევა, პედაგოგიური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს პროფესიული განვითარების სხვადასხვა საშუალება და რესურსი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასავითარებლად;

მასწავლებელს შეუძლია გააანალიზოს პროფესიული ლიტერატურა და გამოიყენოს ის საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის.

სამართლებრივი აქტების ცოდნა

მასწავლებელი იცნობს პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას:

მასწავლებელი იცნობს და ხელმძღვანელობს პედაგოგიური საქმიანობის შესახებ არსებული ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით;

მასწავლებელმა იცის და იცავს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს;

მასწავლებელი იცნობს და იცავს ეთიკის ნორმებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს;

მასწავლებელი აცნობიერებს სამართლებრივ და ეთიკის მოთხოვნებს სასწავლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით;

მასწავლებელს შეუძლია სახელმწიფო ენაზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გაგება.

მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების თეორიების, სწავლის ძირითადი თეორიებისა და სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი

განვითარებისა და სწავლის თეორიები

- ბიჰევიორიზმი
- კოგნიტური განვითარების თეორია
- სოციალური დასწავლის თეორია
- სოციო-კულტურული თეორია
- მორალური განვითარების თეორია
- კონსტრუქტივიზმი
- ჰუმანისტური თეორია
- მრავალმხრივი ინტელექტის თეორია
- განწყობის თეორია

განვითარებისა და სწავლის თეორიების ავტორები

- ჟან პიაჟე
- ლევ ვიგოცკი
- ლორენს კოლბერგი
- ალბერტ ბანდურა
- ბურუს ფ. სკინერი
- აბრაამ მასლოუ
- დიმიტრი უზნაძე
- დევიდ პერკინსი
- ჰოვარდ გარდნერი
- ჯერომ ბრუნერი
- ჯონ დიუი
- კარლ როჯერსი
- მარია მონტესორი
- ბენჯამინ ბლუმი

ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ 2005 წლის 8 აპრილის საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- „ეროვნული სასწავლო გეგმის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანება;
- 2006 წლის 25 მაისის „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის №44/25 რეზოლუციით მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენცია“.

დანართი 2

საგამოცდო პროგრამა

პროფესიული უნარები

საგამოცდო პროგრამა

I. განვითარებისა და სწავლის თეორიები _

(დაახლოებით 15%-20%)

მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე და მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

სწავლის ძირითადი თეორიები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლაზე და მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

განვითარებისა და სწავლის თეორიები	
კონსტრუქტივიზმი	ძირითადი პოსტულატები
ბიჰევიორიზმი	ძირითადი პოსტულატები
კოგნიტური განვითარების თეორია	ძირითადი პოსტულატები
სოციალური დასწავლის თეორია;	ძირითადი პოსტულატები
სოციო-კულტურული თეორია	ძირითადი პოსტულატები
მორალური განვითარების თეორია	ძირითადი პოსტულატები
ჰუმანისტური თეორია	ძირითადი პოსტულატები
მრავალმხრივი ინტელექტის თეორია	ძირითადი პოსტულატები
განწყობის თეორია	ძირითადი პოსტულატები

ავტორები	
ჟან პიაჟე – *კოგნიტური განვითარების თეორია.*	➘ კოგნიტური სქემები; კოგნიტური სქემების ფორმირება: - ასიმილაცია, - აკომოდაცია, - კოგნიტური წონასწორობა (ექვილიბრიცია) ➘ განვითარების სტადიები და მათი თავისებურებები: - სენსომოტორული სტადია - ოპერაციამდელი სტადია - კონკრეტული ოპერაციების სტადია - ფორმალური ოპერაციების სტადია

ლევ ვიგოტსკი – *განვითარების სოციალურ –კულტურული თეორია*	➘ განვითარების სოციალური და კულტურული ფაქტორები. ➘ ბავშვის კოგნიტური განვითარება – განვითარების აქტუალური ზონა, განვითარების უახლოესი ზონა. ➘ ბავშვის განვითარების ხელშეწყობა – მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონის აქტუალური განვითარების ზონად გარდაქმნის ხელშეწყობა.
ლორენს კოლბერგი – *მორალური განვითარების თეორია.*	➘ კოლბერგის მორალური განვითარების ძირითადი დონეები: - პრეკონვენციური - კონვენციური - პოსტკონვენციური ➘ მოსწავლეთა მორალური განვითარების დონის დადგენა. ➘ მოსწავლეთა მორალური განვითარების ხელშეწყობა.
ალბერტ ბანდურა – *სოციალურ –კოგნიტური დასწავლის თეორია*	➘ სოციალური ფაქტორების როლი სწავლისა და სწავლების პროცესში. ➘ სოციალური მოდელირება. -დაკვირვებით სწავლისათვის აუცილებელი ფაქტორები (ყურადღება, დამახსოვრება, გამეორება, მოტივაცია). -მოდელის თვისებები.
ბერას ფ. სკინერი – *ოპერანტული განპირობებულობის თეორია*	➘ სკინერის თეორიის ძირითადი პოსტულატები. ➘ ოპერანტული განპირობებულობა. ➘ პოზიტიური და ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმულები. ➘ მოტივირების ბიჰევიორისტული ფორმები.
აბრაჰამ მასლოუ – *მოტივაციის იერარქიული თეორია.*	➘ მოთხოვნილებათა იერარქია. ➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.
დიმიტრი უზნაძე – *განწობის თეორია*	➘ ფუნქციონალური ტენდენცია. ➘ ადამიანის ქცევის ფორმათა კლასიფიკაცია: - ინტეროგენული. - ექსტეროგენული. ➘ სწავლა, როგორც ქცევის განსაკუთრებული ფორმა; - თამაშით სწავლა. ➘ აღზრდის ძირითადი ტრაგედია.
დევიდ პერკინსი – *განათლების თეორია:*	➘ ადამიანის მეტაკოგნიტური განვითარება. ➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.

ჰოვარდ გარდნერი - *მრავალმხრივი ინტელექტის თეორია.*	➘ გარდნერის ინტელექტის ძირითადი ტიპები. ➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.
ჯერომ ბრუნერი – *აღმოჩენებით სწავლის თეორია*	➘ ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს აღმოჩენებით სწავლის ეფექტურობას: - განწყობა, - სწავლისადმი მზაობა, - სწავლის მრაფალფეროვნება, - ცოდნის აგებისა და ორგანიზების თეორია (სპირალური კურიკულუმი). ➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.
ჯონ დიუი – *სწავლა გამოცდილებით*	➘ დიუის თეორიის ძირითადი პოსტულატები. ➘ თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.
კარლ როჯერსი – *ჰუმანისტური მიდგომა და სწავლა გამოცდილებით.*	➘ გამოცდილებით სწავლების ძირითადი პრინციპები. ➘ მასწავლებელი, როგორც ფასილიტატორი (ხელის შემწყობი).
ბენჯამინ ბლუმი *განათლების მიზნების ტაქსონომია*	➘ განათლების მიზნების ტაქსონომია. ➘ კოგნიტური აქტივობების 6 განსხვავებული დონე - ცოდნა, - ანალიზი, - გაგება, - სინთეზი, - გამოყენება, - შეფასება.
მარია მონტესორი – *მონტესორის სკოლა*	➘ მონტესორის სწავლების ძირითადი მეთოდები

II. სწავლება და შეფასება

(დაახლოებით 60%-65%)

1. სასწავლო გარემო

1.1. ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

1.2. ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და პრინციპები.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა:
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები.
  - განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები.
- ინდივიდუალური მიდგომები და სასწავლო გეგმები.
- მულტიკულტურული და მულტილინგვისტური მიდგომები.

1.3. თითოეული მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობა:
- ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბება.
- კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარება.
- მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება
- დამოუკიდებელი აზრის თავისუფლად გამოხატვა.

1.4. სასწავლო ფიზიკური გარემოს მოწყობა ეფექტური სწავლებისათვის მიზნის მისაღწევად:
- სასწავლო რესურსების, ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მიზნების ადეკვატურად.
- სასწავლო მიზნის და სწავლების მეთოდის ადეკვატური ფიზიკური გარემო.

1.5. კლასის მართვის სტილი:
- დემოკრატიული
- ავტორიტარული
- ქაოსური

1.6. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება.

1.7. მოსწავლეთა ქცევის მართვა ჯგუფებში, წყვილებში, დისკუსიის დროს.

1.8. მოსწავლეებისთვის საკუთარი ქცევის შეფასების, თვითმართვის უნარის ჩამოყალიბება.

1.9. მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება.

2. მოტივაცია და კომუნიკაცია
2.1. შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.
2.2. მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები.
2.3. მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოტივაციის სტრატეგიის შერჩევა.
2.4. კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად. - ვერბალური კომუნიკაცია - არავერბალური კომუნიკაცია - აქტიური მოსმენა
2.5. მოსწავლეების კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.
2.6. მოსწავლეებთან კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბება მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად.
2.7. კითხვის დასმის სტრატეგიები.
3. სასწავლო პროცესი
3.1 სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად.
3.2. გაკვეთილის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად.
3.3. გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ასპექტები: - სასწავლო მიზნები - მოსწავლეთა შესაძლებლობები - დროის განაწილება - სასწავლო რესურსები
3.4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენის დროს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება.
3.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და გამოყენება.
4. შეფასების მეთოდები
4.1. შეფასების მიზნები.
4.2. შეფასების ტიპები: - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. - მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება.

4.3. შეფასების მეთოდები:
- ტესტირება.
- მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი.
- მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება.

4.4. შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება.
4.5. შეფასების ძირითადი პრინციპები: სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა.

4.6. შეფასების შედეგების გამოყენება:
- მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად.
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის.

5. სწავლების სტრატეგია და მეთოდები

5.1. სწავლების სტრატეგიების ეფექტური დაგეგმვა, გამოყენება და შეფასება; საკლასო ორგანიზაციის მოდელები:
- საერთო საკლასო მუშაობა
- ინდივიდუალური მუშაობა
- ჯგუფური მუშაობა
- დისკუსია
- პრეზენტაცია
- როლური მეთოდი

5.2. მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა:
- სააზროვნო პროცესის ხელშემწყობი სტრატეგიები.
- პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარების ხელშეწყობა.
- როლური თამაშები/სიმულაციები.

5.3. სოციალური უნარების განვითარებისა და კლასში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

III. პროფესიული გარემო (დაახლოებით 15%-20%)	
1. კოლეგებთან ურთიერთობა	1.1 მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობა. 1.2 ახალბედა პედაგოგისთვის გამოცდილების გაზიარება. 1.3 საზოგადოებასთან ურთიერთობა: - სასწავლო რესურსების მოძიება.
2. თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	2.1. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა 2.2. მოსწავლეთა შეფასების შედეგების გამოყენება თვითშეფასების მიზნით: - საკუთარი პრაქტიკის კვლევა. - კოლეგების გამოცდილების გაზიარება.
3. სამართლებრივი აქტების ცოდნა	3.1. საქართველოს კონსტიტუცია (მე-2 თავი): - ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლება. 3.2. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი. 3.3. ეროვნული სასწავლო გეგმა: - სწავლებისა და სწავლის ძირითადი საკითხები - სასწავლო გეგმის შედგენა - ინკლუზიური განათლება - მიღწევის დონეები საგნებისა და საფეხურების მიხედვით 3.4. შრომის კოდექსი: - შრომითი ხელშეკრულება - შვებულება - დასვენებით სარგებლობა 3.5. ბავშვთა უფლებების კონვენცია 3.6. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ დადგენილება.

დანართი 3

პროფესიული უნარების საგამოცდო

ტესტი

II ვარიანტი

პროფესიული უნარების ტესტი II

ინსტრუქცია

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი

პროფესიული უნარების ტესტი ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და შედგება სამი ნაწილისაგან: I. სწავლება და შეფასება;
II. განვითარებისა და სწავლის თეორიები;
III. პროფესიული გარემო.

პროფესიული უნარების ტესტში ოთხი ტიპის ტესტური დავალებაა:

(1) **არჩევითპასუხიან დავალებებს** ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან *სწორია მხოლოდ ერთი.* დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

(2) **შესაბამისობის დავალება** ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

(3) **დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“** თქვენგან მოითხოვს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას. *გაითვალისწინეთ:* თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია“, ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.

(4) **დავალებები ღია დაბოლოებით** თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და პასუხობდეს შეკითხვას.

** თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.*

თქვენ დაგირიგდათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის. ყველა პასუხი უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელზე. **სწორდება არა ტესტის ბუკლეტი, არამედ პასუხების ფურცელი**.

<u>პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია</u>

როგორ მოვნიშნოთ არჩევითპასუხიანი დავალებები:

პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა. ამის შემდეგ შეგიძლიათ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მე-3 დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დატოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მე-4 დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით.



ღია დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე, დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი, ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

<u>პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.</u>

წარმატებას გისურვებთ!

დავალება №1

მოსწავლეებთან მასწავლებლის კომუნიკაცია შედეგიანია, თუ მოსწავლეები იგებენ და ითვისებენ ახალ მასალას. ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის ~~ყველაზე ეფექტიანი~~ კომუნიკაციის მაგალითი ახალი მასალის ახსნისას?

ა) მასწავლებელი იყენებს მხოლოდ იმ სიტყვებსა და ტერმინებს, რომლებიც ნაცნობია მოსწავლეებისათვის.
ბ) მასწავლებლის საუბარში ჭარბობს ახალი ტერმინები და უცხო სიტყვები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.
გ) მასწავლებლის სამეტყველო ენა შეიცავს მხოლოდ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ბავშვების ყოველდღიური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.
დ) მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება მათთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ პერიოდულად ხსნის და შემდეგ იყენებს თემასთან დაკავშირებულ ახალ ტერმინებს.

დავალება №2

კითხვის დასმა ინტერაქციული სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია და მასწავლებლისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. მასწავლებლის მიერ არასწორი ფორმით დასმულმა კითხვამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობაზე.

ჩამოთვლილთაგან კითხვის დასმის რომელი ფორმაა ~~ყველაზე ეფექტიანი~~ მოსწავლეთა ჩართულობისა და მათი ცოდნის გამოვლენის ხელშესაწყობად?

ც) მასწავლებელი სწრაფად სვამს კითხვებს და მოსწავლეებისაგანაც სწრაფ და ზუსტ პასუხს მოითხოვს.
დ) მასწავლებელი ყურადღებით ისმენს მოსწავლეების პასუხს და საჭიროების შემთხვევაში სვამს დამატებით კითხვებს.
გ) მასწავლებელი ერთდროულად სვამს რამდენიმე კითხვას და მათგან ზოგიერთს თავადვე პასუხობს.
დ) მასწავლებელი კითხვებს მხოლოდ ძლიერ მოსწავლეებს უსვამს, რათა დანარჩენებმა მათგან გამართული და ჩამოყალიბებული პასუხი მოისმინონ.

დავალება №3

სწავლისა და სწავლების პროცესში მოსწავლის წარმატებას, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი თვითშეფასება.

მოსწავლეებს, რომლებიც ნაკლებად არიან დარწმუნებულები საკუთარ შესაძლებლობებში, ჰგონიათ, რომ ვერ შეძლებენ ამა თუ იმ მასალის დაძლევას და, შესაბამისად, წარუმატებლობის შიში უჩნდებათ.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები შეუწყობს ხელს ამგვარ მოსწავლეებში **ადეკვატური თვითშეფასების** ფორმირებას?

I. მისცეს მოსწავლეებს *ერთმანეთის ნამუშევრების* გაცნობისა და გასწორების საშუალება წინასწარ განსაზღვრული შეფასების სქემის გამოყენებით.
II. შეიმუშავოს ამ მოსწავლეებისათვის *ლოიალური შეფასების სქემა* და დაუწეროს მათ უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე ობიექტურად იმსახურებენ.
III. მისცეს ამგვარ მოსწავლეებს *საკუთარი ნამუშევრების* შეფასების საშუალება წინასწარ განსაზღვრული შეფასების სქემის გამოყენებით.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

დავალება №4

სკოლებში მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა მეთოდი/ტიპი გამოიყენება. მათ, პირობითად, ორ კატეგორიად ყოფენ – *განმსაზღვრელი და განმავითარებელი* შეფასება, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ქვეტიპად არის დაყოფილი – *მიმდინარე და შემაჯამებელი* შეფასება.

სასწავლო წლის ბოლოს მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მოსწავლეს წლიური შეფასება გააცნო. მან აღნიშნა, რომ კმაყოფილია გაკვეთილებზე მისი აქტიურობით, მასალის ათვისებისა და ანალიზის უნარით. თუმცა, მის წერით ნამუშევრებში ხშირია სტილური თუ გრამატიკული შეცდომები. წერის კულტურის განვითარებისათვის მასწავლებელმა მოსწავლეს სპეციალური დავალებები შეურჩია.

ჩამოთვლილთაგან შეფასების რომელი მეთოდი გამოიყენა პედაგოგმა აღწერილ სიტუაციაში?

ა) მიმდინარე, განმსაზღვრელი
ბ) შემაჯამებელი, განმავითარებელი
გ) მიმდინარე, განმავითარებელი
დ) შემაჯამებელი, განმსაზღვრელი

დავალება № 5

ნუცა ბეჯითი გოგონაა, იგი სისტემატურად მეცადინეობს, მაგრამ მორცხვია, აკლია თავდაჯერებულობა, ამის გამო ღელავს და ხშირად ვერ ავლენს ცოდნას.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის **ეფექტიანი** ქცევა/ქცევები, რომელიც დაეხმარება ნუცას, სიმორცხვის დაძლევასა და საკუთარი ცოდნის გამოვლენაში?

I. მასწავლებელი ინდივიდუალურ დავალებას აძლევს ნუცას, რათა თავიდან აარიდოს დაძაბულობა.
II. მასწავლებელი გამოხატავს კეთილგანწყობას ნუცას მიმართ და ამხნევებს მას.
III. მასწავლებელი ხშირად მიმართავს შეკითხვით ნუცას და ცდილობს მის ჩართვას ჯგუფურ მუშაობაში.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ II და III
დ) მხოლოდ III

დავალება №6

კლასში, სადაც განსხვავებული ინტერესების, მიზნებისა და ხასიათის მქონე მოსწავლეები არიან, ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები. კონფლიქტის არსებობა ბუნებრივი მოვლენაა და კონსტრუქციული გადაჭრის შემთხვევაში მას ბევრი დადებითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს.

მედიაცია კონფლიქტის კონსტრუქციულად მოგვარების ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა და გულისხმობს საკითხის გადაჭრას მესამე, ნეიტრალური პირის, მედიატორის მონაწილეობით.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის დაცვა **არ შეუწყობს** ხელს მედიაციის პროცესის წარმატებით განხორციელებას?

ა) მედიატორი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის.
ბ) მედიატორს უნდა შეეძლოს აქტიური მოსმენა და ჰქონდეს კომუნიკაციის კარგი უნარი.
გ) მედიატორი უნდა იყოს კატეგორიული, ის თავად უნდა იღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით.
დ) მედიატორი არ უნდა გამოხატავდეს თავის მხარდაჭერას კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ.

დავალება №7

მეექვსეკლასელები თვლიან, რომ მათი ერთ-ერთი მასწავლებელი ზედმეტად მკაცრია – მის საგანში მაღალი ქულის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია, ის მოსწავლეებს დიციპლინის უმნიშვნელო დარღვევისთვისაც კი აკლებს ნიშანს. მასწავლებელი მიიჩნევს, რომ სამართლიანად იქცევა და ამგვარი სიმკაცრე აუცილებელია.

სასწავლო მიზნების მისაღწევად, მასწავლებლის ქცევა

ა) **ადეკვატურია**, რადგან მხოლოდ სიმკაცრე და კონტროლი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მობილიზებას და ზრდის სწავლის მოტივაციას.
ბ) **ადეკვატური არ არის**, რადგან მოსწავლეთა შეფასება კონკრეტულ საგანში უნდა ეყრდნობოდეს მათ საგნობრივ ცოდნასა და მიღწევებს.
გ) **ადეკვატურია**, რადგან დისციპლინის პრობლემები ყოველთვის განაპირობებს პრობლემებს სწავლაში.
დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ამ ასაკის მოსწავლეები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მიღებულ ნიშნებს.

დავალება №8

გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს უნდა დაეყრდნოს. ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპი/ პრინციპები უნდა დაიცვას მან გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს?

IV. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესი შესასწავლი თემის მიმართ.
V. გაკვეთილის გეგმაში მასწავლებელი არ უნდა გასცდეს შესასწავლ თემაზე სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის ფარგლებს.
VI. მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს წინა გაკვეთილი და გაითვალისწინოს მოსწავლეთა საჭიროებანი.

ც) მხოლოდ I
დ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ II და III
დ) მხოლოდ I და III

დავალება №9

სწავლისა და აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლის *სოციალური ცნობიერების* განვითარების ხელშეწყობა. *სოციალური ცნობიერება* გულისხმობს, დაინახო და ანგარიში გაუწიო სხვა ადამიანთა აზრებსა და გრძნობებს. მოზარდები, რომლებსაც კარგად განვითარებული სოციალური უნარები აქვთ, საკუთარ თავსაც უკეთ შეიცნობენ და მეგობრებსაც ადვილად იძენენ.

ქვემოთ მოცემულია საგაკვეთილო პროცესის გარკვეული მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს, ასევე წარმოდგენილია ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. გაეცანით ორივე მათგანს და შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

მიზანი: ბავშვებში *სოციალური ცნობიერების* განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობა: კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოების *„დიდოსტატის მარჯვენა“* შესწავლის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, გაეანალიზებინათ მეფე გიორგის ქცევის მოტივები და ემსჯელათ მისი ქცევის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

განხორციელებული აქტივობა დასახული მიზნის

ა) **ადეკვატურია**, რადგან მოსწავლეებს საზოგადოებისათვის მისაღები და მიუღებელი ქცევის შესახებ მყარი შეხედულება ექმნებათ, რაც სოციალური უნარების განვითარების წინაპირობაა.
ბ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ერთი და იმავე მოვლენის განსხვავებული ხედვა და შეფასება აბნევს მოზარდებს. ეს გარემოება კი აფერხებს მათი სოციალური ცნობიერების განვითარებას.
გ) **ადეკვატურია**, რადგან ამ მეთოდით მოზარდები სწავლობენ სხვა ადამიანის ქცევის, განსხვავებული მოსაზრებების გაგებასა და დაფასებას. ამასთან, უვითარდებათ თანაგანცდის უნარი, რაც სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.
დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან სოციალური ცნობიერება მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს მხოლოდ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე.

დავალება №10

მასწავლებელმა მეოთხე კლასში ტესტირება ჩაატარა. კლასში ტესტირების შედეგების გამოცხადებისას მასწავლებელი კომენტარებსაც აკეთებდა.

ჩამოთვლილთაგან კომენტარის რომელი ფორმაა ყველაზე უფრო ეფექტიანი მოსწავლეთა წასახალისებლად?

ც) „ათი კითხვიდან შენ ექვსს სწორად გაეცი პასუხი“.
დ) „შენ მხოლოდ ექვს კითხვას გაეცი სწორი პასუხი“.
გ) „ათი კითხვიდან შენ ოთხს შეცდომით უპასუხე“.
დ) „შენ შეცდომით უპასუხე კითხვების თითქმის ნახევარს“.

დავალება №11

ცნობილია, რომ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლება. განასხვავებენ მოტივაციის ორ ფორმას – გარეგან და შინაგან მოტივაციას.

A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის აქტივობები, B სვეტში კი – მოტივაციის ფორმები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

**დასაშვებია, რომ B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთი პასუხი სწორი იყოს A სვეტში მოცემული ერთზე მეტი პირობისათვის.*

მასწავლებლის აქტივობები (A)	მოტივაციის ფორმები (B)
V. მასწავლებელი ხშირად აქებს მოსწავლეს და მის წარმატებას კლასის წინაშე აღნიშნავს.	ა) შინაგანი მოტივაცია ბ) გარეგანი მოტივაცია
VI. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, თავად აირჩიონ სადისკუსიო თემა შემდეგი გაკვეთილისათვის.	
VII. თუ კლასში ყველა მოსწავლე ტესტურ დავალებათა ნახევარს მაინც შეასრულებს, მასწავლებელი მოსწავლეებს ექსკურსიაზე წაყვანას ჰპირდება.	
VIII. მასწავლებელი მოსწავლეებს მათთვის საინტერესო თემაზე პრეზენტაციის მომზადებას ავალებს.	

პასუხები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში (პირველი პასუხი უკვე მითითებულია)

ჩაწერეთ:

მასწავლებლის აქტივობები (A)	I	II	III	IV
მოტივაციის ფორმები (B)	ბ			

დავალება №12

მაქსიმალური ქულა – 6

პედაგოგმა მოსწავლეს ე.წ. სააზროვნო სქემის გამოყენებით განვლილ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის ორგანიზება სთხოვა და შემდეგი მითითებები მისცა:

სქემა



მითითებები:

(1) მასალიდან გამოყავი ორი მნიშვნელოვანი მოვლენა/ ფაქტი;

(2) აღმოაჩინე და აღწერე ამ მოვლენებს/ ფაქტებს შორის მსგავსებები;

(3) აღმოაჩინე და აღწერე ამ მოვლენებს/ ფაქტებს შორის არსებული განსხვავებები.

პედაგოგმა მოსწავლეს დამატებით დაავალა მასალიდან ერთი საკითხის გამოყოფა, რომლის შესახებაც მოსწავლეს მეტის გაგება სურდა.

აღწერეთ სწავლის მოცემული სტრატეგიის დადებითი ეფექტი. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- *დაასახელეთ მოსწავლის ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს აღწერილი მეთოდი. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*
- *ახსენით, როგორ ეხმარება მასწავლებელს ეს მეთოდი სასწავლო მიზნების მიღწევაში.*

✍ ჩაწერეთ:

დავალება №13

მაქსიმალური ქულა – 5

სწავლისა და სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ დისკუსიის მეთოდს. ამ მეთოდის ეფექტიანობას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, ფიზიკური გარემო. სურათზე გამოსახულია მერხების განლაგების სქემა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება დისკუსიის მეთოდით მუშაობის დროს.

- ახსენით, რატომ მოითხოვს დისკუსიის მეთოდის გამოყენება კლასში მერხების ამგვარ განლაგებას.
- დაასახელეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა (ფიზიკური გარემოს მოწყობის გარდა), რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა დისკუსიის დაგეგმვის დროს. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
- დაასახელეთ დისკუსიის მეთოდის გამოყენების ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი ეფექტი.

ჩაწერეთ:

დავალება №14

მაქსიმალური ქულა – 4

ჩვეულებრივ, მაღალ კლასებში ქცევის წესების შემუშავება არ არის საკმარისი კლასში დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. გაცილებით მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ეს წესები დაიცვან.

- აღწერეთ მასწავლებლის ორი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ ქცევის წესების დაცვასა და შენარჩუნებას.
- ახსენით, რატომ იქნება ეფექტიანი თქვენ მიერ აღწერილი აქტივობები მოსწავლეების მიერ ქცევის წესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ჩაწერეთ:

დავალება №15

მაქსიმალური ქულა – 20

ეს დავალება განსხვავებული ფორმატისაა და თქვენგან სიტუაციის კომპლექსურ შეფასებასა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას მოითხოვს.

დავალება პირობითად ორი ნაწილისგან შედგება: ერთ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია პედაგოგის შესახებ, მეორეში – დოკუმენტაცია *(წერილები, საბუთები, ჩანაწერები)*, რომელიც წარმოდგენას შეგიქმნით პედაგოგის წინაშე წამოჭრილ პრობლემებზე.

ყურადღებით გაეცანით ინფორმაციას პედაგოგის შესახებ და წარმოიდგინეთ თავი მის ადგილას.

ინფორმაცია თქვენ შესახებ:

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ერთი წელია, მენტორის ხელმძღვანელობით მუშაობთ ერთ-ერთ საჯარო სკოლაში.

სკოლის დირექტორის დავალებით, შუა სასწავლო წლიდან თქვენ უნდა შეცვალოთ მარინა გიორგობიანი, მე-9ᵃ კლასის დამრიგებელი და ფიზიკის მასწავლებელი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებულია, სკოლაში მუშაობას თავი დაანებოს.

სიტუაცია:

წარმოიდგინეთ, დღეს 9 მარტია, ორშაბათი. სკოლაში გადმოგცეს მარინა გიორგობიანის საქაღალდე დოკუმენტებითა და თქვენთვის განკუთვნილი წერილით.

ამოცანა:

ყურადღებით გაეცანით წერილს და თანდართულ დოკუმენტაციას. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თქვენ გევალებათ: (1) მასწავლებლის წინაშე წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი; (2) პრობლემების გადასაჭრელად კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა.

გახსოვდეთ, <u>მნიშვნელოვანია საქაღალდეში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის გამოყენება.</u>

მასალები საქაღალდიდან

დოკუმენტი 1. მარინა გიორგობიანის წერილი თქვენთვის

ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ჩემ ნაცვლად თქვენ უნდა შეხვიდეთ მე-9ᵃ კლასში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვეღარ შევძლებ სკოლაში მუშაობის გაგრძელებას. ვაპირებდი თქვენთან შეხვედრას, რომ მესაუბრა კლასის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. ამიტომ გწერთ წერილს, რომელშიც კლასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას აღვნიშნავ.

ორი წელია მე-9ᵃ კლასის დამრიგებელი ვარ. საკმაოდ შეკრული და მეგობრული კლასია. კლასში ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეა, *გიორგი კაპანაძე,* რომელსაც ბავშვთა ცერებრული დამბლის დიაგნოზი აქვს და ეტლით გადაადგილება, ის წელს გადმოვიდა ჩვენთან. კლასი წინასწარ მოვამზადე და გიორგი მოსწავლეებმა კარგად მიიღეს. თუმცა აღმოჩნდა, რომ ბავშვს მაინც აქვს ადაპტაციის პრობლემები – ახლახანს ქართულის მასწავლებელმა გიორგის მიერ დაწერილი თავისუფალი თემა გადმომცა (საქაღალდეში ნახავთ), საიდანაც ცხადად ჩანს, რომ ამ მიმართულებით კიდევ არის სამუშაო.

კლასში ყველაზე პრობლემური მოსწავლე *ირაკლი მაისურაძეა.* იგი ბოლო ხანებში სკოლაში მოსწავლეთა შორის თითქმის ყველა კონფლიქტის ინიციატორია. გაკვეთილზეც რთულია მისი ქცევის მართვა. გაკვეთილების გაცდენა უმეტესწილად მისი ინიციატივით ხდება – ადვილად იყოლიებს კლასს.

ყურადღება სჭირდება *გელა მამნიაშვილსაც.* ისედაც სუსტი მოსწავლეა და ჯანმრთელობის პრობლემის გამო ძალიან ჩამორჩა თანაკლასელებს.

საქაღალდეში ასევე ნახავთ მე-9ᵃ კლასში ბოლო სამ თემაზე ჩატარებული ტესტირებების შედეგებს. ვფიქრობ, ესეც დაგეხმარებათ სასწავლო პროცესის წარმართვაში.

ძირითადად ეს იყო, რაც მინდოდა მეთქვა. წარმატებას გისურვებთ.

პატივისცემით,

მარინა გიორგობიანი

დოკუმენტი 2. ირაკლი მაისურაძის ხელწერილი



ძვირფა მასწ.

გეთხოვებით, რომ ფოსტალიონს ვინახავდეთ,
სკოლის ეს გვარები და წერილად მოვიტანეთ
ირაკლი მაისურაძე

დოკუმენტი 3. გელა მამნიაშვილის ჯანმრთელობის ცნობა პოლიკლინიკიდან



საქართველოს
შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის
სამინისტრო

ბავშვთა პოლიკლინიკა N 19
ლიცენზია:00431
მისამართი თბილისი, კალოუბნის ქ.20
ტელეფონი 76 75 15

ცნობა

ეძლევა გელა მამნიაშვილს მასზედ, რომ იგი იყო ავად 20/XII/2009 წ. დან 27/II/2010 წ. მდე.

დიაგნოზი: მარჯვენა ფეხი წვივის ძვლის მოტეხილობა, ქვედა მესამედში

შეუდგეს სწავლას 1/III/2010 წ. დან.

ოჯახის ექიმი: /ლ. მაჩაიძე/

მთავარი ექიმი: /ე. ოყროშიძე/

ДОКУМЕНТИ 4. ნინო მხეიძის მშობლის წერილი

From: ketimkheidze@yahoo.com
Date: 20.02.2010 19:24:29
To: marina@gmail.com

ქალბატონო მარინა,

მოგმართავთ ნინო მხეიძის მშობელი.

ვატყობ, რომ ბოლო დროს ნინოსთვის გაკვეთილები მოსაწყენი და უინტერესო გახდა. კლასი ერთი კვირის განმავლობაში გადის იმ საკითხებს, რასაც ნინო ერთ დღეშიც ითვისებს. შესაძლოა, უხერხულია ჩემგან ამის მოთხოვნა, მაგრამ მგონია, რომ ძალიან ნიჭიერი ბავშვი იჩაგრება სხვების გამო. იქნებ მეტი ყურადღება მიაქციოთ, რომ გაკვეთილები მისთვის მოსაბეზრებელი არ გახდეს. თუ ეს არ ხერხდება, მაშინ უფრო ძლიერ კლასში გადავიყვან.

იმედი მაქვს, ჩემს თხოვნას გაითვალისწინებთ

პატივისცემით,

ქეთევან მხეიძე

ДОКУМЕНТИ 5. მარინა გიორგობიანის მიერ მე-9ᵃ კლასში ბოლო სამი თემის დასრულების შემდეგ ჩატარებული ტესტირებების შედეგები (მაქსიმალური ქულა – 10).

	I	II	III
მე-9ᵃ კლასის საშუალო ქულა	8,00	8,79	3,67

დოკუმენტი 6. გიორგი კაპანაძის მიერ დაწერილი თავისუფალი თემა (ნაწყვეტი)

მეგონა სკოლაში ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა...
ახალი მეგობრები, ახალი მასწავლებლები. ძალიან მიხარიოდა,
რომ ჩემი მეგობრების – ნიკას და დავთს კლასში მოვხვდი.

მაგრამ მე სხვანაირი ვარ და ბავშვებივრ გრძნობენ ამას,
მათრნა მასწავლებელიც... მე ყველას ვერიდები, ყველა
გეხმარება, ის მიყურებენ, როგორც ავადმყოფს...
ძალიან ჯიანია, მე ასეთი შემძლია, ასეთი ფერი. ნიკა და
დავთ სახლში მოდიან, რომ გაკვეთილების მოსამზადებლად
დამეხმარონ, ასევე მეც შემიძლია, უფასოდ მიხარია მათი
მოსვლა. მასწავლებლებს ასეთ შეცდომებია...

დავთს და ნიკასგან რომლებიმ ვიჯდი. ყველა
იცხოვრებს ერთიანად კლასელებთან ერთ გზაზე. ყველა
რომლებმა ვიჯდი...

მოცემულ მასალაზე დაყრდნობით თქვენ გევალებათ (1) პრობლემების განსაზღვრა და ანალიზი და (2) მათი დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

(1) პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი

საქაღალდეში მოცემული დოკუმენტების საფუძველზე განსაზღვრეთ და გააანალიზეთ პრობლემები, ახსენით: (ა)თითოეული პრობლემის გამომწვევი მიზეზი და (ბ)რა შეიძლება მოჰყვეს მას შედეგად.

** პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, კონკრეტულად რა საკითხს ან ვის უკავშირდება პრობლემა. თქვენ გევალებათ პრობლემის არსის განსაზღვრა (რა პრობლემაა, რამ გამოიწვია ის და რ შეიძლება მოჰყვეს შედეგად).*

(2) პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება

აღწერეთ თქვენ მიერ გამოვლენილი თითოეული პრობლემის დაძლევის გზა. დაასაბუთეთ, რა დადებითი ეფექტი ექნება პრობლემის დაძლევის თქვენ მიერ შემოთავაზებულ გზას.

გაითვალისწინეთ, რომ უნდა აღწეროთ პედაგოგის **კონკრეტული აქტივობა, რომელიც მოაგვარებდა პრობლემას.*

ჩაწერეთ:

1. გიორგი კაპანაძის პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

2. ნინო მხეიძის პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

3. ირაკლი მაისურაძის პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

4. გელა მამნიაშვილის პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

5.ტესტირების შედეგები. პრობლემა / ანალიზი

გადაჭრის გზა

დავალება №16

ქართული ლიტერატურის პედაგოგმა ტესტში სხვადასხვა სირთულის დავალებები შეიტანა, რომელთა შესრულებაც სააზროვნო პროცესის განსხვავებულ დონეს მოითხოვს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე დავალება ამ ტესტიდან. დაალაგეთ ისინი სააზროვნო პროცესის სირთულის მიხედვით *დაბლიდან მაღლისაკენ.*

ტესტური დავალებები
I. გააანალიზეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ შემდეგი მითითებების მიხედვით: ✓ იმსჯელეთ მერანის მხატვრული სახის შესახებ ✓ ახსენით, რა საშუალებებითაა მიღწეული მხატვრული ეფექტი
II. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო . . .“ ვკითხულობთ: *„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,* *მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.* *მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,* *ზეგარდმო მადლით დაუხსნებლად დამტკიცებულსა!“* **განმარტეთ თქვენი სიტყვებით, ავტორის რა შეხედულება ჩანს ლექსის ამ მონაკვეთში?**
III. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია? ა) სიმბოლიზმს ბ) რომანტიზმს გ) რეალიზმს დ) კლასიციზმს

ჩაწერეთ:

	სააზროვნო პროცესის სირთულის დონე		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
დავალებები			

დავალება №17

ქვემოთ მოცემულია სასწავლო პროცესის წარმართვის რამდენიმე განსხვავებული მიდგომა. ჩამოთვლილთაგან რომელია ე.წ. **კონსტრუქტივისტული** მიდგომის მაგალითი?

ა) გაკვეთილის ახსნის შემდეგ მასწავლებელი დავალებას აძლევს მოსწავლეებს და აღარ ერევა მისი შესრულების პროცესში, თუნდაც ამ პროცესმა დისკუსიის ფორმა მიიღოს და გასცდეს გაკვეთილის ძირითად თემას.

ბ) მასწავლებელი ახალი მასალის ახსნის შემდეგ მოსწავლეებს აძლევს სავარჯიშოებს, დეტალურად უხსნის მათი გადაწყვეტის გზებს და სახლშიც ტიპურ დავალებებს აძლევს შესასრულებლად.

გ) მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო აქტივობებს, მათი განხორციელების ტემპს და მკაცრად აკონტროლებს კლასში მოსწავლეთა მუშაობის პროცესს, აძლევს მათ კონკრეტულ დავალებებსა და მითითებებს.

დ) მასწავლებელი მოსწავლეებს ახალი მასალიდან აწვდის არსებით ინფორმაციას, ყურადღებას ამახვილებს საკვანძო საკითხებზე და ამ გზით ეხმარება მათ, თავად გააკეთონ აღმოჩენები და გაიღრმავონ ცოდნა.

დავალება №18

იმის გასარკვევად, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად და რისი – სხვების დახმარებით, მათემატიკის პედაგოგმა მეოთხეკლასელებს მისცა ამოცანა ამოსახსნელად.

ერთ-ერთმა მოსწავლემ ამოცანას დამოუკიდებლად ვერ გაართვა თავი. პედაგოგი შეეცადა, გარკვეული მინიშნებებით დახმარებოდა მას, რის შემდეგაც მოსწავლემ ამოცანა ამოხსნა. მასწავლებელმა მისი კოგნიტური უნარების განვითარებისა და სწავლაში ხელშეწყობის მიზნით გარკვეული აქტივობები დაგეგმა.

ჩამოთვლილთაგან პედაგოგის რომელი აქტივობა იქნება **ყველაზე ადეკვატური** მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად?

ა) პედაგოგმა მოსწავლეს მოცემულ დავალებაზე გაცილებით მარტივი დავალებები მისცა შესასრულებლად.

ბ) პედაგოგმა მოსწავლეს მსგავსი სირთულის სავარჯიშო მისცა დამოუკიდებლად ამოსახსნელად.

გ) პედაგოგმა მოსწავლეს სთხოვა სახელმძღვანელოდან მხოლოდ შესაბამისი თემის გამეორება.

დ) პედაგოგმა მოსწავლეს მოცემულ დავალებაზე უფრო რთული დავალება მისცა შესასრულებლად.

დავალება №19

პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით, **ფორმალური ოპერაციების** სტადიაზე მყოფი მოსწავლისათვის დამახასიათებელია აბსტრაქტული აზროვნება და კარგად განვითარებული წარმოსახვა.

მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობებია **მიზანშეწონილი ამ სტადიაზე** მყოფ მოსწავლეთა განვითარების ხელშესაწყობად?

I. მასწავლებელმა გამოკვეთოს პრობლემა და მოსწავლეს სთხოვოს მისი გადაჭრის სავარაუდო გზების ჩამოყალიბება.
II. მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეს პრობლემის გამოკვეთა, მისი გადაწყვეტის გზის ჩამოყალიბება და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება.
III. მასწავლებელმა გამოკვეთოს პრობლემა და მისი გადაჭრის გზების დემონსტრირება მოახდინოს.

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ II და III
გ) მხოლოდ I
დ) მხოლოდ III

დავალება №20

ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით, მოზარდები იძენენ ახალ გამოცდილებას და სწავლობენ სხვა ადამიანებზე დაკვირვებით. თუმცა, იმისათვის, რომ მოსწავლემ სხვა ადამიანის, *ე.წ. მოდელის* ქცევას მიბაძოს, იგი (მოდელი) გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ჩამოთვლილთაგან რომელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს *მოდელი* იმისათვის, რომ სოციალური დასწავლის პროცესი ეფექტიანად წარიმართოს?

I. მნიშვნელოვანია ასაკის გათვალსიწინება – მოსწავლეები მხოლოდ ასაკით მათზე უფროსს ბაძავენ.
II. მნიშვნელოვანია სქესის ფაქტორის გათვალისწინება – ბიჭი მოსწავლეები ავტორიტეტულ მამაკაცებს ბაძავენ, ხოლო გოგონები – ქალებს.
III. მოდელირება/მიბაძვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად მოსწავლეები მიიჩნევენ მოდელს კომპეტენტურად.

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ II და III
გ) მხოლოდ I
დ) მხოლოდ III

დავალება №21

ქვემოთ მოცემულია გაკვეთილის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს, ასევე წარმოდგენილია მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. გაეცანით ორივე მათგანს და შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

მიზანი: განუვითაროს პირველკლასელ მოსწავლეებს საგანთა და მოვლენათა კლასიფიცირების უნარი.

აქტივობა: მასწავლებელმა ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით მოსწავლეებისათვის შეარჩია ქვემოთ მოცემული ორი სავარჯიშო. *მან ჯერ №1 სავარჯიშო მისცა მოსწავლეებს შესასრულებლად, შემდეგ – №2.* მისი ვარაუდით, მოსწავლეთათვის დავალებების ამ თანმიმდევრობით მიცემა კლასიფიცირების უნარის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

სავარჯიშო №1

დავალება: ცალ-ცალკე დაალაგეთ სულიერთა და უსულოთა ფოტოები.

სავარჯიშო №2

დავალება: ცალ-ცალკე დაალაგეთ ქუდიანი და უქუდო ბავშვების ფოტოები.

აღწერილი აქტივობა დასახული მიზნის

ც) **ადეკვატურია**, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს, ჩვეულებრივ, უკვე შეუძლია მოვლენათა კლასიფიცირება ზოგადი ნიშნით (მაგ. სულიერი და უსულო).

დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან, ჩვეულებრივ, საგანთა და მოვლენათა კლასიფიცირების უნარი მოგვიანებით ყალიბდება და ამ ასაკის ბავშვები ვერ დაძლევენ მოცემულ დავალებებს.

ჰ) **ადეკვატურია**, რადგან ბავშვმა მოვლენათა კლასიფიცირება ჯერ არსებითი ნიშნის მიხედვით უნდა შეძლოს, რომ შემდგომ გაუადვილდეს კონკრეტული ნიშნით მოვლენების კლასიფიცირება.

დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ამ ასაკში ბავშვს, ჩვეულებრივ, უფრო უადვილდება კონკრეტული, თვალსაჩინო ნიშნით (მაგ. ქუდი) მოვლენათა კლასიფიცირება.

დავალება №22

კოლბერგის თეორიის მიხედვით, ბავშვის მორალური განვითარება თანდათან, ასაკის მატებასთან ერთად ხდება და მის ქცევას განვითარების დონის შესაბამისი „მორალური ახსნა“ უდევს საფუძვლად. მოსწავლის ქცევაში გამოვლენილი მორალური განვითარების ხარისხი პირობითად შეიძლება დავყოთ დონეებად.

ჩამოთვლილთგან რომელია მორალური განვითარების **ყველაზე დაბალი დონის** შესაბამისი ქცევა?

ჰ) მოსწავლე აცნობიერებს სოციალური გარემოს ეთიკურ სტანდარტებს და შესაბამისად იქცევა.
ი) მოსწავლე ფიქრობს, რომ ცუდი საქციელია მხოლოდ ის, რის გამოც ისჯება.
გ) მოსწავლე კარგად იქცევა ძირითადად იმის გამო, რომ მასწავლებლებისა და მშობლების შექება დაიმსახუროს.
დ) მოსწავლე ქცევის შეფასებისას ითვალისწინებს მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მოსაზრებებს.

დავალება №23

დიმიტრი უზნაძე მიიჩნევდა, რომ აღზრდის პროცესის სირთულეს განაპირობებს სწავლისა და სწავლებისადმი ბავშვისა და აღმზრდელის განსხვავებული შეხედულებები, დამოკიდებულებები და მოტივები. უზნაძემ ეს სხვაობა აღმზრდელობითი პროცესის უმთავრეს წინააღმდეგობად მიიჩნია და მას „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა.

უზნაძის აზრით, აღმზრდელობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის შესუსტებაში:

I. გადამწყვეტი როლი მასწავლებელს ენიჭება, რომელიც უნდა შეეცადოს მოსწავლის ბუნებისა და მისი ინდივიდუალური თავისებურებების გაგებას.
II. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის მიერ ბავშვის სწავლის მოთხოვნილებისა და განწყობის შექმნას.
III. გადამწყვეტი როლი მოსწავლეს ენიჭება, რომელმაც უნდა გააცნობიეროს, რომ აღმზრდელის რჩევები და მითითებები მხოლოდ მისი მომავალი კეთილდღეობის სურვილით არის განპირობებული.

ც) მხოლოდ II
დ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ I და II

დავალება №24

სწავლისა და სწავლების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მოსწავლის **სააზროვნო უნარების** განვითარების ხელშეწყობაა. *ბლუმის* თეორიის მიხედვით, ინფორმაციის შენახვა და გახსენება სააზროვნო აქტივობის ყველაზე დაბალი საფეხურია, რაც სწავლისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია განზოგადდეს და შემდგომში მოსწავლემ მისი გამოყენება შეძლოს, აუცილებელია მისი გაგება და ანალიზი. ახალი პროდუქტის შესაქმნელად, ახალი ცოდნის მისაღებად კი საჭიროა სინთეზისა და შეფასების ოპერაციები.

ბლუმის ტაქსონომია ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული თემის სწავლებისას ან გაკვეთილის დაგეგმვის დროს.

წარმოიდგინეთ, რომ ამზადებთ რაიმე თემის სწავლების გეგმას. თემა მნიშვნელოვანია და თქვენი მიზანია, მიაღწიოთ მოსწავლეების მიერ საკითხის ღრმა გააზრებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აზროვნების თითოეული დონის გასწვრივ აღწერეთ მასწავლებლის აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის დონეზე მოსწავლეების მიერ თემის ათვისებას.

**ცხრილში აზროვნების რამდენიმე დონის (ცოდნა, ანალიზი, შეფასება) გასწვრივ უკვე ჩაწერილია მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა.*

ჩაწერეთ:

აზროვნების დონე	*მასწავლებლის აქტივობა*
ცოდნა	მასწავლებელი განმარტავს წესს, ცნებას, მოსწავლეებს აწვდის თემასთან დაკავშირებულ ახალ ფაქტებს.
გაგება	
გამოყენება	
ანალიზი	მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს საკითხის/მასალის შემადგენელ ნაწილებად დაყოფას, მათ შედარება-შეპირისპირებას. დაფარული აზრის აღმოჩენას, მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერების დადგენას.
სინთეზი	
შეფასება	ახალი მასალის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას, მოსწავლეებთან ერთად კრიტიკულად განიხილავს თემას (თეორიას). სთხოვს მათ, მოიყვანონ არგუმენტები და კონტრარგუმენტები ამ თეორიის/მიდგომის შედეგიანობის, პრაქტიკული გამოყენების შესაფასებლად.

დავალება №25

მასწავლებელმა მოსწავლეს მისცა ამოცანა (№1), რომელიც სიმბოლოებს შორის მიმართების დადგენას მოითხოვს.

ამოცანა N1

მოცემულია, რომ ***A>B*** *და* ***B>C;*** *რა მიმართება იქნება* ***A-****სა და* ***C-****ს შორის?*

მოსწავლეს გაუჭირდა ამოცანის ამოხსნა. მასწავლებელი შეეცადა, მას დახმარებოდა მიმანიშნებელი კითხვებით. თუმცა, მოსწავლემ ამოცანა მაინც ვერ ამოხსნა.

ამის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეს **იგივე დავალება** განსხვავებული ფორმით მისცა (ამოცანა №2).

ამოცანა N2

დააკვირდი წრეწირებს: ***A>B*** *და* ***B>C****;*



რა მიმართება იქნება ***A-****სა და* ***C-****ს შორის?*

ამჯერად პედაგოგის მინიშნებებითა და დამაზუსტებელი კითხვების დახმარებით მოსწავლემ ამოცანა ამოხსნა.

- ვიგოტსკის თეორიაზე დაყრდნობით, გააანალიზეთ პედაგოგის მიერ მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად განხორციელებული აქტივობა: ახსენით, რამ განაპირობა მასწავლებლის მიერ არჩეული გზის ეფექტურობა.

  ******იმ შემთხვევაში, თუ ვიგოტსკის თეორიას არ იცნობთ, ან გიჭირთ მისი ამ კონტექსტში გამოყენება, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.*

- ახსენით, **რომელი ამოცანის საშუალებით** შეძლო მასწავლებელმა მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონის განსაზღვრა.

✍ *ჩაწერეთ:*

დავალება № 26

ყურადღებით გაეცანით სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, ქვემოთ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორი ფორმით და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.**

ზამთრის არდადეგების დასრულებიდან რამდენიმე დღეში ერთ-ერთი საჯარო სკოლის მერვე კლასის დამრიგებელმა მშობელთა კრება მოიწვია, რათა მშობლებისათვის სკოლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება გაეცნო. სკოლას ბუნებრივი აირის მომწოდებელი კომპანიის მიმართ დიდი დავალიანება დაუგროვდა, რომელსაც არსებული ბიუჯეტით ვერ ფარავდა. საბჭო თხოვნით მიმართავდა მოსწავლეთა მშობლებს, სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით დახმარებოდნენ სკოლას შემოწირულობის სახით. სამეურვეო საბჭოს თხოვნას მშობელთა დიდი ნაწილი გაგებით მოეკიდა.

შეხვედრის ძირითადი თემის განხილვის შემდეგ დამრიგებელმა მშობლებს გააცნო მოსწავლეთა მიღწევები თავის საგანში. ყურადღება გაამახვილა ორ მოსწავლეზე, რომლებიც ცუდი დისციპლინით გამოირჩევიან და აკადემიური მოსწრებაც დაბალი აქვთ. დამრიგებელმა ამ მოსწავლეთა მშობლებს შესთავაზა ბავშვებისათვის დამატებითი მეცადინეობის ჩატარება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამგვარი დახმარება მასწავლებელს მათთვის სხვა დროსაც გაუწევია. ამასთანავე, დამრიგებელმა კრებაზე განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ფასიანი საგნობრივი წრეები, რომელთა მიზანია, დაეხმაროს შედარებით სუსტ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების ათვისებაში.

კრების ბოლოს დამრიგებელმა მკაცრად გააფრთხილა უდისციპლინო მოსწავლეების მშობლები, რომ თუ მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლისადმი არ შეიცვლება, იგი დისციპლინური კომიტეტის წინაშე დააყენებს ამ მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვის საკითხს.

26.6 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით სამეურვეო საბჭოს არ ჰქონდა უფლება, არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით, თანხების მოსაზიდად მშობლებისათვის მიემართა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

26.7 საჯარო სკოლას უფლება აქვს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

26.8 ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია, დაიცვას საჯაროობის პრინციპი და მშობელთა კრებაზე დეტალურად განიხილოს თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევა და დისციპლინური საკითხები.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

26.9 საჯარო სკოლის დისციპლინურ კომიტეტს უფლება არა აქვს სკოლიდან გარიცხოს მოსწავლე დაბალი აკადემიური მოსწრების გამო.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

26.10 საჯარო სკოლას არა აქვს უფლება, შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამის ფარგლებში დამატებითი საგანმანათლებლო ფასიანი მომსახურება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

დავალება № 27

ყურადღებით გაეცანით ქვემოთ აღწერილ შემთხვევას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, ქვემოთ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული მსჯელობა ჩაწერეთ სწორი ფორმით და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.**

ერთ-ერთი საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა, დირექციასთან შეთანხმებით, სკოლის ეზოში არასაგაკვეთილო დროს როკ-კონცერტი მოაწყვეს.

კონცერტს სხვა სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. კონცერტის მსვლელობისას სხვადასხვა სკოლის რამდენიმე მოსწავლეს შორის შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა და ერთ-ერთი მათგანი მსუბუქად დაიჭრა. კონცერტი შეწყდა. საპატრულო პოლიციის მოსვლამდე სიტუაციაში გარკვევას სკოლის დირექტორი და მეთორმეტე კლასის დამრიგებელი საკუთარი ძალებით შეეცადნენ. მათ სხვა სკოლის მოსწავლეებს დაატოვებინეს სკოლის ტერიტორია. მეთორმეტე კლასის დამრიგებელმა თავისი მოსწავლეები საკლასო ოთახში შეიყვანა და გაჩხრიკა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დანის მფლობელი მოსწავლე განყოფილებაში წაიყვანეს.

ამ ფაქტის განსახილველად დირექტორმა მეორე დღესვე მოიწვია დისციპლინური კომიტეტის რიგგარეშე სხდომა. სხდომაზე დასწრება კონცერტის ორგანიზატორმა მოსწავლეებმაც მოითხოვეს, რაზეც დირექციისაგან უარი მიიღეს.

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებით, კონცერტის ორგანიზატორები ერთი კვირით დაითხოვეს სკოლიდან.

27.1 მოსწავლეებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, აქვთ სკოლის ტერიტორიაზე შეკრების თავისუფლება კანონით დადგენილი წესით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

27.2 სკოლის მასწავლებელს უფლებამოსილი იყო, სიტუაციაში გარკვევის მიზნით, ჩაეტარებინა თავისი კლასის მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

27.3 სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მომხდარის შესახებ იმ მოსწავლის მშობელს, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა წაიყვანეს განყოფილებაში.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

27.4 მოსწავლეებს ჰქონდათ უფლება, მოეთხოვათ და მიეღოთ იმ დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე დასწრების უფლება, რომელზეც მათი საკითხი განიხილებოდა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

27.5 დისციპლინურ კომიტეტს არ აქვს უფლება, მოსწავლე/მოსწავლეები დაითხოვოს სკოლიდან ერთი კვირის ვადით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

დანართი 4

შეფასების სქემები

შეფასების სქემა

პროფესიული უნარების ტესტი

I ვარიანტი

დახურულბოლოიანი დავალებები

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა - 1

დავალება	პასუხი
1	გ
2	ა
3	ბ
4	დ
5	ბ
6	დ
7	ბ
8	გ
9	ა
10	გ

დავალება	პასუხი
17	ა
18	ა
19	ა
20	გ
21	დ
22	ა
23	დ

შესაბამისობის დავალებები

დავალების მაქსიმალური ქულა – 1;

აპლიკანტი ქულას იღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი დავალების თანდართულ ცხრილს შეავსებს სწორი თანმიმდევრობით

დავალება №11				
(A)	I	II	III	IV
(B)	ბ	გ	ა	დ

დავალება №16			
	დაბალი	საშუალო	მაღალი
დავალებები	II	III	I

II ვარიანტი

დახურულბოლოიანი დავალებები

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა - 1

დავალება	პასუხი
1	დ
2	ბ
3	გ
4	ბ
5	გ
6	გ
7	ბ
8	დ
9	გ
10	ა

დავალება	პასუხი
17	დ
18	ბ
19	ა
20	ბ
21	დ
22	ბ
23	დ

შესაბამისობის დავალებები

დავალების მაქსიმალური ქულა – 1;

აპლიკანტი ქულას იღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი დავალების თანდართულ ცხრილს შეავსებს სწორი თანმიმდევრობით

დავალება №11				
(A)	I	II	III	IV
(B)	ბ	ა	ბ	ა

დავალება №16			
	დაბალი	საშუალო	მაღალი
დავალებები	III	II	I

ღიაბოლიანი დავალებები

ღიაბოლოიანი დავალებების (დავალებები 12, 13, 14, 15, 24 და 25) შეფასების სქემები საერთოა ტესტის ორივე – I და II ვარიანტისათვის.

იმისათვის, რომ აპლიკანტის პასუხი სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: (1) უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული. (2) არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს. (3) შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით. **თუ რომელიმე ამ პირობებიდან არ იქნება დაცული, ნაწერი შეფასდება 0 ქულით.**

დავალება №12

მაქსიმალური ქულა – 6

აპლიკანტი მაქსიმალურ ქულას იღებს იმ შემთხვევაში, თუ სრულყოფილად პასუხობს დავალების ყველა მითითებას.

<u>I მითითება</u>: ***დაასახელეთ მოსწავლის ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს სწავლების აღწერილი მეთოდი და დაასაბუთეთ. (მაქს. ქულა-4)***

ქულა	აღწერა
4	<u>**პასუხში ჩანს, საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა კითხვას, რომელსაც მოითხოვს პირველი მითითება.**</u> (1). დასახელებულია მოსწავლის ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს სწავლების აღწერილი სტრატეგია; (2). პასუხი დასაბუთებულია – ახსნილია, როგორ უწყობს ხელს ეს მეთოდი/სტრატეგია დასახელებული უნარების განვითარებას.
3	**აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური,** შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა არ არის სრული. ***მაგალითად:*** • დასახელებულია ორი უნარი, მაგრამ დასაბუთებულია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი. ან • დასახელებულია ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს სწავლების აღწერილი სტრატეგია, დასაბუთება სქემატურია.
2	<u>**პასუხში ჩანს, საკითხის ნაწილობრივი ცოდნა.**</u> ნაწერი ნაწილობრივ პასუხობს მითითებებს. აკლია დავალების პირობის რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი. მაგალითად:

	დასახელებულია ორი უნარი და პასუხი არ არის არგუმენტირებული – არ არის დასაბუთებული, როგორ უწყობს ხელს სწავლების აღწერილი სტრატეგია დასახელებული უნარების განვითარებას, ან მოცემულია არაადეკვატური / ბუნდოვანი არგუმენტები.
1	პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ზედაპირული) ცოდნა; აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ **მითითებებს**. პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემას. აკლია დავალების პირობის რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი. მაგალითად: დასახელებულია მხოლოდ ერთი უნარი, მაგრამ დასაბუთებული არ არის ან მოცემულია არაადეკვატური/ ბუნდოვანი არგუმენტი.
0	**პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.

II მითითება: *ახსენით, როგორ ეხმარება მასწავლებელს ეს მეთოდი სასწავლო მიზნების მიღწევაში. (მაქსიმალური ქულა 2)*

ქულა	აღწერა
2	**აპლიკანტი ადეკვატურად პასუხობს მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს, საკითხის სრულყოფილი ცოდნა: პასუხი არის სრული, არგუმენტირებული.** აპლიკანტი აღწერს, სწავლების ამ სტრატეგიის ნებისმიერ ერთ ან მეტ ეფექტს და აღწერს, როგორ ეხმარება ეს მეთოდი მასწავლებელს სასწავლო მიზნების მიღწევაში და ადეკვატურად ასაბუთებს, ხსნის თავის მოსაზრებას.
1	**აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური**. • დასახელებულია სწავლების ამ სტრატეგიის ეფექტი დასაბუთების გარეშე. ან • აპლიკანტი აღწერს, როგორ ეხმარება სწავლების ეს მეთოდი მასწავლებელს სასწავლო მიზნების მიღწევაში და თავის მოსაზრებას ასაბუთებს/ ხსნის სქემატურად.
0	**პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია მოცემული, რაც მიუთითებს/დაგვარწმუნებს რომ აპლიკანტს ესმის დასმული მოთხოვნა და აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის გარშემო.

დავალება №13

მაქსიმალური ქულა – 5

აპლიკანტის პასუხი მაქსიმალური 5 ქულით ფასდება იმ შემთხვევაში, თუ სრულყოფილად პასუხობს დავალების ყველა მითითებას.

<u>მითითება 1</u> **ახსენით მერხების ამგვარი განლაგების აუცილებლობა (მაქსიმალური ქულა –1)**

ქულა	აღწერა
1	აპლიკანტი ადეკვატურად პასუხობს მითითებას და პასუხში ჩანს, რომ მას ესმის, რატომ მოითხოვს მოცემული მეთოდი მერხების სურათზე ნაჩვენებ განლაგებას.
0	<u>**პასუხი არაადეკვატურია.**</u> **აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია მოცემული, რაც მიუთითებს/დაგვარწმუნებს, რომ აპლიკანტს ესმის დასმული მოთხოვნა და აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის გარშემო. მაგალითად: *აპლიკანტი მხოლოდ აღწერს დავალების პირობაში მოცემული სურათს და აღნიშნავს, რომ „ასე მოსწავლეებს აქვთ საშუალება ერთმანეთს უყურონ“.*

<u>მითითება 2.</u> **დაასახელეთ ერთი პირობა/მოთხოვნა, რომელიც უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მოცემული მეთოდით მუშაობის დაგეგმვის დროს. პასუხი დაასაბუთეთ. (მაქსიმალური ქულა - 2)**

ქულა	აღწერა
2	<u>**აპლიკანტის პასუხი არის სრული და არგუმენტირებული.**</u> აპლიკანტი ასახელებს ერთ პირობას/მოთხოვნას, რომელიც უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მოცემული მეთოდით მუშაობის დაგეგმვის დროს. პასუხი დასაბუთებულია.
1	<u>**აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური**</u>. მაგალითად: • აპლიკანტი ასახელებს ერთ ან მეტ პირობას, რომელიც უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მოცემული მეთოდით მუშაობის დაგეგმვის დროს, მაგრამ პასუხი არ არის დასაბუთებული ან მოცემულია პასუხის ბუნდოვანი/ზედაპირული დასაბუთება.
0	აპლიკანტი ასახელებს არაადეკვატურ მოთხოვნას, რომელიც უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მოცემული მეთოდით მუშაობის დაგეგმვის დროს.

<u>მითითება 3.</u> **დაასახელეთ მოცემული მეთოდით მუშაობის ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი მხარე (მაქსიმალური ქულა 2).**

ქულა	აღწერა
2	**აპლიკანტის პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. აპლიკანტი სწორად ასახელებს** მოცემული მეთოდით მუშაობის ერთ დადებით და ერთ უარყოფით მხარეს.
1	**აპლიკანტის პასუხი ნაწილობრივია,** იგი ასახელებს მოცემული მეთოდით მუშაობის მხოლოდ დადებით, ან მხოლოდ უარყოფითი მხარეს.
0	აპლიკანტის პასუხი არაადეკვატურია, არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.

დავალება №14

მაქსიმალური ქულა – 4

ქულა	აღწერა
4	**<u>პასუხში ჩანს, საკითხის სრულყოფილი ცოდნა</u>** პასუხი არის სრული, არგუმენტირებული. აპლიკანტი პასუხობს ყველა კითხვას/მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. აპლიკანტი ასახელებს ორ ადეკვატურ რჩევას/აქტივობას და ასაბუთებს თითოეულს.
3	**<u>აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ არ არის სრული.</u>** დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული. აპლიკანტი ასახელებს ორ ადეკვატურ რჩევას/აქტივობას და ასაბუთებს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს.
2	**<u>პასუხში ჩანს საკითხის ზოგადი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი.</u>** აპლიკანტის პასუხი არის ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და ნაკლებად დეტალური. პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა სრულყოფილად არ პასუხობს დავალების პირობაში მოცემულ მითითებებს. მაგალითად: აპლიკანტი ასახელებს ერთ ადეკვატურ რჩევას/აქტივობას და ასაბუთებს.
1	**<u>პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა.</u>** დავალების პირობა აპლიკანტის მიერ ნაწილობრივ არის გააზრებული. აკლია დავალების პირობის მნიშვნელოვანი კომპონენტი – დასაბუთება. აპლიკანტი ასახელებს ორ ან მეტ რჩევას/აქტივობას დასაბუთების გარეშე.
0	**<u>პასუხი არაადეკვატურია</u> აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები და/ან ბუნდოვანი არგუმენტები.

დავალება №15

მაქსიმალური ქულა – 20

შეფასების სქემა საერთოა დავალებებისათვის 15.1-დან 15.5-ის ჩათვლით.

თითოეული დავალებისათვის მაქსიმალური ქულაა 4.

მე–15 დავალების თითოეული კომპონენტის შეფასების პრინციპი:

<table>
<tr><td colspan="2">მაქსიმალური ქულა – 4.
აპლიკანტი უნდა პასუხობდეს შემდეგ ორ მითითებას/კითხვას:
ა) პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი – მაქსიმალური ქულა 2.
ბ) პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება – მაქსიმალური ქულა 2.</td></tr>
<tr><td colspan="2">**ა) პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი** *მაქსიმალური ქულა 2*

საქაღალდეში მოცემული დოკუმენტების საფუძველზე აპლიკანტმა უნდა განსაზღვროს და გააანალიზოს პრობლემა (პრობლემები).
ახსნას: (I) პრობლემის გამომწვევი მიზეზი და
(II) რა შეიძლება მოჰყვეს ამ პრობლემას შედეგად.</td></tr>
<tr><td>2 ქულა</td><td><u>**აპლიკანტის პასუხში ჩანს წამოჭრილი პრობლემის კომპლექსური (სრულყოფილი) ხედვა. პასუხი სრულად აკმაყოფილებს დავალების პირობას.**</u>
აპლიკანტის პასუხი ფასდება 2 ქულით, თუ პასუხი სრულყოფილია და მოცემულია პრობლემის კომპლექსური ანალიზი.–
აპლიკანტის პასუხი მოიცავს ორივე კომპონენტს:
I. დასახელებულია პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები;
II. მოცემულია ლოგიკური/არგუმენტირებული მსჯელობა იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს აღნიშნულ პრობლემას.</td></tr>
<tr><td>1 ქულა</td><td><u>**აპლიკანტის პასუხი არის ზოგადი და/ან მასში მოცემულია პრობლემის ზედაპირული ანალიზი. პასუხი ნაწილობრივია ან სქემატური, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.**</u>
• პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული, პასუხს აკლია დავალების პირობის რომელიმე კომპონენტი.
• პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემას და მასში მხოლოდ მინიშნებები, ან ვარაუდებია მოცემული. პასუხიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ზოგადად ესმის პირობაში დასმული პრობლემის არსი.</td></tr>
<tr><td>0 ქულა</td><td><u>**პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დასმულ მოთხოვნებს.**</u> პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე.
• დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული;
• პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი/არასწორი არგუმენტები.
• აპლიკანტის პასუხი წარმოადგენს დავალების პირობაში მოცემული <u>ინფორმაციის პერიფრაზს</u>.</td></tr>
</table>

ბ) პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება *მაქსიმალური ქულა 2.* *აპლიკანტმა უნდა აღწეროს პედაგოგის კონკრეტული აქტივობა, რომელიც მოაგვარებდა განსაზღვრულ პრობლემას და/ან მინიმუმამდე შეამცირებდა უარყოფით შედეგებს. ამასთან, დაასაბუთოს, რა დადებითი ეფექტი ექნება პრობლემის დაძლევის მის მიერ შემოთავაზებულ გზას.*	
2 ქულა	**აპლიკანტის პასუხში ჩანს წამოჭრილი პრობლემის კომპლექსური (სრულყოფილი) ხედვა. პასუხი აკმაყოფილებს დავალების პირობის ყველა მოთხოვნას.** პასუხი ფასდება 2 ქულით, თუ პრობლემის გადასაჭრელად აპლიკანტი: • სრულყოფილად აღწერს (და არა მხოლოდ ასახელებს) ადეკვატურ აქტივობას და ასაბუთებს მის დადებით ეფექტს.
1 ქულა	**აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური/ნაკლებად დეტალური ან ნაწილობრივი, აკლია რომელიმე მნიშვნელოვანი ელემენტი.** • პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული, პასუხი ზოგადია და სქემატური. • აპლიკანტი არ განიხილავს საკითხის ზოგიერთ მნიშვნელოვან ელემენტს.
0 ქულა	**პასუხი არაადეკვატურია, აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. • დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული; • პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი/არასწორი არგუმენტები.

დავალება №24

მაქსიმალური ქულა 3 **ყოველი კოგნიტური დონისათვის მასწავლებლის ადეკვატური აქტივობის დასახელებაში აპლიკანტი იღებს ერთ ქულას.**	
3 ქულა	თუ აპლიკანტი ასახელებს დავალებაში წარმოდგენილი ყველა კოგნიტური დონისათვის შესაბამის ადეკვატურ აქტივობას.
2 ქულა	თუ აპლიკანტი ასახელებს დავალებაში წარმოდგენილი ორი კოგნიტური დონისათვის შესაბამის ადეკვატურ აქტივობას.
1 ქულა	თუ აპლიკანტი ასახელებს დავალებაში წარმოდგენილი მხოლოდ ერთი კოგნიტური დონისათვის შესაბამის ადეკვატურ აქტივობას.
0 ქულა	თუ აპლიკანტი დავალებაში წარმოდგენილი კოგნიტური დონეებისთვის ასახელებს არაადეკვატურ აქტივობებს.

დავალება №25

მაქსიმალური ქულა – 3

ქულა	აღწერა
3	<u>**აპლიკანტის პასუხში ჩანს წამოჭრილი პრობლემის კომპლექსური (სრულყოფილი) ხედვა და სრულად აკმაყოფილებს დავალების პირობას.**</u> • აპლიკანტი ზედმიწევნით კარგად იყენებს შესაბამის ცოდნასა და უნარებს; პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი, ან პრობლემის ადეკვატური გადაწყვეტის უნარი; • პასუხი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებითა და/ან ადეკვატური მაგალითებით.
2	<u>**პასუხში ჩანს საკითხის ზოგადი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი.**</u> აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და ნაკლებად დეტალური. • პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული; • პასუხში წარმოდგენილია ზოგიერთი არგუმენტი და/ან არგუმენტის გასამყარებელი ნიმუში / მაგალითი.
1	<u>**პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი (არასრულფასოვანი) ცოდნა და /ან აპლიკანტის უნარი ნაწილობრივ მაინც გადაჭრას დასმული პრობლემა.**</u> **პასუხი სქემატურია, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.** აპლიკანტი არ განიხილავს პირობაში მოცემული საკითხის ზოგიერთ კრიტიკულ, მნიშვნელოვან ელემენტს, პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემას. • პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი) ცოდნა; წარმოდგენილია პირობაში მოცემული ერთი საკითხის დამაკმაყოფილებელი ანალიზი, პირობაში მოცემული რომელიმე საკითხი არ არის განხილული, ან განხილულია მხოლოდ ზედაპირულად; • პასუხში წარმოდგენილია აპლიკანტის მოსაზრების გასამყარებელი შეუსაბამო /არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი არგუმენტები. ან **აპლიკანტი საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ადეკვატურად, არგუმენტირებულად აანალიზებს დავალებაში დასმულ პრობლემას, მაგრამ არ იყენებს მოცემული ავტორის თეორიის ძირითად ცნებებს.**
0	<u>**პასუხი არაადეკვატურია, აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.**</u> პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. • დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული; • პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი/არასწორი არგუმენტები;

დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

თითოეულ კითხვაზე სწორი პასუხი ფასდება მაქსიმუმ 1 ქულით.

- **პასუხი „ჭეშმარიტია“ არ საჭიროებს კომენტარს.**
- **პასუხი „მცდარია“-ს შემთხვევაში მოცემული დებულება შესაბამის გრაფაში ჩაწერილი უნდა იყოს კორექტული ფორმით.**

26-ე და 27-ე დავალებების შეფასების სქემები საერთოა ტესტის ორივე – I და II ვარიანტისათვის.

დავალება №26

მაქსიმალური ქულა – 5

1 სწორად მონიშნული პასუხი – 1 ქულა	• კითხვებზე **26.2, 26.4 და 26.5** ერთი ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია“** . • კითხვებზე **26.1** და **26.3** ერთი ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი –– **„მცდარია”** და შესაბამის გრაფაში მოცემულია კორექტული ფორმულირება – მცდარი მსჯელობა ჩაწერილია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სწორი ფორმით. კერძოდ, **26.1-ის კომენტარი:** *საჯარო სკოლას უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მშობელთა ნებაყოფლობითი შემოწირულობები* (ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 51, პუნქტი 2). **26.3-ის კომენტარი:** *დამრიგებელი ინდივიდუალური შეხვედრების დროს უნდა აცნობდეს მშობლებს შვილის მოსწრების საკითხებს. დაუშვებელია, ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მეორის მშობელთან ან მის თანდასწრებით საუბარი* (ეროვნული სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო პროგრამა).
0 ქულა	• თუ პასუხი არასწორად არის მონიშნული (**„ჭეშმარიტია“**-ს ნაცვლად მონიშნულა **„მცდარია“,** ან პირიქით). • **თუ** კითხვებზე **26.1** და **26.3** – სწორად მონიშნულია პასუხი (**„მცდარია“**), მაგრამ არ არის მოცემული კომენტარი. • **26.1.** და **26.3.** კითხვებზე – სწორად მონიშნულია პასუხი (**„მცდარია“**), მაგრამ მოცემულია არასწორი კომენტარი;

დავალება №27

მაქსიმალური ქულა – 5

1 სწორად მონიშნული პასუხი – **1 ქულა**	• კითხვებზე **27.1, 27.3 და 27.4 1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი **„ჭეშმარიტია“** (კომენტარს არ საჭიროებს); • კითხვებზე **27.2** და **27.5 1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი **„მცდარია“** და შესაბამის გრაფაში მოცემულია კორექტული ფორმულირება – მცდარი მსჯელობა ჩაწერილია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სწორი ფორმით. კერძოდ, **27.2.-ის კომენტარი:** ***დაუშვებელია მოსწავლის ჩხრეკა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული გადაცდომა. მოსწავლის ჩხრეკა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სკოლის მიერ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა. დაუშვებელია მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა*** (ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 19, პუნქტი 9). **27.5.-ის კომენტარი:** ***მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით*** (ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 19, პუნქტი 12).
0 ქულა	• არასწორადაა მონიშნული პასუხი: **(„ჭეშმარიტია“**-ს ნაცვლად მონიშნულა **„მცდარია“,** ან პირიქით). • **27.2.** და **27.5.** კითხვებზე – სწორად მონიშნულია პასუხი **(„მცდარია“)**, მაგრამ არ არის მითითებული კომენტარი. • **27.2.** და **27.5.** კითხვებზე – სწორად მონიშნულია პასუხი **(„მცდარია“)**, მაგრამ მოცემულია არასწორი კომენტარი;